საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფილოსოფიის ინსტიტუტი

რენე დეკარტი

მეტაფიზიკური განსჯანი

ფრანგულიდან თარგმნა
პროფ. ს. ლანელიამ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა

თბილისი—1955

წინასიტყვაობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთ ამოცანას მოწინავე ფილოსოფიური აზრის კლასიკოსთა შრომების პოპულარიზაცია შეადგენს. ამ მიზნით ფილოსოფიის ინსტიტუტმა უკვე რამდენიმე წელიწადია წამოიწყო ფილოსოფიის კლასიკოსების თხზულებათა ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება. ყურადღება გამახვილებულია ძირითადად ანტიკური ხანის მატერიალისტებზე, დასავლეთის ახალი დროის ფილოსოფოსებზე, რუსული ფილოსოფიის კლასიკოსებზე და ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის მოწინავე წარმომადგენლებზე.

ანტიკური ფილოსოფიიდან უკვე გადაითარგმნა და დაიბეჭდა ლუკრეციუსის (დაახლოებით 99—55 წწ.) ფილოსოფიური პოემის—„საგანთა ბუნების შესახებ"—პირველი წიგნი (ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1950); ეპიკურეს (341—271 წწ.) თხზულებათა სრული ნაწყვეტები (ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1954); ჰერაკლიტეს (VI—V სს.) თხზულების ფრაგმენტები (ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1955). რუსული ფილოსოფიის კლასიკოსებისაგან ფილოსოფიის ინსტიტუტმა (სახელგამთან ერთად) გამოსცა ნ. გ. ჩერნიშევსკის რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი (1945). ქართული ფილოსოფიიდან—სოლომონ დოდაშვილის ლოგიკა (სახელგამი, 1949). იბეჭდება ლ. ფოიერბახის „ქრისტიანობის არსება", დამზადებულია გამოსაცემად ჰეგელის „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, ნაწ. I, ლოგიკა". ამჟამად ფილოსოფიის ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს ქართველი 60-იანელების

რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებებს (ილ. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი).

დეკარტი (1596—1650) ახალი ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და ფუძემდებელია. მისი ფილოსოფია დუალისტურ ხასიათს ატარებს; იგი შეიცავს წინააღმდეგობებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო აღმავალი ბურჟუაზიის ეპოქისა და კლასისათვის. მიუხედავად ამისა, დიდია დეკარტის მატერიალიზმისა და რაციონალიზმის დადებითი როლი სქოლასტიკის კრიტიკისა და ახალი დროის მატერიალიზმის განვითარების საქმეში.

„მეტაფიზიკური განაზრებანის" ქართული თარგმანი დეკარტის ფილოსოფიურ თხზულებათა ქართულად გამოცემის პირველ შემთხვევას წარმოადგენს; მისი სახით ფილოსოფიის ინსტიტუტი ქართველ მკითხველს აწვდის დეკარტის ერთ-ერთ ძირითად თხზულებას.

თარგმანი შესრულებულია ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის — პროფ. ს. დანელიას მიერ, დეკარტის რჩეულ თხზულებათა შემდეგი გამოცემის მიხედვით: Oeuvres choisies de Descartes. Nouvelle édition revue d'après les meilleurs textes. Paris, Garnier frères.

ფილოსოფიის ინსტიტუტი

პირველი ფილოსოფიის შესახებ განაზრებანი, სადაც ნათლად მტკიცდება ღმერთის არსებობა და რეალური განსხვავება ადამიანის სულსა და ტანს შორის

განაზრება პირველი

იმ საგანთა შესახებ, რომელნიც შეიძლება ეჭვის ქვეშ იქნენ დაყენებულნი

დღეს კი არ მაქვს შენიშნული, რომ ჩემი არსებობის პირველი წლებიდანვე მრავალი ყალბი შეხედულება[1] მე ჭეშმარიტ შეხედულებად ჩამითვლია და რომ ის, რაც მე შემდეგ ასე ცუდად განმტკიცებულ პრინციპებზე დამიმყარებია, არ შეიძლებოდა ძალიან საეჭვო და არასანდო[2] არ ყოფილიყო. მას აქეთ მე გადაწყვეტილი მქონდა, რომ საჭირო იყო, რათა ერთხელ ჩემი ცხოვრების განმავლობაში სერიოზულად მეცადა დამეღწია თავი ყველა იმ შეხედულებისაგან, რომელიც უწინ ნდობით მიმიღია, და ყველაფერი ხელახლა, საფუძვლებიდან დამეწყო, თუ კი მსურდა ამეშენებია მეცნიერებაში რაიმე მტკიცე და მყარი. მაგრამ, ვინაიდან ასეთი ცდა ძალზე ძნელ საქმედ მეჩვენებოდა, მე დავუცადე იმ ასაკის მიღწევას, რომელიც საკმაოდ მომწიფებული იქნებოდა იმისათვის, რათა არ მქონებოდა იმედი, რომ მოვესწრებოდი სხვა ასაკს, როდესაც მე უკეთესად შევძლებდი ამ ცდის შესრულებას. ამან მე იმდენი მალოდინა, რომ აწ დანაშაულს ჩავიდენდი, თუ დროის იმ მანძილს, რომელიც მრჩება მოქმედებისათვის, ისევ ლოდინს მოვანდომებდი. მაშ, დღეს, როდესაც მე, ამ მიზნისათვის ძალიან შესაფერისად, გავითავისუფლე გონება ყოველგვარი ზრუნვისაგან, როდესაც მშვიდობიან განმარტოებაში მოვიპოვე საიმედო მყუდროება,

[1] Opinion.

[2] Incertain.

მე სერიოზულად და თავისუფლად შევეცდები გავანადგურო ყველა ჩემი ძველი შეხედულება საზოგადოდ. ამის მისაღწევად არ იქნება საჭირო ვაჩვენო, რომ ყველა ეს შეხედულება ყალბია, რასაც შეიძლება მე ვერასოდეს ვერ მოვრჩებოდი. მაგრამ, რაკი გონება მარწმუნებს უკვე, რომ იმ საგნების დაჯერებას, რომლებიც არ არიან სავსებით სანდო და უეჭველი, მე ვალდებული ვარ ვუფრთხილდებოდე არა ნაკლებ, ვიდრე ისეთების დაჯერებას, რომლებიც მე აშკარად ყალბად მეჩვენება. ეს გარემოება საკმარისი საფუძველია იმისათვის, რათა მე უარვყო ყველა საგანი, თუ შევძლებ თითოეულში ეჭვისათვის რაიმე საბუთი აღმოვაჩინო. ამიტომაც არ იქნება აგრეთვე საჭირო, რომ თითოეული საგანი გავსინჯო ცალ-ცალკე, რასაც უსაზღვრო შრომა დასჭირდებოდა; არამედ მე უწინარესად იერიშს მივიტან იმ პრინციპებზე, რომლებზედაც დამყარებული იყვნენ ყველა ჩემი ძველი შეხედულებანი, ვინაიდან საფუძვლის დანგრევას აუცილებლად მოჰყვება თან შენობის დანარჩენი ნაწილის დანგრევაც.

ყოველივე, რაც აქამდე ყველაზე უფრო ჭეშმარიტად და სანდოდ მიმაჩნდა, მე გრძნობისაგან ან გრძნობათა საშუალებით შემიცვნია. მაგრამ მე ზოგჯერ გამომიცდია, რომ ეს გრძნობები მატყუარები იყვნენ; და უგუნურობა არ იქნება, თუ არასოდეს არ მოვეკიდებით სრული ნდობით იმას, რასაც ჩვენ ერთხელ მოვუტყუებივართ.

მაგრამ, თუმცა გრძნობები, შესაძლებელია, ზოგჯერ გვატყუებენ ჩვენ ძალიან სუსტად საგრძნობსა და ძალიან დაშორებულ საგნებში, მიუხედავად ამისა, არის მრავალი სხვა საგანი, რომლებიც ჩვენ გრძნობის საშუალებით გვაქვს შეცნობილი და რომლის მიმართ საბუთიანი ეჭვი მაინც არ შეიძლება. მაგალითად, არ შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ მე ვარ აი აქ, ვზივარ ცეცხლთან, მაცვია საშინაო ტანისამოსი, ხელში მიჭირავს აი ეს ქაღალდი. ან როგორ შევძლებდი მე იმის უარყოფას, რომ ეს ხელები და ეს ტანი მე მეკუთვნიან, თუ არ დავემსგავსებოდი ალბათ იმ გადარეულებს, რომლების ტვინი იმდენად შერყეულია და იმდენად დაბნე-

ლებულია ნაღველის ბნელი ქარებით, რომ ისინი განუწყვეტ-ლივ გაიძახიან—ხელმწიფენი ვართო (თუმცა ნამდვილად ძალიან ღარიბები არიან), ოქროსა და პორფირის ტანისა-მოსი გვაცვიაო (როდესაც ნამდვილად სრულიად ტიტვლები არიან), ანდა წარმოდგენილი აქვთ, თითქოს ისინი კოკები იყვნენ ან მინის ტანი ჰქონდეთ? მაგრამ ესენი ხომ შეშლი-ლები არიან, და მეც არა ნაკლებ საკვირველი რამ ვიქნებო-დი, თუ მათ მაგალითს ჩემთვის წესად ვაქცევდი.

ამავე დროს მე აქ ისიც უნდა გავითვალისწინო, რომ კაცი ვარ და, მაშასადამე, მაქვს ძილის ჩვეულება და ჩემს სიზმრებში ისეთსავე საგნებს წარმოვიდგენ ხოლმე (ზოგჯერ კი უფრო ნაკ-ლებ სანდო საგნებსაც), როგორიც წარმოუდგებათ ამ გადარე-ულებს სიფხიზლის დროს. რამდენჯერ მქონია შემთხვევა მე-ნახა ღამით, სიზმარში, თითქოს მე ამ ადგილზე ვიმყოფებო-დი, ჩაცმული ვიყავი და ცეცხლთან ვიჯექი, თუმცა სინამდვი-ლეში ტანისამოსგახდილი ვიწექი ჩემს ლოგინში! მართალია, ამჟამად მეჩვენება, რომ ამ ქაღალდს ვუცქერი არა მძინარე კაცის თვალებით; რომ ეს თავი, რომელსაც მე ვაქნევ, სრუ-ლიადაც არ თვლემს; რომ მე ამ ხელს ვმართავ განზრახულად და შეგნებული ნსჯელობის საფუძველზე (de propos délibéré), და რომ მე ვგრძნობ მას. ის, რაც ძილში ხდება, სრულია-დაც არ ჩანს ისე ნათლად და არც ისე გარკვეულად, რო-გორც ყველაფერი ეს. მაგრამ, ვუფიქრდები რა საქმეს ბეჯი-თად, მაგონდება, რომ ხშირად, ძილის დროს, მე მოტყუე-ბული ვყოფილვარ მსგავსი მოჩვენებებით, და, ვაკვირდები რა ამ აზრს, მე ვხედავ, რომ არ არსებობს არავითარი სანდო ნი-შანი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყოს სიფხიზლის ზუსტი გარჩევა სიზმრისაგან,—ვხედავ ისე აშკარად, რომ პირდაპირ გაოცებული ვრჩები. და ეს ჩემი გაოცება ისეთია, რომ მას თითქმის შეუძლია დამარწმუნოს, რომ მე ახლაც მძინავს.

მაშ, ვიგულისხმოთ ახლა, რომ ჩვენ გვძინავს და ყველა ეს კერძო მოქმედება, როგორიცაა ის, რომ თვალებს ვა-ხელთ, რომ თავს ვაქნევთ, რომ ხელებს ვმართავთ და სხვა

ამისთანები. მხოლოდ ყალბი მოჩვენებაა; და წარმოვიდგინოთ, რომ არც ჩვენი ხელები, არც მთელი ჩვენი ტანი შესაძლებელია არ არიან ისეთები, როგორებსაც ჩვენ მათ ვხედავთ. მაგრამ, ის ხომ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ საგნები, რომლებიც ჩვენ სიზმარში წარმოგვიდგენენ, ისეთებია, როგორიც სურათები და ნახატები, რომლებიც არ შეიძლება შეიქმნან, თუ არა რომელიმე ნამდვილ და ჭეშმარიტ საგანთან ბიმსგავსებით. ასე რომ, ეს ზოგადი საგნები[1] მაინც, როგორიცაა თვალები, თავი, ხელები და მთელი ტანი, არიან არა წარმოსახული, არამედ ნამდვილი და არსებული საგნები. ვინაიდან მხატვრები იმ დროსაც კი, როდესაც ისინი უდიდესი ოსტატობით ცდილობენ სირენები და სატირები წარმოადგინონ უცნაური (bizarres) და უჩვეულო ფიგურებით, მაინც მოკლებული არიან შესაძლებლობას — მისცენ მათ სრულიად ახალი მოყვანილობა და ხასიათი და კმაყოფილდებიან იმით, რომ აკეთებენ სხვადასხვა ცხოველთა ნაწილების ერთგვარ ნარევსა და შეერთებას. ხოლო, თუ ამ მხატვრების წარმოსახვის უნარი საკმაოდ არაჩვეულებრივია იმისათვის, რათა გამოიგონოს იმდენად ახალი რამ, რის მსგავსი არასოდეს უნახავს ვისმე, და ამრიგად მათი ნაწარმოები წარმოადგენს სრულიად მოგონილსა და აბსოლუტურად ყალბ[2] საგანს, ამ შემთხვევაში ის ფერები მაინც, რომლებსაც ისინი აძლევენ ამ საგნებს, აუცილებლად ჭეშმარიტი[3] უნდა იყვნენ.

ამავე მოსაზრების ძალით, კიდევაც რომ არანამდვილი (imaginaires) იყვნენ ეს ზოგადი საგნები, სახელდობრ, ტანი, თვალები, თავი, ხელები და სხვა ასეთები, მაინც აუცილებლად საჭიროა ვაღიაროთ, რომ არიან რაღაც სხვა, უფრო მარტივი და უფრო უნივერსალური საგნები, რომლებიც ჭეშმარიტი[4] და

---

[1] Choses générales.

[2] Fausse.

[3] Véritables, ე. ი. ნამდვილი: დ ე კ ა რ ტ ი ხმარობს ტერმინებს: „véritable“, „vrai“ არა მარტო „ჭეშმარიტის“, არამედ „ნამდვილის“ ან „რეალურის“ მნიშვნელობით (მთარგმნ. შენ.).

[4] Vraies.

არსებული არიან და რომლების ერთმანეთთან შეერთების საშუალებით შექმნილია ჩვენს აზრში მყოფი ყველა წარმოდგენა, როგორც ჭეშმარიტი და რეალური, ისე მოგონილი და ფანტასტიკური საგნებისა—აი სწორედ ისე, როგორც შედგენილია ისინი ჭეშმარიტი ფერებისაგან.

საგანთა ამ გვარისაა საზოგადოდ ნივთიერი ბუნება[1] და მისი ვრცეულობა[2], აგრეთვე განფენილ საგანთა მოყვანილობა, მათი ოდენობა[3] ან სიდიდე. და მათი რიცხვი, ისე როგორც ადგილი, სადაც ისინი იმყოფებიან, დრო, რომელიც ზომავს მათ გრძეობას[4], და სხვა მსგავსი რამ. აი ამიტომ ჩვენ, შეიძლება, არ გავაკეთებთ ცუდ დასკვნას აქედან, თუ ვიტყვით, რომ ფიზიკა, ასტრონომია, მედიცინა და ყველა სხვა მეცნიერება, რომელნიც დამოკიდებულნი არიან რთულ საგანთა განხილვისაგან, ძალიან საეჭვო და არასანდო არიან; მაგრამ არითმეტიკა, გეომეტრია და ამავე ბუნების სხვა მეცნიერებანი, რომელნიც მხოლოდ ძალიან მარტივ და ძალიან ზოგად საგანთა შესახებ მსჯელობენ და ამავე დროს დიდად არ იტკენენ თავს საკითხით — არსებობენ ეს საგნები ბუნებაში, თუ არ არსებობენ, შეიცავენ რაღაც სანდოსა[5] და უეჭვოს[6]: ვინაიდან, გინდ ფხიზლად ვიყო, გინდ მეძინოს, ორისა და სამის შეერთება ყოველთვის იქნება რიცხვი ხუთი და კვადრატს არასოდეს არ ექნება ოთხზე მეტი ბზარე. მართლაც, შეუძლებლად ჩანს, რომ ასეთი ნათელი[7] და ასეთი ცხადი (apparente) ჭეშმარიტებების შესახებ შეიძლებოდეს ეჭვი, რომ ისინი ყალბი და არასანდოა.

მაგრამ დიდი ხანია, რაც ნე ჩემს გონებაში[8] მაქვს ერთი რაღაც შეხედულება, რომ არსებობს ღმერთი, რომელ-

---

[1] La nature corporelle.
[2] ე. ი. განფენილობა: étendue.
[3] Quantité.
[4] Durée.
[5] Certain.
[6] Indubitable.
[7] Claire.
[8] l'esprit.

საც ყველაფერი შეუძლია და რომლის მიერ ვარ მე გაკეთებული და შექმნილი ისეთად, როგორიც ვარ. მაშ, რა ვიცი, რომ ღმერთს არ გაეკეთებიოს ისე, რომ არ არსებობდეს არავითარი მიწა, არავითარი ცა, არავითარი ვრცეული სხეული[1], არავითარი მოყვანილობა, არავითარი ადგილი და, მიუხედავად ამისა, მე მაინც მქონდეს ყველა ამ საგანთა განცდა[2] და სწორედ იმნაირად არსებულად მეჩვენებოდნენ ისინი, რანაირებსაც მე მათ ვხედავ[3]. კიდევ მეტი: ვინაიდან მე ზოგჯერ ვამჩნევ, რომ სხვები ცდებიან ისეთ საგნებში, რომლებიც მათივე ფიქრით მათ ძალიან კარგად იციან,—რა ვიცი, რომ ღმერთს ისე არ გაეკეთებიოს, რომ მე ვცდებოდე ყოველთვის, როდესაც ორს ვამატებ სამს, ან ვთვლი კვადრატის მხარეებს, ან ვმსჯელობ ამაზე კიდევ უფრო ადვილ რამეზე, თუ საზოგადოდ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე, რაც ამაზე უფრო ადვილი იქნება?—შესაძლებელია, რომ ღმერთს არ ჰქონოდა სურვილი, რომ მე ასე ვყოფილიყავ მოტყუებული, ვინაიდან მის შესახებ ამბობენ, რომ იგი უაღრესად კეთილია. მაგრამ, თუ ღმერთის სიკეთის საწინააღმდეგო იქნებოდა, იმნაირად გავეკეთებინე მე, რომ ყოველთვის ვტყუვდებოდე, ისიც, როგორც ჩანს, მისი საწინააღმდეგო იქნებოდა აგრეთვე, რომ მე მისივე ნებით ვტყუვდებოდე ზოგჯერ; მიუხედავად ამისა, მე არ შემიძლია ვეჭვობდე, რომ ღმერთი ამის ნებას იძლევა[4]. შეიძლება აქ ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც უმალ ამჯობინებდნენ ასეთი ძლიერი ღმერთის არსებობის უარყოფას, ვიდრე იმის დაჯერებას, რომ ყველა დანარჩენი საგანი არაა სარწმუნო. მაგრამ ამჟამად ნუ გავუწევთ ასეთ პირებს წინააღმდეგობას და დავუშვათ მათ სასარგებლოდ, რომ ყველაფერი, რაც აქ ღმერ-

---

[1] ან განფენილი სხეული: Corps étendu.

[2] Sentiment.

[3] აქ დეკარტის მიერ მოცემულია ბერკლის თეორიის სქემა (მთარგმნ. შენ.).

[4] ე. ი. იძლევა იმის ნებას, რომ მე ზოგჯერ ვტყუვდები (მთარგმნ. შენ.).

თის შესახებ ითქვა, ზღაპარი იყოს. მიუხედავად ამისა, რანაირი წარმოდგენაც არ ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ როგორ მივიღე მე ეს მდგომარეობა და ეს არსება, რომლებიც მაქვს, სულერთია, თვლიან ისინი ამის მიზეზად წერას ან ბედს, თუ შემთხვევას, თუ ერთმანეთის მომდევარ საგანთა უწყვეტ კავშირს ან სხვა რასმე, რაკი შეცდომაში ჩავარდნა და მოტყუებულად ყოფნა არის უსრულობა, ამიტომ, რაც უფრო უძლური იქნება ის შემოქმედი, ვისაც ისინი ჩემს გაჩენას მიაწერენ, მით უფრო დასაჯერებელი იქნება, რომ მე იმდენად უსრულო ვარ, რომ ყოველთვის ვტყუვდები. ამ საბუთების წინააღმდეგ მე არაფერი მაქვს, ცხადია, საპასუხოდ და ბოლოს იძულებული ვარ ვაღიარო, რომ ყველა იმაში, რაც მე ოდესმე ჭეშმარიტად მიმაჩნდა, არაფერია ისეთი, რაშიც მე არ შემეძლოს ასე თუ ისე ეჭვის შეტანა: ესეც არა ზერელობის ან ქარაფშუტობის გამო, არამედ ძალიან მძიმე და დინჯად აწონ-დაწონილი საბუთების მიხედვით. ასე რომ, მომავალში მე არანაკლები სიფრთხილით უნდა ვერიდებოდე ამის დაჯერებას [1], ვიდრე იმისას, რაც აშკარად ყალბი იქნება, თუ კი მე მსურს აღმოვაჩინო მეცნიერებაში რაიმე სანდო [2] და სარწმუნო [3].

მაგრამ არ კმარა ამ შენიშვნების გაკეთება. საჭიროა კიდევ მივიღო ზომები, რათა მე მახსოვდეს ისინი, ვინაიდან ძველი და ჩვეულებრივი შეხედულებანი ხშირად მომდიან კიდევ აზრში. ხანგრძლივმა ჩვეულებამ მისცა მათ, ჩემი ნების წინააღმდეგ, ჩემს გონებაში ყოფნისა და ჩემს რწმენაში თითქოს სრული ბატონობის უფლება; და მე არასოდეს არ გადავეჩვევი ამ შეხედულებებისადმი ნდობით მოპყრობას, სანამ მე მათ ისე დავაფასებ, როგორიც არიან ისინი ნამდვილად, სახელდობრ, როგორც (თანახმად ზემონათქვამისა) ასე თუ ისე საეჭვოებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იმდენად

---

[1] ე. ი. იმის დაჯერებას, რაც ოდესმე ჭეშმარიტებად მიმაჩნდა (მთარგმნ. შენ.).

[2] Certain.

[3] Assuré.

საალბათოებს[1], რომ გაცილებით უფრო გონიერია მათი მიღება, ვიდრე მათი უარყოფა. აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ცუდად არ მოვიქცევი, თუ მე განზრახ საწინააღმდეგო მიმართულებისაკენ გადავიხრები და, მოვატყუებ რა ჩემ თავს, რამდენიმე ხნით განგებ წარმოვიდგენ, რომ ყველა ეს შეხედულება სავსებით ყალბი და ფანტასტიკურია, და ასეთი წარმოდგენა მექნება მანამდე, სანამ ჩემი ძველი და ჩემი ახალი ყალბი შეხედულებები[2] ისეთს წონასწორობაში არ იქნებიან მოყვანილი, რომ მათ აღარ ექნებათ ძალა გადახარონ ჩემი შეხედულება[3] უმალ ერთ მხარეზე, ვიდრე მეორეზე, და ჩემი მსჯელობაც[4] არ იქნება აწ დამონებული ცუდი ჩვევებით და არ მოცდება იმ სწორ გზას, რომელსაც შეუძლია იგი ჭეშმარიტების შემეცნებამდე მიიყვანოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯერჯერობით ამ გზაზე საშიში არ არის არც ხიფათი, არც შეცდომა, და შეუძლებელია, რომ მე ზომაზედ მეტი რამ დავუთმო დღეს ჩემს ეჭვიანობას, ვინაიდან საკითხი დგას ახლა არა მოქმედების, არამედ ფიქრისა და შემეცნების შესახებ[5].

მაშ, მე ვიგულისხმებ, რომ არა ღმერთმა, რომელიც არის უაღრესად კეთილი არსება და ჭეშმარიტების უზენაესი წყარო, არამედ რომელიღაც ძლიერმა და არა ნაკლებ მოხერხებულმა და მატყუარა ავმა სულმა გამოიყენა მთელი თავისი ოსტატობა ჩემს მოსატყუებლად. მე ვიფიქრებ, რომ ცა, ჰაერი, მიწა, ფერები, ფიგურები (მოყვანილობანი), ბგერები და ყველა სხვა გარეგნული საგნები მხოლოდ ილუზიები და ოცნებებია, რომლებიც მან გამოიყენა ჩემი გულუბრყვილობისათვის ხაფანგის დასაგებად; ჩემი თავის შესახებ ვიფიქრებ, რომ მე არ მაქვს არც ხელები, არც თვალები,

---

[1] Probables.

[2] Préjugés.

[3] Avis.

[4] Jugement.

[5] ე. ი. თუ მოქმედებისათვის სახიფათო იქნებოდა, თუნდ დროებითაც, ყველაფერში დაეჭვება, შემეცნებისათვის ასეთი დაეჭვება არ არის სახიფათოო (მთარგმნ. შენ.).

არც ხორცი, არც სისხლი, რომ არ მაქვს არავითარი გრძნობა, მაგრამ მხოლოდ შეცდომით მჯერა, რომ მაქვს ყველაფერი ეს; მე დაჟინებით ჩავეჭიდები ამ აზრს და, თუ ამ საშუალებით ვერ მივაღწევ რაიმე ჭეშმარიტების შემეცნებას, ჩემი მსჯელობის შეჩერება მაინც ჩემს შესაძლებლობაში რჩება. ამიტომ მე ბეჯითად ვეცდები არ მოვეკიდო რწმენით არც ერთ მცდარ შეხედულებას და ისე კარგად მოვამზადებ ჩემს გონებას ამ დიდი მატყუარის ყველა ხერხის წინააღმდეგ, რომ, რაც უნდა ძლიერი და მოხერხებულიც იყოს ეს მატყუარა, იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს რაიმე დამაჯერებინოს.

მაგრამ ამ განზრახვის შესრულება მძიმე და ძნელია და ერთგვარი სიზარმაცე შეუმჩნევლად მიზიდავს ისევ ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტისაკენ. ვითარცა მონა, რომელიც ძილის დროს გახარებული იყო სიზმარში მოჩვენებული თავისუფლებით და რომელსაც (ატყობს რა იგი, რომ ეს თავისუფლება მხოლოდ სიზმარშია) ეშინია გაღვიძების და სურს დიდხანს იყოს ამ ტკბილი მოჩვენებით მოტყუებული, ისე მეც, ჩემდა შეუმჩნევლად, კვლავ ვეძლევი ჩემს ძველ შეხედულებებს და ვერიდები ამ თვლემისაგან[1] გაღვიძებას იმის შიშით, რომ შრომით საავსე ფხიზლობა, რომელიც უნდა მოჰყვეს ამ თვლემის მოსვენებულობას, ნაცვლად იმისა, რომ მან რაიმე შუქი და სინათლე შემძინოს ჭეშმარიტების შემეცნების საქმეში, ვაი თუ საკმარისი არ იქნეს იმ სიძნელეთა ყოველი სიბნელის გასანათებლად, რომელნიც ეს-ესაა აღძრული იქნენ.

---

[1] თვლემას (assoupissement) დ ე კ ა რ ტ ი აქ ეძახის იმ მდგომარეობას, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით ჩვეულებრივ შეხედულებათა ტყვეობაში, ე. ი. ვიმყოფებით გულუბრყვილო შემეცნების სფეროში. განთავისუფლება ამ მდგომარეობისაგან ან გაღვიძება არის ფილოსოფიის ამოცანაო (მთარგმნ. შენ.).

მანაზრება მეოთხე

ადამიანური გონების ბუნებისათვის და იმის შესახებ, რომ მისი შეცნობა უფრო ადვილია, ვიდრე სხეულისა

ფიქრმა, რომელსაც გუშინ ჰქონდა ადგილი, აღმივსო მე გონება იმდენი ეჭვით, რომ აწ ჩემს ძალთ არ არის მათი დავიწყება. ამასობაში მე ვერ ვხედავ, როგორ შემიძლია მათი გადაწყვეტა, და, თითქოს უცბად ჩავარდნილი ძალიან ღრმა წყალში, იმ ზომამდე ვარ გაოცებული, რომ არ შემიძლია არც ფეხი მოვიმაგრო ფსკერზე, არც ცურვის საშუალებით გავჩერდე წყლის ზედაპირზე. მე მაინც ღონეს ვიძიებ და კვლავ გავყვები იმ გზას, რომელსაც დავადექი გუშინ, როდესაც, თითქოს სრულიად ყალბს, განვეშორე ყველაფერს, რაშიც შემეძლო ოდნავ მაინც დაეჭვება. მე განვაგრძობ ამ გზით სიარულს, სანამ არ შევხვდები ცხადს[1] რასმე, ან, თუ ეს შეუძლებელი იქნება, სანამ ცხადად არ შევიცნობ, რომ ცხადი რამ ქვეყანაზე არაფერია. დედამიწის ბურთის გამოსატყორცნად თავისი ადგილიდან და სხვა ადგილზე გადასატანად არქიმედი არაფერს მოითხოვდა, გარდა ერთი წერტილისა, რომელიც მტკიცე და უძრავი უნდა ყოფილიყო; ამის მსგავსად მეც მექნება უფლება დიდს იმედებზე, თუ იმდენად ბედნიერი გავხდები, რომ ვიპოვო მხოლოდ ერთი რამე ისეთი, რაც ცხადი და უეჭველი იქნება.

მე დაშვებული მაქვს, მაშასადამე, რომ ყველაფერი, რასაც კი ვხედავ, ყალბია. მე ვაჯერებ ჩემს თავს, რომ არასოდეს არ არსებულა არაფერი, რასაც წარმომიდგენს მე სიცრუით სავსე მეხსიერება; მე ვფიქრობ, რომ არ მაქვს არავი-

---

[1] Certain.

თარი გრძნობა; მე მჯერა, რომ სხეული[1], აღნაგობა[2], სივრცე[3], მოძრაობა[4] და ადგილი[5] არიან ჩემი გონების ფიქციები მხოლოდ. მაშ, რა არის ის, რაც შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც ჭეშმარიტი? ეგების მხოლოდ ის, რომ ცხადი რამ ქვეყანაზე არაფერია?

მაგრამ რა ვიცი მე, რომ გარეშე იმ საგნებისა, რაც მე არასანდოდ[6] ვცანი, არ არის სხვა რამე, რომლის შესახებ შეუძლებელია ოდნავაც კი დაეჭვება? ნუთუ არ არსებობს რაიმე ღმერთი ან სხვა რომელიმე ძალა, რომელიც აჩენს ჩემს გონებაში ასეთს აზრებს? ეს არ არის აუცილებელი, რადგანაც შესაძლებელია, რომ მე მაქვს უნარი თვითონ შევქმნა ისინი. მაშ, უკიდურეს შემთხვევაში ნუთუ მე თვითონ აღარ ვარ რაღაც საგანი? მაგრამ მე ხომ უარვყავი უკვე, რომ მქონებოდეს რაიმე გრძნობა ან რაიმე სხეული: მიუხედავად ამისა, მე მაინც ვყოყმანობ, ვინაიდან რა გამომდინარეობს აქედან? განა მე ისე ვარ დამოკიდებული სხეულისა და გრძნობებისაგან, რომ არ შემეძლოს უამათოდ ყოფნა? მაგრამ მე ხომ დავარწმუნე ჩემი თავი, რომ სრულიად არაფერია მთელს ქვეყანაზე, რომ არ არსებობს არავითარი ცა, არავითარი დედამიწა, არავითარი სულები და არავითარი სხეულები: მაშ, არ დავრწმუნდი მე განა იმაშიც, რომ მე არ ვარსებობ? სრულიადაც არა! მე ვარსებობდი უეჭველად, თუ კი მე დავრწმუნდი ან თუ მე მქონდა აზრი რაიმეს შესახებ. მაგრამ არის ხომ ვიღაც მეტისმეტად ძლიერი და მეტისმეტად მოხერხებული მატყუარა, რომელიც იყენებს მთელ თავის მოხერხებას, რათა ყოველთვის მომატყუოს? მაინც შეუძლებელია ეჭვი იმის შესახებ, რომ მე ვარსებობ, რაკი ის მე მატყუებს: მატყუოს მე მან რამდენიც მოესურვება,

---

[1] Corps.
[2] Figure.
[3] Étendue.
[4] Mouvement.
[5] Lieu.
[6] Incertaine.

ვერასოდეს მაინც ვერ მოახერხებს იგი, რომ მე არარაობა ვიყო, თუ კი მე მაქვს იმის აზრი, რომ რაღაც ვარ. ასე რომ, კარგად დაფიქრების და ყველაფრის ბეჯითი გასინჯვის შემდეგ შეიძლება დავასკვნა და ურყეევად ჩავთვალო, რომ ეს დებულება „მე ვარ, მე ვარსებობ“ აუცილებლად ჭეშმარიტია ყოველთვის, როდესაც მე მას წარმოვთქვამ ან გავიაზრებ ჩემს გონებაში.

მაგრამ მე ჯერ საკმაოდ ნათლად არ ვიცი, როგორი ვარ მე, რომელიც დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ვარსებობ. ასე რომ, მე უნდა ძალიან ფრთხილად ვიყო, რათა სხვა რომელიმე საგანი მოუფიქრებლად მედ არ ჩავთვალო[1] და ამრიგად არ ჩავიდინო შეცდომა იმ ცოდნაში, რომელსაც მე უფრო სანდო და უფრო ცხად ცოდნად ვაღიარებ, ვიდრე ყოველ სხვა ცოდნას, რომელიც მქონდა უწინ. აი ამიტომ მე ახლა კვლავ გავსინჯავ იმას, თუ რად მიმაჩნდა მე ჩემი თავი, ვიდრე ამ უკანასკნელ აზრს დავადგებოდი: და იმ მიზნით, რათა დარჩეს მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც სრულიად ცხადი და უეჭველია, ჩემი უწინდელი შეხედულებიდან ჩემს თავზე მე ამოვაგდებ ყველაფერს, რაც იმ საბუთების გამო, რომლებიც მე ამას წინ მოვიყვანე, ოდნავადაც კი შესაძლებელია საკამათოდ იქცეს. მაშ, რად მიმაჩნდა მე უწინ ჩემი თავი? ძნელი არ არის იმის ცოდნა, რომ მე ვფიქრობდი, რომ ვარ კაცი. მაგრამ რა არის კაცი? შემიძლია განა იმის თქმა, რომ კაცი არის გონიერი ცხოველი? ცხადია, არა, ვინაიდან მე მომიხდებოდა ამის შემდეგ იმის გამორკვევა, თუ რა არის ცხოველი და რა არის გონიერი, და ამრიგად ერთი საკითხის მაგიერ ჩემ წინ შეუმჩნეველად წარმოდგებოდა უამრავი რიცხვი სხვა უფრო ძნელი და უფრო დახლართული კითხვებისა. მე კი არ მინდა ცუდად გამოვიყენო ის ცოტაოდენი დრო და მოცლილობა, რომელიც დამრჩენია, და მოვანდომო ისინი ამგვარ სიძნელეთა გარკვევას. უკეთესია შევჩერდე იმ აზრების განხილვაზე, რომლებიც თავისთავად ჩნდებოდნენ ჩემს

[1] დედანშია „ne prendre pas imprudemment quelque autre chose pour moi“.

გონებაში ამაზე წინ და რომლებიც მხოლოდ ჩემი საკუთარი ბუნებით იყვნენ შთაგონებული, როდესაც მე ბეჯითად ვაკვირდებოდი ჩემს არსებას. უწინარეს ყოვლისა მე ვფიქრობდი, რომ მე ვარ ისეთი რამ, რასაც აქვს პირისახე, ხელები, მთელი ის მანქანა, რომელიც ისეა შედგენილი ძვლებისა და ხორცისაგან, როგორც ეს მოჩანს ცხედარში და რომელსაც მე ვუწოდებდი სხეულის სახელს. მე ვამჩნევდი, გარდა ამისა, რომ მე ვიკვებებოდი, დავდიოდი, ვგრძნობდი და ვაზროვნებდი, და ყველა ამ მოქმედებას მე მივაკუთვნებდი სულს. მაგრამ მე სრულიად არ შევჩერებულვარ იმაზე, რომ მეფიქრა იმის შესახებ, თუ რა არის ეს სული; ან უკეთ რომ ითქვას, თუ მე ვჩერდებოდი ამ საკითხზე, მე წარმოვიდგენდი, რომ სული არის რაღაც უკიდურესად თხელი და ნაზი საგანი, როგორც ქარი, ცეცხლი ან მეტისმეტად გათხელებული ჰაერი, და ეს სული შესულია და გავრცელებულია უფრო ტლანქ ჩემს ნაწილებს შორის. რაც შეეხება სხეულს (ტანს), მე არავითარი ეჭვი არ მქონდა მისი ბუნების შესახებ, არამედ ვფიქრობდი, რომ მაქვს მის შესახებ ძალიან გარკვეული[1] ცოდნა, და რომ მე მომენდომებია მისი ახსნა იმ წარმოდგენათა[2] მიხედვით, რომელნიც მის შესახებ მქონდა იმ დროს, მე მას ამგვარად ავწერდი: სხეული მე მესმის როგორც საგანი, რომელიც შეიძლება იქნეს განსაზღვრული რაიმე ფიგურით, რომელიც შეიძლება მოთავსებული იყოს რომელსამე ადგილში და ისე ავსებდეს სივრცის ნაწილს[3], რომ ყოველი სხვა სხეული იქიდან გამოდევნილი იყოს; რომელიც შეიძლება შეგრძნობილი იქნეს ან შეხების, ან ხედვის, ან სმენის, ან გემოვნების, ან ყნოსვის საშუალებით; რომელიც შეიძლება მოძრაობაში იქნეს მოყვანილი მრავალნაირად,—მართალია, არა საკუთარი თავის მეოხებით, არამედ რომელიმე უცხო საგნის მეოხებით, რომელიც შეეხება მას და რომლისაგან ის მიიღებს ბიძგს[4]. რაც შეეხება თავისით მოძრა-

[1] Distinctement.
[2] Notions.
[3] Espace.
[4] შთაბეჭდილებას: impression.

ობისა და აგრეთვე გრძნობისა და აზროვნების უნარს, მე სრულიად არ მჯეროდა, რომ ის შეიძლება სხეულის ბუნებას ეკუთვნოდეს. პირიქით, მე უმალ მიკვირდა, როდესაც ვხედავდი, რომ ამის მსგავსი უნარი ჰქონდა ზოგიერთ სხეულს.

მაგრამ ვინ ვარ მე, რაკი დაშვებული მაქვს, რომ არის რაღაც მეტისმეტად ძლიერი და, თუ შესაძლებელია ამის თქმა გავბედო, ავი და ხერხიანი არსება, რომელიც ხმარობს მთელ თავის ძალას და მთელ თავის მოხერხებას ჩემს მოსატყუებლად? განა მე შეშიძლია იმის დაჯერება, რომ მე მაქვს ოდნავადაც კი ის, რაც, როგორც ეს ახლახან ითქვა, ეკუთვნის სხეულის ბუნებას? მე ამაზე ვიწყებ ფიქრს ყურადღებით, მე ვატრიალებ სხეულის ყველა თვისებას ჩემს გონებაში და ვერ ვხედავ მათ შორის ვერც ერთს, რომლის შესახებ მე შემეძლოს იმის თქმა, რომ ის მაქვს მე. არ არის საჭირო ამ თვისებების ჩამოთვლა. მაშ, გადავიდეთ სულის ატრიბუტებზე და დავხედოთ, არის თუ არა ამ ატრიბუტებს შორის ისეთი, რომელიც მქონდეს მე. უპირველესია საზრდოობა და სიარული; მაგრამ, თუ მართალია ის, რომ მე სრულიად არ მაქვს სხეული, მაშინ ისიც მართალია, რომ მე არ შემიძლია სიარული და არც საზრდოობა. სხვა არის გრძნობა; მაგრამ უსხეულოდ გრძნობაც შეუძლებელია. გარდა ამისა, მე ძილის დროს ზოგჯერ მომჩვენებია, რომ ვგრძნობდი ბევრ საგანს გაღვიძების შემდეგ კი აღმომიჩენია, რომ ეს საგნები მე არ. მიგრძვნია ნამდვილად. სხვა არის აზროვნება, და მე აქ ვამჩნევ, რომ აზროვნება არის ატრიბუტი, რომელიც მე მეკუთვნის: მხოლოდ აზროვნება არ შეიძლება იქნეს ჩემგან მოცილებული. მე ვარ, მე ვარსებობ[1] — ეს ცხადია; მაგრამ რამდენი ხნის განმავლობაში? იმ ხნის განმავლობაში, სანამ ვაზროვნებ. ვინაიდან შესაძლებელია მომხდარიყო, რომ მე სრულიად შევწყვეტდი არსებობას მაშინვე, თუ სრულიად შევწყვეტდი აზროვნებას. მე არ ვიღებ ამჟამად არაფერს, რაც არ იყოს აუცილებლად ჭეშმარიტი. მაშასადამე, ზუსტად

[1] Je suis, j'existe.

რომ ითქვას, მე ვარ მხოლოდ მოაზროვნე საგანი[1], ე. ი. გონება[2], გაგება[3] ან განსჯა[4]: ესენი ისეთი ტერმინებია, რომელთა ნიშვნელობა უწინ ჩემთვის უცნობი იყო. მაშ, მე ვარ ნამდვილი და ჭეშმარიტად არსებული საგანი; მაგრამ როგორი საგანი? მე ეს ვთქვი: საგანი, რომელიც აზროვნებს. კიდევ რა? მე ავამოძრავებ ჩემს წარმოსახვას, რათა დავინახო, ამის გარდა კიდევ სხვა რამე ხომ არა ვარ მე. მე სრულიად არ ვარ ასოების ის გროვა, რომელსაც კაცის სხეულს ეძახიან; მე სრულიად არ ვარ ის გათხელებული ჰაერი, რომელიც შესული და გაფანტულია სხეულის ყველა ასოში, მე სრულიად არ ვარ ქარი, სიო, ორთქლი, არც სხვა რამე, რაც მე შემიძლია გამოვიგონო და წარმოვიდგინო, ვინაიდან მე დაშვებული მაქვს, რომ ყველაფერი ეს არ არსებობს, და ამ დაშვების შეუცვლელად მე არ მეკარგება იმის რწმენა, რომ მე ვარ რაღაც საგანი.

მაგრამ შეიძლება მართალი იყოს ის, რომ სწორედ ეს საგნები, რომლებიც მე არარსებულად ჩავთვალე იმის გამო, რომ ისინი უცნობი არიან ჩემთვის, სრულიად არ არიან განსხვავებული ჩემგან, ე. ი. იმისგან, ვისაც მე ვიცნობ. ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. მე არ ვკამათობ ახლა ამ საკითხზე, მე შემიძლია მსჯელობა გამოვთქვა მხოლოდ იმის შესახებ, რაც ცნობილია ჩემთვის: მე ვიცი, რომ ვარსებობ, და მე ვიკვლევ, როგორი ვარ მე, რომელიც, როგორც ვიცი, ვარსებობ. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ჩემი არსების[5] შესახები ცოდნა, ასე ზუსტად აღებული, არ არის სრულიად დამოკიდებული ისეთი საგნებისაგან, რომლების არსებობა[6] ჯერ არ არის ჩემთვის ცნობილი; მაშასადამე, ეს ცოდნა არ არის დამოკიდებული არც ერთი სხვა ისეთი საგნისაგან, რომე-

---

[1] Une chose qui pense.
[2] Esprit.
[3] Entendement.
[4] Raison.
[5] Mon être.
[6] Dont l'existence.

ლიც მე შემიძლია წარმოსახვის[1] საშუალებით გამოვიგონო. და თვით ეს ტერმინები „გამოგონება“[2] და „წარმოსახვა“ მაფრთხილებენ მე ჩემი შეცდომისაგან; ვინაიდან მე მართლაც გამოგონებას ჩავიდენდი, თუ წარმოვისახავდი, რომ რომელიმე საგანი არის[3], რადგანაც წარმოსახვა სხვა არაფერია, თუ არა ნივთიერი საგნის ფიგურის ან სახის ცქერა[4]. მე კი ვიცი უკვე ცხადად, რომ მე ვარ, და რომ ამასთან ერთად შესაძლებელია ყველა ეს სახე და საზოგადოდ ყველაფერი ის, რაც სხეულის ბუნებას მიეკუთვნება, მხოლოდ სიზმრები და ქიმერები იყვნენ. ამის გამო ნათლად ვხედავ, რომ მე, როდესაც ვამბობდი: „ავამოძრავებ ჩემს წარმოსახვას, რათა უფრო გარკვეულად შევიგნო, როგორი ვარ მე“, ისეთივე მცირე საფუძვლიანობით ვმსჯელობდი, როგორიც მექნებოდა, რომ მეთქვა: „ახლა მე მღვიძავს და ვამჩნევ რაღაც ნამდვილსა და ჭეშმარიტ საგანს; მაგრამ, ვინაიდან მე მას ვერ ვამჩნევ ჯერ საკმაო გარკვეულობით, მე განგებ დავიძინებ იმისათვის, რათა ჩემმა სიზმრებმა წარმომიდგინონ იგივე საგანი მეტის ჭეშმარიტებითა და სიცხადით“. მაშასადამე, მე ნათლად ვიცი, რომ არაფერი იმათ შორის, რასაც მე შემიძლია მივწვდე წარმოსახვის საშუალებით, არ ეკუთვნის იმ ცოდნას, რომელიც მე მაქვს თვით ჩემს შესახებ, და რომ საჭიროა ჩემი გონება გადავაჩვიო შემეცნების ასეთს წესს[5], რათა მან შესძლოს თვითონ შეიცნოს თავისი ბუნება ძალიან გარკვეულად.

მაშ, რა ვარ მე? საგანი, რომელიც აზროვნებს. რა არის საგანი, რომელიც აზროვნებს? ეს არის ისეთი საგანი. რომელიც ეჭვობს, რომელიც გაიგებს[6], რომელიც მიხვ-

---

[1] Imagination.

[2] Feindre.

[3] Si je m'imaginais être quelque chose.

[4] Imaginer n'est rien autre chose que contempler la figure ou l'image d'une chose corporelle.

[5] ე. ი. წარმოსახვის საშუალებით შემეცნებას (მთარგმნ. შენ.).

[6] Entend.

დება[1], რომელიც ჰოჰყოფს[2], რომელიც უარჰყოფს, რომელსაც სურს, რომელსაც არ სურს, რომელიც აგრეთვე წარმოისახავს[3], და რომელიც გრძნობს, ცხადია, რომ ეს ცოტა არ არის, თუ ყველაფერი ეს ჩემს ბუნებას ეკუთვნის. მაგრამ რატომ არ უნდა ეკუთვნოდეს? განა მე არა ვარ ის, ვინც აი ახლა ეჭვობს თითქმის ყველაფერში, ვისაც მიუხედავად ამისა აქვს ზოგიერთი საგნის გაგებისა და მიხვდომის უნარი, ვინც არწმუნებს და ადასტურებს, რომ მხოლოდ ესა და ეს არის ჭეშმარიტიო, ვინც უარჰყოფს ყველა დანარჩენს, ვისაც უნდა და სურს მეტი იცოდეს, ვისაც არ სურს მოტყუებული იქნეს, ვინც წარმოიდგენს ბევრ საგანს (ზოგჯერ თავის თავისათვის სამწუხაროდ) და გრძნობს კიდევ ამდენსავე თითქოს სხეულის ორგანოთა მეშვეობით? განა არის ყველა ამაში ისეთი რამე, რაც იმნაირადვე ჭეშმარიტი არ იყოს, როგორც ჭეშმარიტია ის, რომ მე ვარ და ვარსებობ, კიდევაც რომ მეძინოს მუდამ და კიდევაც მთელს ფავის მოხერხებას ხმარობდეს ჩემს მოსატყუებლად ის, ვინც მე არსებობა მომცა? გარდა ამისა, არის განა ამ ატრიბუტებში ერთი რომელიმე ისეთი, რომელიც შეიძლებოდა განსხვავებული ყოფილიყო ჩემი აზროვნებისაგან ან რომლის შესახებ შესაძლებელი ყოფილიყო თქმა, რომ ის განცალკევებულია ჩემგან? რომ სწორედ მე ვარ ის, ვინც ვეჭვობ და ვისაც მაქვს გაგება და სურვილი, ამის განსამარტავად საჭირო არ არის აქ რაიმეს დამატება, აგრეთვე უეჭველად მე მაქვს წარმოსახვის უნარი; თუმცა შეიძლება მოხდეს (როგორც მე ზევით მქონდა დაშვებული), რომ საგნები, რომლებსაც მე წარმოვისახავ, არ იყვნენ ჭეშმარიტი, მაგრამ ეს წარმოსახვის უნარი ამით არ სწყვეტს ჩემში ნამდვილად ყოფნას და რჩება ჩემი აზროვნების ნაწილად. დაბოლოს, მე ვარ სწორედ ის, ვინც გრძნობს, ე. ი. ამჩნევს[4], ზოგიერთ

---

[1] Conçoit.

[2] Affirme (bejaht, ადასტურებს).

[3] წარმოიდგენს.

[4] Apercoit.

საგანს თითქოს გრძნობის ორგანოების საშუალებით, რადგან მე ნამდვილად ვხედავ სინათლეს, მესმის ხმაურობა, ვგრძნობ სიცხეს. მაგრამ მე მეტყვიან, რომ ყველა ეს მოჩვენება ყალბია და რომ მე მძინავს. ასედაც იყოს: მაინც ყოველ შემთხვევაში ის ხომ სანდოა, რომ მე მეჩვენება, თითქოს მე სინათლეს ვხედავ, ხმაურობა მესმის, სიცხეს ვგრძნობ. ეს არ შეიძლება იყოს შეცდომა, და სწორედ ეს არის ის, რასაც ჩემში ეწოდება გრძნობა; ეს კი, ზუსტად, სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება. აქედან ცოტა უფრო მეტი სინათლითა და გარკვეულობით, ვიდრე უწინ, მე ვიწყებ იმის შემეცნებას, თუ როგორი ვარ მე.

მაგრამ მაინც მე მეჩვენება კიდევ და არ შემიძლია არ მჯეროდეს, რომ ნივთიერი საგნები, რომელთა სახეები აზროვნების მიერ იქმნებიან, რომელნიც გრძნობებს ექვემდებარებიან[1] და რომელთაც თვითონ გრძნობები სინჯავენ, ბევრად უფრო გარკვეულად არიან შეცნობილი, ვიდრე ეს რაღაც ნაწილი ჩემი, რომელიც წარმოსახვას არ ექვემდებარება; თუმცა შეიძლება მართლაც საკვირველი იყო იმის თქმა, რომ მე ის საგნები, რომელთა არსებობა საეჭვოდ შეჩვენება, რომელნიც ჩემთვის უცნობი არიან და რომელნიც მე სრულიად არ მეკუთვნიან, ვიცი და მესმის[2] უფრო გარკვეულად, ვიდრე ისინი, რომელთა ჭეშმარიტებაში მე დარწმუნებული ვარ, რომელნიც ჩემთვის ცნობილი არიან და რომელნიც ეკუთვნიან ჩემს საკუთარ ბუნებას,—ერთი სიტყვით, ვიცი უფრო გარკვეულად, ვიდრე ჩემი საკუთარი თავი. მაგრამ მე კარგად ვხედავ, თუ რა არის ეს: ჩემი გონება მოხეტიალეა, რომელსაც მოსწონს უგზო-უკვლოდ ხეტიალი და რომელიც არ არის კიდევ შეჩვეული, რომ ის ჩაეერილი ჰყავდეთ ჭეშმარიტების სწორ საზღვრებში. ამიტომ მოვუშვათ მას ერთხელ კიდევ აღვირი, მივცეთ ყოველმხრივი თავისუფლება და ნუ დავუშლით უცქიროს იმ საგნებს, რომლე-

---

[1] ე. ი. გრძნობათა საშუალებით შეიცნობიან (მთარგმნ. შენ.).

[2] Comprenne.

ბიც მას გარეთ ეჩვენებიან, რათა ამის შემდეგ ნელა და დროულად მოვწიოთ აღვირი და დავაკისროთ ჩემს გონებას განხილვა თავისი არსებისა და იმ თვისებათა, რომელთაც ის მასში პოულობს. ამის შემდეგ ჩემი გონების მოქცევა კანონიერ ფარგლებში და მისი ხელმძღვანელობა იქნება უფრო ადვილი.

განვიხილოთ ახლა ის საგნები, რომლებსაც ჩვეულებრივ ყველაზე უფრო ადვილად შესაცნობ საგნებად თვლიან და რომლების შესახებ აგრეთვე დარწმუნებული არიან, რომ ისინი ყველაზე უფრო გარკვეულადაა შეცნობილი. ეს საგნებია სხეულები, რომლებსაც ჩვენ ვეხებით და რომლებსაც ვხედავთ. მაგრამ განვიხილოთ ჩვენ ნამდვილად არა სხეულები საზოგადოდ, ვინაიდან ეს ზოგადი წარმოდგენები[1] ჩვეულებრივ ცოტათი უფრო ბუნდოვანია, არამედ განვიხილოთ ერთი რომელიმე სხეული კერძოდ. ავიღოთ, მაგალითად, სანთლის აი ეს ნაჭერი: ის სულ ახლახან იყო ამოღებული სკის ბუკიდან, მას ჯერ არ დაუკარგავს თაფლის სიტკბო, რომელიც მას ჰქონდა, მას ოდნავ შერჩენილი აქვს კიდევ იმ ყვავილების სუნი, რომელთაგანაც იყო ის შეგროვებული; მისი ფერი, მისი აღნაგობა, მისი სიდიდე ცხადად მოჩანან; ის მაგარია, ის ცივია, ის პლასტიურია[2], და თუ თქვენ დაარტყამთ მას ზევიდან, ის გამოსცემს ბგერას. დაბოლოს, სანთლის ამ ნაჭერში მოიპოვება ყველა ის თვისება, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულად შეგვაცნონ სხეული. მაგრამ აი ჩემი ლაპარაკის დროს ეს სანთელი მიუახლოვეს ცეცხლს: გაჰქრა გემო, რომელიც დარჩენილი იყო მასში, გაიფანტა სუნი, შეიცვალა მისი ფერი, დაიკარგა მისი აღნაგობა, იმატა მისმა სიდიდემ, ის სითხედ იქცა, ის გაცხელდა, ძლივს თუ შეიძლება მას ხელი მივაკაროთ, და, თუ მას ზევიდან დაარტყეს, ის უკვე არავითარ ბგერას არ გამოსცემს. ამ ცვლილების შემდეგ დარჩა თუ არა იგივე სანთელი? უნდა ვაღიაროთ,

---

[1] Notions générales.

[2] Maniable.

რომ ის დარჩა: არავის არ აქვს ამის ეჭვი, არავინ არ მსჯელობს ამის შესახებ სხვანაირად. რა არის, მაშასადამე, იგი, რაც ასეთი გარკვეულობით[1] შეიცნობოდა სანთლის ამ ნაჭერში? ცხადია, იგი არ შეიძლება იყოს ისეთი რამე, რაც მე გრძნობათა მეშვეობით შევნიშნე, ვინაიდან ყველაფერი, რაც შეინიშნებოდა გემოვნებით, ყნოსვით, ხედვით და სმენით, შეცვლილია, სანთელი კი დარჩა იგივე. შეიძლება, იგი იყოს ის, რასაც მე ახლა ვფიქრობ, სახელდობრ, რომ ეს სანთელი არ იყო არც თაფლის ის გემო, არც ყვავილთა ის საამური სუნი, არც ის სითეთრე, არც ის აღნაგობა, არც ის ბგერა, არამედ ის იყო მხოლოდ სხეული, რომელიც ამაზე წინ მეჩვენებოდა მე ამ ფორმებით და რომელიც ამჟამად იგრძნობა სხვა ფორმებით. ბაგრამ, ზუსტად რომ ითქვას, რა არის ის, რასაც მე წარმოვიდგენ, როდესაც ამ სანთელს ამნაირად შევიცნობ? დავაკვირდეთ ამას ყურადღებით, გამოვრიცხოთ ყველაფერი, რაც სანთელს არ ეკუთვნის, და დავხედოთ, რა რჩება. ცხადია, რომ რჩება, მხოლოდ რაღაც ვრცეული საგანი, რომელიც შეიძლება მოვქნათ და ავამოძრავოთ. მაგრამ რას ნიშნავს „შეიძლება მოქნათ", „შეიძლება ავამოძრავოთ"? ეს ხომ არ არის ის, რომ მე წარმოვიდგენ, რომ ამ სანთელს, რომელიც მრგვალია, შეუძლია ოთხკუთხიანად იქცეს და ოთხკუთხიანიდან სამკუთხიან ფიგურად გადაიქცეს? ცხადია, რომ არა, ვინაიდან მე ისე მაქვს ეს სანთლის ნაჭერი გაგებული, რომ მას ამგვარ ცვლილებათა უსაზღვრო რიცხვი შეუძლია გამოსცადოს, და მე ჩემი წარმოსახვის უნარით ვერ შევძლებდი ამ უსაზღვრო ცვლილებათა ამოწურვას და, მაშასადამე, ის ცნებაც[2], რომელიც მაქვს მე სანთლის შესახებ, არ იქმნება წარმოსახვის (წარმოდგენის) საშუალებით. რა არის ახლა ეს ვრცეულობა[3], ესეც უცნობი ხომ არ არის? იგი ხომ დიდდება, როდესაც სანთელი დნება, უფრო დიდდება, როდესაც სანთელი დუღს, და კიდევ

[1] Distinction.
[2] Conception.
[3] Extension, განფენილობა.

უფრო დიდდება, როდესაც სიცხე მატულობს. და მე ვერ გავიგებდი ნათლად და ჭეშმარიტად, რა არის სანთელი, თუ არ ვიფიქრებდი, რომ თვით ამ ნაჭერს, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, აქვს უნარი თავის ვრცეულობის (განფენილობის) იმდენი ცვლილება მიიღოს, რამდენიც მე მის შესახებ არასოდეს წარმომიდგენია. მაშასადამე, უნდა დავეთანხმო იმას, რომ წარმოსახვის (წარმოდგენის[1]) საშუალებით მე ვერც კი მივწვდებოდი, რა არის სანთლის ეს ნაჭერი, და მხოლოდ ჩემი გაგების უნარი[2] წვდება ამას. მე ვლაპარაკობ კერძოდ სანთლის ამ ნაჭერის შესახებ, ვინაიდან ზემონათქვამი კიდევ უფრო ცხადია საზოგადოდ სანთლის მიმართ. მაგრამ როგორია სანთლის ეს ნაჭერი, რომელიც საწვდომია მხოლოდ გაგებისა და გონების[3] საშუალებით? ცხადია, რომ ეს იგივეა, რაც ის სანთელი, რომელსაც მე ვხედავ, რომელსაც ვეხები, რომელსაც წარმოვიდგენ, და, ბოლოს, ეს ის სანთელია, რომლის შესახებ მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ის იყო დასაწყისში[4]. მაგრამ აქ უნდა ძალიან დიდი ყურადღებით აღინიშნოს, რომ ჩემი წვდომა[5] არ არის არც ხედვა, არც შეხება, არც წარმოსახვა, და არც არასოდეს ყოფილა იგი ისეთი რამ, თუმცა მე იგი უწინ ასეთად მეჩვენებოდა, არამედ ის არის მხოლოდ გონებით ხილვა[6], რომელიც შეიძლება იყოს უსრულო და ბუნდოვანი, როგორიც იყო ის წინათ, ან, პირიქით, ნათელი და გარკვეული[7], როგორიც არის ის ამჟამად,—იმისდა მიხედვით, მეტად თუ ნაკლებად არის მიპყ-

---

[1] Imagination.

[2] Entendement.

[3] Esprit.

[4] C'étoit au commencement—ის იყო დასაწყისში, იმთავითვე. აზრი ის არის, რომ გაგებისა და გონების საშუალებით საწვდომი სანთელი არის საწყისი, სათავე ან პრინციპი გრძნობათა· საშუალებით შეცნობილი სანთლისა (მთარგმნ. შენ.).

[5] Perception.

[6] Inspection de l'esprit.

[7] Claire et distincte.

რობილი ჩემი ყურადღება იმისაკენ, რაც ამ სანთელში არის და რისგანაც ის შედგენილია.

ამასობაში მე ძალიან გაკვირვებული ვარ, როდესაც ვუცქერი, რამდენად სუსტია ჩემი გონება და რამდენად ძლიერია მასში მიდრეკილება, რომელსაც შეუმჩნეველად შეჰყავს ის შეცდომაში, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მე ყველა ამას განვიხილავ ჩუმად, სიტყვები მაინც მიშლიან, და მე თითქმის მოტყუებული ვრჩები ჩვეულებრივი ენის ტერმინებით: როდესაც ჩვენ წინაშე არის სანთელი, ჩვენ ვამბობთ ხოლმე, რომ ვხედავთ იმავე სანთელს, ნაცვლად იმის თქმისა, რომ ჩვენ იმის გამო, რომ სანთელს იგივე ფერი და იგივე ფიგურა აქვს, ვსჯით[1], რომ ის იგივეა: ამიტომ მე თითქმის მზად ვარ ასეთი დასკვნა გამოვიყვანო, რომ სანთელს შეიცნობენ თვალების ხედვით და არა მხოლოდ და მხოლოდ გონების სილვით. მე რომ გამეხედა ფანჯარაში და შემთხვევით დამენახა ქუჩაში მიმავალი ადამიანები, რომელთა დანახვის დროს მე ყოველთვის ვამბობ, რომ ვხედავ ადამიანებს, სწორედ ამის მსგავსად ვამბობ მე, რომ ვხედავ სანთელს: ამასობაში კი რას ვხედავ მე ფანჯრიდან, თუ არა ქუდებსა და მოსასხამებს, რომლებითაც ხომ შესაძლებელი იყო შეემოსათ ხელოვნურად ამოძრავებული მანქანები? მაგრამ მე ვსჯი, რომ ესენი ადამიანებია, და ამრიგად მე ჩემს გონებაში მოთავსებული მსჯელობის უნარის[2] საშუალებით (და არა სხვა რაიმეთი) ვწვდები იმას, რის შესახებ ვფიქრობდი, რომ მე ვხედავ მას ჩემი თვალებით.

კაცს, რომელიც ცდილობს თავისი ცოდნა ჩვეულებრივ დონეზე აამაღლოს, უნდა რცხვენოდეს საბაბი თავისი დაეჭვებისათვის თქმის იმ ფორმებიდან მიიღოს, რომლებიც ბრბოს მიერაა გამოგონებული. მე მირჩევნია გავცდე ამას და განვიხილო, როდის ვწვდებოდი მე მეტის სიცხადითა[3] და სისრულით, თუ რა არის სანთელი: მაშინ ვწვდებოდი, რო-

---

[1] Jugeons.
[2] La puissance de juger.
[3] Évidence.

დესაც ის მე პირველად შევნიშნე და როდესაც ვფიქრობდი, რომ მე მას შევიცნობ გარეგანი გრძნობებით ან, ყოველ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული საზოგადო გრძნობით[1], ე. ი. წარმოსახვის უნარით,—თუ ვწვდები ამას ახლა, იმის შემდეგ, რაც უფრო ბეჯითად გავსინჯე, რა არის ეს სანთელი და რა გზით შეიძლება იყოს ის შეცნობილი? ცხადია, რომ სასაცილო იქნებოდა ამის შესახებ ეჭვი. მართლაც, რა იყო პირველ წარმოდგენაში[2] ისეთი, რაც გარკვეული ყოფილიყო? რა იყო იქ ისეთი, რაც უკანასკნელი პირუტყვის გრძნობებსაც კი არ შეეძლო იმნაირადვე შეემჩნია? მაგრამ, როდესაც მე ვარჩევ სანთელს მისი გარეგნული ფორმებისაგან და თითქოს ვაცლი მას მის სამოსელს და ვაკვირდები მას სრულიად გაშიშვლებულს, ცხადია, რომ ამნაირად სანთლის წვდომა მე არ შემიძლია ადამიანის გონების[3] გარეშე, თუმცა შესაძლებელია კიდევ იყოს დარჩენილი რაიმე შეცდომა ჩემს ნსჯელობაში.

მაგრამ, დაბოლოს, რას ვიტყვი მე ამ გონების შესახებ, ე. ი. თვითონ ჩემს შესახებ? მე ხომ ჯერჯერობით არ მაქვს დაშვებული, რომ რამე სხვა, გარდა გონებისა, არსებობს ჩემში. მაშ რა? ნუთუ მე, რომელიც, როგორც ჩანს, ასეთი სიწმინდით[4] და გარკვეულობით[5] შევიცნობ სანთლის ამ ნაჭერს, არ ვიცნობ ჩემს საკუთარ თავს მეტი გარკვეულობითა და სიწმინდით, არამცთუ უფრო ჭეშმარიტად და უფრო ცხადად? მართლაც, თუ იმის გამო, რომ მე ვხედავ სანთელს, მე ვსჯი, რომ ეს სანთელი არის ან არსებობს, უეჭველია, რომ იქიდან, რომ მე სანთელს ვხედავ, გაცილებით მეტი სიცხადით გამომდინარეობს, რომ თვითონ მე ვარ ან ვარსებობ. შესაძლებელია, რომ ის, რასაც მე ვხედავ, ნამდვილად არ იყოს სანთელი; ისიც შესაძლებელია, რომ თვა-

---

[1] Le sens commun.
[2] Perception.
[3] Esprit.
[4] Netteté.
[5] Distinction, გარჩეულობით.

ლებიც კი სრულიად აღარ მქონდეს საგნების დასანახავად; მაგრამ შეუძლებელია, რომ მე, რომელიც ვფიქრობ, არაფერი არ ვიყო მაშინ, როდესაც მე ვხედავ, ან, რაც იგივეა[1], როდესაც მე ვფიქრობ, რომ ვხედავ. ამისდა მსგავსად, თუ იმის გამო, რომ ვეხები სანთელს, მე ვსჯი, რომ სანთელი არსებობს; აქედან გამოიყვანება ისევ ის დასკვნა, სახელდობრ, რომ მე ვარ; და, თუ მე იმის გამო, რომ ჩემი წარმოსახვა ან სხვა რომელიმე მიზეზი მაჯერებს ამაში, ვსჯი, რომ სანთელი არსებობს, აქედანაც მე ისევ იმ დასკვნას[2] გამოვიყვან ყოველთვის. რაც მე აქ აღვნიშნე სანთლის შესახებ, ის შეიძლება ითქვას ყოველ სხვა საგანზე, რომელიც გარეგნულია ჩემთვის და რომელიც ჩემ გარეშე იმყოფება. გარდა ამისა, თუ სანთლის ცნება[3] ან წარმოდგენა[4] მე მომეჩვენა მეტი სიწმინდითა და მეტი გარკვეულობით მას შემდეგ, რაც ის არა მხოლოდ მხედველობამ და შეხებამ, არამედ კიდევ მრავალმა სხვა მიზეზმა აქცია უფრო ცხადად[5], უნდა ვაღიარო, რომ გაცილებით უფრო მეტი სიცხადით[6], გარკვეულობით და სიწმინდით შევიცნობ მე ახლა ჩემს საკუთარ თავს, ვინაიდან ყველა ის საბუთი, რომლებიც ემსახურებიან სანთლის ან სხვა რომელიმე სხეულის ბუნების შეცნობას და მიწვდომას[7], ბევრად უკეთესად ამტკიცებენ ჩემი გონების ბუნებას. და თვით გონებაში სხვა რამე, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს მისი ბუნების გაშუქებას, იმდენი მოიპოვება, რომ ის მოსაზრებანი, რომელნიც სხეულისაგან არიან დამოკიდებული (ასეთებია კი ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი), თითქმის არც კი არიან იმის ღირსი, რომ იმისი ანგარიშში იქნენ მიღებული.

---

[1] ე. ი. ერთი და იგივეა „ვხედავ“ და „ვფიქრობ, რომ ვხედავ“ (მთარგმნ. შენ.).

[2] ე. ი. რომ მე ვარსებობ (მთარგმნ. შენ.).

[3] Notion.

[4] Perception.

[5] Manifeste.

[6] Evidence.

[7] Connoitre et concevoir.

მაგრამ აი, ბოლოს, მე უკვე მიმიღწევია შეუმჩნევლად იქამდის, სადაც მინდოდა მისვლა: მართლაც, ვინაიდან ჩემთვის ახლა ცხადია, რომ თვით სხეულები ნამდვილად შეცნობილი არიან არა გრძნობებით ან წარმოსახვით[1], არამედ მხოლოდ გაგების უნარით, და ეს სხეულებიც შეიცნობიან არა იმით, რომ ისინი დაინახეს ან მათ შეეხენ, არამედ მხოლოდ იმით, რომ ისინი აზროვნებით იქნენ გაგებული და მიწვდომილი[2]. ამიტომ მე ნათლად ვხედავ, რომ არაფერია ისეთი, რაც უფრო ადვილად იყოს ჩემ მიერ შესაცნობი, ~~ვიდრე ჩემი~~ გონება. / მაგრამ ძნელია უცბად დააღწიო თავი დიდი ხნის განმავლობაში შეჩვეულ შეხედულებას. ამიტომ კარგია, თუ მე ცოტაოდენს შევჩერდები ამ ადგილზე, რათა ფიქრის გახანგრძლივებით უფრო ღრმად ჩავიბეჭდო ჩემს მეხსიერებაში ეს ახალი ცოდნა.

---

[1] წარმოდგენით.

[2] Entendus et compris.

მანაზრება მესამე

ღმერთის შესახებ, რომ იგი არსებობს

ახლა მე დავხურავ თვალებს, დავიცობ ყურებს, შევაკავებ ყველა ჩემს გრძნობას, ჩემი აზრიდანაც კი ამოვშლი ნივთიერ საგანთა ყველა სახეს, ანდა, ვინაიდან ამის გაკეთება ძალიან ძნელია, მე ამ სახეებს ჩავთვლი, როგორც ყალბსა და ამაოს. ამრიგად, მეექნება რა საქმე მხოლოდ ჩემს თავთან და გამოვიკვლევ რა ჩემს შინაგან რაობას, მე ვეცდები ვაქციო ჩემი თავი თანდათან ჩემთვის უფრო ცნობილ და უფრო ახლობელ არსებად. მე ვარ ისეთი საგანი, რომელიც აზროვნებს, ე. ი. რომელიც ეჭვობს, რომელიც ჰოჰყოფს[1] (affirme), რომელიც უარჰყოფს, რომელმაც იცის ცოტა რამ, რომელმაც არ იცის ბევრი რამ, რომელსაც უყვარს, რომელსაც სძულს, რომელსაც სურს, რომელსაც არ სურს, რომელიც აგრეთვე წარმოისახავს, რომელიც გრძნობს; ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუმცა საგნები, რომლებსაც მე ვგრძნობ და რომლებსაც წარმოვისახავ, შესაძლებელია სრულიადაც აღარ არსებობდნენ ჩემ გარეშე და თავისთავად, მიუხედავად ამისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ აზროვნების ეს ფორმები, რომლებსაც მე სახელად გრძნობებსა და წარმოსახვებს ვუწოდებ, უეჭველად იმყოფებიან და მოიპოვებიან ჩემში, რამდენადაც ისინი აზროვნების ფორმებია. და ამ ცოტა რამეში, რაც ახლა ვთქვი, მე, როგორც ვფიქრობ, გამოვთქვი ყველაფერი, რაც ჭეშმარიტად ვიცი, ან ყოველ შემთხვევაში, რის შესახებ აქამდე შემინიშნავს, რომ იგი ვიცი. ახლა, რათა ვცადო ჩემი ცოდნის წინწაწევა, გაფართოება, მე გავაკე-

---

[1] „ჰოყოფა" არის მთარგმნელის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმი. იგი უდრის ლათინურს—affirmare, გერმანულს—bejahen და რუსულს—утверждать (მთარგმნ. შენ.).

თებ მიმოხილეას და ბეჯითად დავაკვირდები, ხომ არ შეეძ-
ლებ აღმოვაჩინო ჩემში კიდევ ისეთი რამ, რაც მე ჯერ იქ
არ შემინიშნავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვარ მოაზროვ-
ნე საგანი. მაგრამ განა არ ვიცი მე აგრეთვე ისიც, თუ რა
არის საჭირო, რათა მე რაიმეში დავრწმუნდე? ამ პირველს
ცოდნაში, ცხადია, არაფერია ისეთი, რაც მე მის ჭეშმარი-
ტებაში მარწმუნებს, თუ არა ნათელი და გარკვეული შენიშვ-
ნა[1] იმისა, რასაც ვამბობ; და ეს შენიშვნა ნამდვილად არ
იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რათა მე დავერწმუნებინე,
რომ ჩემი ნათქვამი ჭეშმარიტია, თუ ოდესმე შესაძლებელი
იქნებოდა ისეთი შემთხვევა, რომ ის, რასაც მე ასევე ნათ-
ლად და გარკვეულად შევიცნობ[2], ყოფილიყო ყალბი. აქედან
გამოსული, მე ვფიქრობ, რომ უკვე შემიძლია დავადგინო
ზოგად წესად შემდეგი დებულება: ყოველი საგანი, რომელ-
საც ჩვენ შევიცნობთ ძალიან ნათლად და ძალიან გარკვეულად,
ჭეშმარიტია[3].

მაგრამ მე ამაზე წინ ხომ ძალიან სანდოდ და ძალიან
ცხადად[4] მქონდა ჩათვლილი მრავალი საგანი, რომლებიც
მე შემდეგ, მიუხედავად ამისა, ძალიან საეჭვოდ და ძა-
ლიან არასანდოდ ვცანი. მაშ, რომელი იყო ეს საგნები?
ესენი იყვნენ: მიწა, ცა, ვარსკვლავები და ყველაფერი,
რაც მე ჩემს გრძნობათა მეშვეობით მქონდა შემჩნეული.
რაღა მქონდა მე მათში ნათლად და გარკვეულად შეც-
ნობილი? ცხადია, რომ არაფერი გარდა იმისა, რომ ამ
საგნების იდეები ან აზრები წარმოდგენილი იყვნენ ჩემს გო-
ნებაში. ამჟამადაც მე არ უარვყოფ, რომ ეს იდეები იმყო-
ფებიან ჩემში. მაგრამ იყო კიდევ სხვა რაღაც, რის შესა-
ხებ მე ვამბობდი და, ჩემი ჩვეულების ძალით დარწმუნებული,
კიდევაც ვფიქრობდი, რომ მე მას ძალიან ნათლად ვამჩნევ:

---

[1] Perception.

[2] Concevrois.

[3] დედანში ასეა: Toutes les choses que nous concevons fort clairement et fort distinctement sont toutes vraies.

[4] Manifestes.

ეს სხვა რაღაც იყო სახელდობრ ის, რომ ჩემ გარეშე არსებობენ საგნები, რომლებისგანაც წარმოიშობიან ეს იდეები და რომლებსაც ესენი (იდეები) სრულიად ემსგავსებიან; და სწორედ აი ამაში ვტყუვდებოდი მე; ანდა, თუ მე, შესაძლებელია, ჭეშმარიტად ვმსჯელობდი, ამ მსჯელობის ჭეშმარიტების მიზეზი არ იყო არავითარი ცოდნა, რომელიც მე თითქოს მქონებოდა.

მაგრამ, როდესაც მე განვიხილავდი ხოლმე ძალიან მარტივსა და ძალიან ადვილს რასმე არითმეტიკისა და გეომეტრიის დარგში, — მაგალითად, იმას, რომ ორისა და სამის შეერთება იძლევა რიცხვს ხუთს და სხვა ამის მსგავს საგნებს,—განა არ შევიცნობდი მე ამათ ყოველ შემთხვევაში საკმაოდ ნათლად იმისათვის, რათა მეთქვა, რომ ისინი ჭეშმარიტი იყვნენ? თუ მე შემდეგ განვაცხადე, რომ შეიძლება ეჭვი ასეთ რამეში, მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე მომივიდა აზრად, რომ შესაძლებელია რაიმე ღვთაებას მოენიჭებინა ჩემთვის ისეთი ბუნება, რომ მე ვტყუვდებოდე ისეთ საგნებშიც კი, რომლებიც მე უცხადესად მეჩვენებიან. მაგრამ ყოველთვის, როდესაც ჩემს აზრს წარმოუდგება ხოლმე ამაზე წინ შედგენილი შეხედულება რაღაც ღვთაების უაღრესი ძლიერების შესახებ, მე იძულებული ვარ ვაღიარო, რომ მისთვის ადვილია, თუ კი სურს, ისე გააკეთოს, რომ მე ვტყუვდებოდე თვით ისეთ საგნებშიც კი, რომლების შესახებ დარწმუნებული ვარ, რომ მე მათ ძალიან ნათლად შევიცნობ; და პირუკუ, ყოველთვის, როდესაც მე მივიქცევი ხოლმე იმ საგნებისაკენ, რომლების შესახებ ვფიქრობ, რომ მე მათ ძალიან ნათლად შევიცნობ, იმდენად დარწმუნებული ვარ ამ საგნების მიერ, რომ მე ვაძლევ ნებას გამიტაცოს შემდეგმა სიტყვებმა: მატყუოს, ვისაც შეუძლია, თუ კი იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს გააკეთოს ისე, თითქოს მე არა ვიყო რა იმ დროს, როდესაც ვფიქრობ, რომ რაღაცა ვარ, ანდა რომ ოდესმე ჭეშმარიტად იქცეს ის, თითქოს მე არასოდეს არ ვყოფილვარ, იმ დროს, როდესაც ჭეშმარიტებაა ის, რომ მე ამჟამად ვარ, ან კიდევ, რომ ორისა და სამის შეერთება

ქმნიდეს მეტს ან ნაკლებს ხუთზე, ან ამის მსგავს რაღაცრასაც, როგორც მე ნათლად ვხედავ, არ შეუძლია იყოს სხვანაირად, ვიდრე მე მათ შევიცნობ.

და ვინაიდან მე არ მაქვს არავითარი საბუთი მწამდეს, რომ არის რაღაც ღმერთი, რომელიც მატყუარაა, და ვინაიდან მე ჯერ არ განმიხილავს თვით ის საბუთებიც კი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღმერთი არსებობს, ფრიად ბუნებრივია და, აგრე რომ ითქვას, მეტაფიზიკურია ის საფუძველი ეჭვისათვის, რომელიც ამ შეხედულებისაგან არის დამოკიდებული. მაგრამ, რათა შესაძლებელი შეიქნეს სრულიად გავაბათილო ეს საფუძველი, მე უნდა პირველი საბაბის გამოჩენისთანავე გავსინჯო, არსებობს თუ არა ღმერთი. და თუ აღმოვაჩინე, რომ რაღაც ღმერთი არსებობს, მე უნდა ისიც გავსინჯო, შესაძლებელია თუ არა, რომ იგი მატყუარა იყოს; ვინაიდან მე ვერ ვხედავ, რომ ამ ორი ჭეშმარიტების ცოდნის გარეშე ოდესმე ზემეძლოს დარწმუნებული ვიყო რომელიმე საგანში. და რათა მე მომეცეს საბაბი გავსინჯო ეს აზროვნების იმ თანრიგის[1] წესის დაურღვეველად, რომელიც მე ჩემს თავს წინასწარ დავუსახე და რომელიც იმაში შედგება, რათა იმ ცნებებიდან, რომლებსაც პირველად აღმოვაჩენ ჩემს გონებაში, მე საფეხურებრივ, თანდათან[2] გადავდიოდე იმ ცნებებისაკენ, რომლებსაც იქ შემდეგ შევძლებ აღმოვაჩინო—საჭიროა აქვე, რომ ყველა ჩემი აზრი გავანაწილო ჯგუფებად და განვიხილო, საკუთრივ რომელ ჯგუფშია ჭეშმარიტება თუ შეცდომა.

ჩემს აზრთა შორის ზოგიერთები თითქოს საგანთა ხატებია (სახეებია)[3], და მხოლოდ ამათ შეეფერება სწორედ იდეის სახელწოდება: მაგალითად, როდესაც მე წარმოვიდგენ[4] ან კაცს, ან ქიმერას, ან ცას, ან ანგელოზს, ან თვით ღმერთს. სხვებს ამათ გარეშე აქვთ რაღაც სხვა ფორმა: მა-

[1] L'ordre.
[2] Par degrés.
[3] Images.
[4] Je me représente.

ვალითად, როდესაც მე ან მსურს, ან მეშინია, ან ჰოვყოფ, ან უარვყოფ, მაშინ მე კარგად ვწვდები რომელიმე საგანს, როგორც ჩემი გონების მოქმედების ქვემდებარეს[1]; მაგრამ ამ მოქმედებით მე იმ იდეას, რომელიც მე მაქვს ამ საგნიდან, ვამატებ კიდევ რაღაც სხვას; და აი აზრთა ამ ჯგუფიდან ზოგს ეწოდება სახელად ნებელობა[2] ან ვნება[3], სხვებს კი მსჯელობა[4].

ახლა, რაც შეეხება იდეებს, ისინი, ზუსტად რომ ითქვას, არ შეიძლება მცდარი იყვნენ, თუ ჩვენ მათ ავიღებთ თავისთავად და არ დავაყენებთ მიმართებაში რომელიმე სხვა საგანთან. ვინაიდან, როდესაც მე წარმოვიდგენ[5] თხას ან ქიმერას, არა ნაკლებ ჭეშმარიტია ის, რომ მე წარმოვიდგენ ერთს, ვიდრე ის, რომ მე წარმოვიდგენ მეორეს. არც ის არის საშიშარი, რომ ჩვენ წავაწყდებით შეცდომას ვნებასა ან ნებელობაში: ვინაიდან, თუმცაღა მე შემიძლია მსურდეს ცუდი საგნები ან თვით ისეთებიც კი, რომლებიც არასოდეს არ არსებულან, მაგრამ ამის გამო არაფერი აკლდება მაინც იმ ჭეშმარიტებას, რომ მე ისინი მსურს. ამრიგად რჩება მხოლოდ მსჯელობები, რომლებსაც უნდა ბეჯითად გავუფრთხილდე, რათა მე მათში არ მოვტყუვდე. მაგრამ მთავარი და ყველაზე უფრო ჩვეულებრივი შეცდომა, რომელიც კი შეიძლება იქ შემხვდეს, იმაში შედგება, რომ მე ვმსჯელობ, რომ ჩემში არსებული იდეები ემსგავსებიან ან შეეფერებიან[6] ჩემ გარეშე არსებულ საგნებს; ვინაიდან ცხადია, რომ იდეები არ მომცემდა შეცდომისათვის საბაბს, თუ მე იდეებს შევხედავდი მხოლოდ როგორც ჩემი აზრის სახეცვლილებას[7] ან ფორმას[8] და არ მოვისურვებდი მათ დაყენებას რომელიმე გარეგან საგანთან მიმართებაში.

---

[1] Sujet.
[2] Volontés.
[3] Affections.
[4] Jugements.
[5] J'imagine.
[6] Sont semblables ou conformes.
[7] Modes.
[8] Façons.

მე ისე მეჩვენება, რომ ამ იდეათა შორის ზოგიერთი დაბადებულია ჩემთან ერთად, სხვები უცხოა და გარედან მომდის, კიდევ სხვები ჩემ მიერ არის შექმნილი და გამოგონებული. მართლაც, ის, რომ მე მაქვს ნიჭი მივხვდე[1] იმას, თუ რას ეწოდება საზოგადოდ ან საგანი, ან ჭეშმარიტება, ან აზრი, — აი ეს, ჩემი შეხედულებით, მე მიღებული მაქვს ჩემი საკუთარი ბუნებიდან და არა სხვა წყაროდან; მაგრამ, თუ მე ახლა მესმის რაიმე ხმაურობა, თუ ვხედავ მზეს, თუ ვგრძნობ სიცხეს, ამჟამამდე მე ისე ვფიქრობდი, რომ ეს გრძნობები წარმოიშობიან ჩემ გარეშე არსებული რაღაც საგნებისაგან; და, დაბოლოს, მე მეჩვენება, რომ სირენები, ჰიპოგრიფები და ყველა მათი მსგავსი ქიმერა ჩემი გონების ფიქციები და გამოგონებანი არიან. მაგრამ ეგების მე იმაშიც შემიძლია დავაჯერო ჩემი თავი, რომ ყველა ეს იდეა იმ იდეათა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებსაც მე ვეძახი უცხოს და რომლებიც გარედან მოდიან, ან რომ ისინი ყველანი ჩემთან ერთად არიან გაჩენილი, ანდა ყველანი ჩემ მიერ არიან გაკეთებული: ვინაიდან მე ჯერ ნათლად აღარ გამირკვევია მათი ნამდვილი წარმოშობა. და რაც მე ამ ადგილას მაქვს უმთავრესად გასაკეთებელი, ესაა ის, რომ შევეხო იმ იდეებს, რომლებიც მე მეჩვენება რაღაც გარეშე საგნებისაგან მომდინარედ, და განვიხილო, რა საბუთის გამო უნდა მჯეროდეს, რომ ისინი ემსგავსებიან ამ საგნებს.

ამ საბუთთა შორის პირველია ის, რომ, ჩემი შეხედულებით, თვითონ ბუნებამ მასწავლა მე ეს; ხოლო მეორეა ის, რომ მე ჩემს საკუთარ თავში განვიცდი[2], რომ ეს იდეები არაა ჩემი ნებისყოფისაგან დამოკიდებული, ვინაიდან ისინი ხშირად წარმომიდგებიან ჩემი ნების წინააღმდეგ—აი როგორც ამჟამად, მიუხედავად იმისა, მინდა მე ეს, თუ არ მინდა, მე ვგრძნობ სიცხეს და ამის გამო მე ვრწმუნდები, რომ სიცხის ეს გრძნობა, ან უკეთ, ეს იდეა, გამოწვეულია

---

[1] Concevoir.

[2] J'expérimente en moi-même.

ჩემში ჩემგან განსხვავებული საგნის მიერ, სახელდობრ, იმ ცეცხლის მიერ, რომლის ახლოსაც ვარ დამჯდარი. და არაფერი არ მიმაჩნია მე იმ მსჯელობაზე უფრო გონიერად, რომ უმალ ეს უცხო საგანი, და არა სხვა რომელიმე, გზავნის და აღბეჭდავს ჩემში თავის სურათს[1].

ახლა საჭიროა განვიხილო, საკმაოდ მაგარი და დამაჯერებელი არიან თუ არა ეს მოსაზრებანი. როდესაც მე ვთქვი, რომ მე მეჩვენება, რომ ეს მასწავლა ბუნებამ, მე ამ „ბუნება“ სიტყვის ქვეშ მესმის ერთგვარი მიდრეკილება, რომელიც მაიძულებს მჯეროდეს ეს[2], და არა ბუნებრივი სინათლე[3], რომელიც მომცემდა იმ ცოდნას, რომ ეს ჭეშმარიტია. გამოთქმის ეს ორი ფორმა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან მე ვერ ვაქცევდი საეჭვოდ იმას, რასაც ბუნებრივი სინათლე მიჩვენებს როგორც ჭეშმარიტს: სწორედ მან დამანახა მე, რომ იმ გარემოებიდან, რომ მე ვეჭვობდი, მე შემეძლო გამეკეთებია დასკვნა[4], რომ მე ვარსებობდი. ამრიგად, ჭეშმარიტის გასარჩევად მცდარისაგან მე არ გამაჩნია სხვა ნიშიერება ან ძალა, რომელსაც შეეძლო ესწავლებია ჩემთვის, რომ ის, რასაც ბუნებრივი სინათლე მიჩვენებს როგორც ჭეშმარიტს, არ არის ასეთი, და რომლის მიმართ მე შემეძლო ისეთივე ნდობა მქონებოდა, როგორც ბუნებრივი სინათლის მიმართ. მაგრამ, რაც შეეხება იმ მიდრეკილებებს, რომლებიც ჩემი შეხედულებით აგრეთვე ბუნებრივია ჩემთვის, მე შემიმჩნევია, რომ ხშირად, როდესაც საკითხი მიადგებოდა არჩევანს სათნოებათა და ბიწიერებათა შორის, ამ მიდრეკილებებს სიავისაკენ არა ნაკლებ მივუზიდივარ, ვიდრე სიკეთისაკენ. აი ამიტომ მე მით უმეტეს არ მაქვს საფუძველი გავუვე მათ ჭეშმარიტებისა და შეცდომის საკითხში. რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, სახელდობრ, იმას, რომ ეს

---

[1] Ressemblance.

[2] ე. ი. მჯეროდეს, რომ ჩვენი გრძნობის იდეათა მიზეზებია მათი მსგავსი გარეშე საგნები (მთარგმნ. შენ.).

[3] Lumière naturelle.

[4] Conclure.

იდეები გარედან უნდა მოდიოდენ, რადგან ისინი არ არიან ჩემი-ნებისყოფისაგან დამოკიდებულნი, მე ეს მოსაზრებაც არ მიმაჩნია დამაჯერებლად. ვინაიდან იმისდა გვარად, რომ ყველა ეს მიდრეკილება, რომლების შესახებ მე ახლა ვლაპარაკობდი, იმყოფება ჩემში, თუმცა ჩემს ნებას ყოველთვის არ ეთანხმება, სწორედ აინაირადვე შესაძლებელია, რომ ჩემში იყოს რაღაც ნიჭიერება ან ძალა, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ეს იდეები რაიმე გარეგანი საგნის დაუხმარებლად; თუმცა ეს ნიჭი ან ძალა შესაძლებელია ჩემთვის ჯერ უცნობი იყოს; აი როგორც აქამდე მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ძილის დროს ეს იდეები ჩნდებიან ჩემში იმ საგანთა დაუხმარებლად, რომელთაც ისინი წარმომიდგენენ. დაბოლოს, კიდევაც რომ დავეთანხმო იმ აზრს, რომ ეს იდეები გამოწვეული არიან საგნებით, აქედან არ გამომდინარეობს აუცილებლად, რომ ისინი მათ უნდა ემსგავსებოდნენ. პირიქით, მე მრავალ მაგალითზე შემინიშნავს, რომ დიდი განსხვავება ყოფილა საგანსა და იდეას შორის. მაგალითად, მე ვპოულობ ჩემში მზის ორს სრულიად განსხვავებულ იდეას. ერთი იდეის წყაროა გრძნობა, და იგი უნდა მოთავსებულ იქნეს იმ იდეათა შორის, რომელთა შესახებ ზევით ვთქვი, რომ ისინი გარედან მოდიან: ამ იდეის მიხედვით, მზე მეჩვენება მე უკიდურესად მცირე საგნად, მეორე იდეა ამოღებულია ასტრონომიის საბუთებიდან, ე. ი. ცნობილი ცნებებიდან, რომლებიც დაბადებულია ჩემთან ერთად, ანდა შექმნილია თვითონ ჩემ მიერ რაღაცნაირად: ამ იდეის მიხედვით მზე მე მეჩვენება მრავალჯერ უფრო დიდად, ვიდრე მთელი დედამიწა. ცხადია, რომ იდეა, რომლებიც მე შემიდგენია მზის შესახებ, არ შეიძლება ორივენი ემსგავსებოდნენ ერთსა და იმავე მზეს; ხოლო გონება მარწმუნებს მე, რომ ის იდეა, რომელიც უშუალოდ მოდის მზის გარეგნულობისაგან[1], უფრო ნაკლებად ემსგავსება მზეს. ყველაფერი ეს მაძლევს მე საკმაოდ იმის ცოდნას, რომ აქამდე მე არა სანდო და წინასწარ მოსაზრებული მსჯელობის საშუა-

[1] Apparence.

ლებით, არამედ მხოლოდ ბრმა და თავხედი მიდრეკილების გამო მჯეროდა, რომ ჩემ გარეშე იმყოფებიან ჩემი არსებობისაგან განსხვავებული საგნები, რომლებიც ჩემი გრძნობის ორგანოების თუ სხვა რაიმე საშუალებათა დახმარებით გზავნიან ჩემსკენ თავის იდეებს ან სახეებს[1] და აღბეჭდავენ ჩემში თავის მსგავსებს[2].

მაგრამ იხსნება კიდევ სხვა გზა იმის გამოსაკვლევად, არის თუ არა იმ საგანთა შორის, რომლების იდეებიც მაქვს მე ჩემში, ისეთი საგნები, რომლებიც არსებობენ ჩემ გარეშე — იხსნება სახელდობრ შემდეგი გზა: თუ ეს იდეები განიხილება მხოლოდ იმ მხრივ, რომ ისინი აზროვნების ესა თუ ის ფორმებია[4], მაშინ მე არ ვცნობ მათ შორის არავითარ განსხვავებას ან უთანასწორობას და მეჩვენება, რომ ყველანი ჩნდებიან ჩემგან ერთი და იმავე წესით; მაგრამ თუ ეს იდეები განიხილება როგორც სახეები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ერთ საგანს, მეორე წარმოადგენს მეორეს, მაშინ, ცხადია, რომ ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართლაცდა, ის იდეები, რომლებიც წარმომიდგენენ მე სუბსტანციებს, უეჭველად რაღაც უფრო მეტი არიან და თავის თავში, ასე ვთქვათ, მეტს ობიექტურ რეალობას შეიცავენ, ე. ი. წარმოდგინების საშუალებით მონაწილეობენ ყოფიერების ან სისრულის მეტს ხარისხში, ვიდრე ის იდეები, რომლებიც მე მხოლოდ მოდუსებს ან აქციდენციებს წარმომიდგენენ. კიდევ მეტი, იმ იდეას, რომლის საშუალებით მე ვწვდები უზენაესს, მარადიულს, უსაზღვროს, ურყევს, ყოვლის მცოდნეს, ყოვლის შემძლეს და ჩემ გარეშე მყოფ ყველა საგნის უნივერსალურ შემოქმედ ღმერთს, თავის თავში უეჭველად მეტი ობიექტური რეალობა აქვს, ვიდრე იმ იდეებს, რომლების საშუალებით მე წარმომიდგება დაბოლოებული[4] სუბსტანციები.

ახლა ცხადია ბუნებრივი სინათლის გამო, რომ გამომწ-

---

[1] Images.
[2] Ressemblences.
[3] Façons.
[4] Finies.

ვევ და მთლიან მიზეზში[1] უნდა იყოს იმდენი სინამდვილე მაინც, რამდენიც არის მის შედეგში: რადგან საიდან მოიტანდა შედეგი თავის სინამდვილეს, თუ არა თავისი მიზეზისაგან? ან ეს მიზეზი როგორ შესძლებდა გადაეცა შედეგისათვის სინამდვილე, თუ მას[2] იგი არ ჰქონდა თავის თავში? და აქედან გამომდინარეობს არა მხოლოდ ის, რომ არარაობა ვერაფერს ვერ შექმნიდა, არამედ აგრეთვე ისიც, რომ არც ერთი რაობა, რომელიც უფრო სრულია, ე. ი. შეიცავს თავის თავში მეტ რეალობას, არ შეიძლება იყოს ნაკლებ სრულის შედეგი და მისგან დამოკიდებული) და ეს ჭეშმარიტება ნათელი და ცხადია[3] არა მხოლოდ იმ შედეგების მიმართ, რომლებსაც აქვთ ფილოსოფოსთა მიერ აქტუალურის ან ფორმალურის სახელით წოდებული[4] სინამდვილე, არამედ აგრეთვე იმ იდეების მიმართ, სადაც განიხილება მხოლოდ ის სინამდვილე, რომელსაც ფილოსოფოსები ობიექტურს უწოდებენ: მაგალითად, ქვას, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა, არ შეუძლია დაიწყოს ახლა არსებობა, თუ იგი არ არის წარმოშობილი ამა თუ იმ საგნით, რომელსაც აქვს გაფორმებულად (formellement) ან ემინენტურად (éminemment) ყველაფერი ის, რაც შედის ქვის შედგენილობაში, ე. ი. რაც თავის თავში შეიცავს იმავე საგნებს ან სხვებს, დიდად უკეთესებს იმაზე, რაც ქვაში მოიპოვება. სითბოც არ შეიძლება გაჩნდეს საგანში, რომელიც მას მოკლებული იყო, გარეშე მეორე საგნისა, რომელიც უნდა იქნეს იმ რიგის[5], იმ ხარისხის[6] ან იმ გვარის[7] მაინც, რომელსაც ისეთივე სისრულე ექნება, როგორიც სითბოს. და ასეა სხვა შემთხვევებშიც. მაგრამ კიდევ, გარდა ამისა, სითბოს ან ქვის იდეა არ იქნებოდა ჩემში,

---

[1] La cause efficiente et totale.
[2] ე. ი. მიზეზს (მთარგმნ. შენ.).
[3] Evident.
[4] Que les philosophes appellent actuelle et formelle.
[5] Ordre.
[6] Degré.
[7] Genze.

რომ იგი არ ყოფილიყო იქ ჩადებული რაიმე მიზეზის მიერ, რომელიც ყოველ შემთხვევაში იმდენ სინამდვილეს მაინც შეიცავდა თავის თავში, რამდენსაც მე ვამჩნევ სითბოში ან ქვაში: ვინაიდან კიდევაც რომ ამ მიზეზმა თავისი აქტუალური (actuelle) ან გაფორმებული (formelle) სინამდვილიდან არაფერი არ გადასცეს ჩემს იდეას, ამის გამო ვინმემ არ უნდა იფიქროს, რომ ეს მიზეზი ნაკლებ ნამდვილი უნდა იყოს, არამედ უნდა ვიცოდეთ შემდეგი: (რამდენადაც ყოველი იდეა არის გონების ნაყოფი, მისი ბუნება ისეთია, რომ იგი მოითხოვს თავისით (de soi) რაიმე სხვა ფორმალურ რეალობას, გარდა იმ რეალობისა, რომელსაც იგი იღებს და სესხულობს აზრისაგან ან გონებისაგან, რომლის მხოლოდ ერთ-ერთი სახეცვლილებაც (mode) არის იგი, ე. ი. არის აზრევნების რაღაც სახე ან ფორმა [1]. მაშასადამე, რათა იდეა შეიცავდეს ამა თუ იმ ობიექტურ რეალობას უფრო მეტად, ვიდრე სხვას, მას უეჭველად უნდა ჰქონდეს იგი რაიმე მიზეზისაგან, რომელშიაც იმდენი ფორმალური რეალობა მაინც მოიპოვება, რამდენ ობიექტურ რეალობასაც შეიცავს ეს იდეა. ვინაიდან, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ამა თუ იმ იდეაში იმყოფება რაღაც, რაც არ მოიპოვება მის მიზეზში, გამოვა, რომ ამ იდეას იგი მიუღია არარაობისაგან. (მაგრამ, რაც უნდა უსრულო იყოს ის ფორმა არსებობისა, რომლითაც საგანი არის ობიექტურად ან თავისი იდეის საშუალებით გონებაში წარმოდგენილად, ცხადია, რომ მაინც არ შეიძლება ითქვას, თითქოს არსებობის ეს ფორმა და სახე (façon et manière) არარა იყოს, და არც ის, მაშასადამე, თითქოს ეს იდეა ჩნდება არარაობისაგან. და მეც არ უნდა ვიფიქრო, რომ, რაკი რეალობა, რომელსაც მე ვამჩნევ ჩემს იდეებში, არის მხოლოდ ობიექტური, ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ იგივე რეალობა გაფორმებულად ან აქტუალურად იყოს ამ იდეების მიზეზებში, არამედ საკმარისია, რომ იგი იყოს მათში აგრეთვე ობიექტურად: ვინაიდან, ისე როგორც ობიექტურად არსებობის ეს ფორმა ეკუთვ-

[1] Une manière ou façon de penser.

ნის იდეებს მათი საკუთარი ბუნებისაგან, სწორედ ამგვარადვე ფორმალურად არსებობის ფორმა ან წესი ეკუთვნის ამ იდეების მიზეზებსაც (ყოველ შემთხვევაში უპირველესებს და უმთავრესებს) მათი საკუთარი ბუნებისაგან. (და თუმცა შესაძლებელია მოხდეს, რომ ერთი იდეა აჩენს მეორე იდეას, მაგრამ ეს მაინც არ შეიძლება იყოს უსასრულოდ, არამედ უნდა ბოლოს მიღწეულ იქნეს პირველ იდეამდე, რომლის მიზეზი იქნება ვითარცა პატრონი[1] ან ორიგინალი[2], სადაც მთელი ის რეალობა ან სისრულე, რომელიც იდეებში გვხვდება მხოლოდ ობიექტურად ან წარმოდგენით, მოთავსებულია გაფორმებულად და ნამდვილად. ამრიგად, ბუნებრივი სინათლე მაწვდის მე იმის ევიდენტურ ცოდნას, რომ იდეები ჩემში სურათებს ჩამოგავენ: ამ სურათებს სინამდვილეში ადვილად შეუძლია ჩამორჩებოდნენ იმ საგანთა სისრულეს, რომლებისაგან ისინი იყვნენ გადაღებულნი, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება, რომ ეს სურათები შეიცავდნენ რამე უფრო დიდს ან უფრო სრულს (ვიდრე საგნებია).)

და რაც უფრო ხანგრძლივად და ბეჯითად ვსინჯავ მე ყველა ამას, მით უფრო ნათლად და გარკვეულად ვიცი, რომ ეს ჭეშმარიტია. მაგრამ ბოლოს რა დასკვნას გამოვიყვან მე ყველა ამისაგან? აი როგორს: თუ ობიექტური სინამდვილე ან სისრულე რომელიმე ჩემი იდეისა ისეთია, რომ მე მეცოდინება ნათლად, რომ ეს სინამდვილე ან სისრულე არ არის ჩემში არც გაფორმებულად, არც ემინენტურად, და რომ, მაშასადამე, მე თვითონ არ შემიძლია ვიყო მისი[3] მიზეზი, აქედან აუცილებლად, ის გამომდინარეობს, რომ მე არ ვარ მარტოკა ამ ქვეყანაში, არამედ არის კიდევ რაღაც მეორე საგანი, რომელიც არსებობს და რომელიც არის ამ იდეის მიზეზი. პირიქით, თუ ჩემში არ არის სრულიად ასეთი იდეა, მე არ მექნება არავითარი საბუთი, რომელსაც შეეძლო დავეჯერებინე და ჩემთვის ცხადად ექცია ჩემ გარდა რაღაც სხვა საგნის არსებობა: მე

---

[1] Patron.

[2] Original.

[3] ობიექტური სისრულის (მთარგმნ. შენ.).

ხომ ყველა ასეთი ბეჯითად გამოვიძიე და ამ ჟამამდე სხვ
ვერ მიპოვნია.

(ყველა იდეას შორის, რომლებიც ჩემშია, გარდა იმ იდეისა
რომელიც ჩემს თავს აძლევს ისევ ჩემი თავის წარმოდგენას დ
რომლის შესახებ არ შეიძლება რაიმე სიძნელე იყოს, არის კიდე
იდეა, რომელიც მე წარმომიდგენს ღმერთს; სხვები წარმომიდ
გენენ სხეულის მქონე და უსულო საგნებს; კიდევ სხვები—ანგ
ლოზებს; კიდევ სხვები—ცხოველებს; და ბოლოს არიან ისეთ
იდეები, რომლებიც მე წარმომიდგენენ ჩემს მსგავს ადამიანებს
რაც შეეხება იმ იდეებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ადა
მიანებს, ან ცხოველებს, ან ანგელოზებს, მე ადვილად ვწვდე
ბი, რომ ეს იდეები შესაძლებელია შექმნილი იყვნენ ი
იდეების შერევით ან შეთავსებით, რომლებიც მაქვს მე სხ
ულის მქონე საგნებზე და ღმერთზე—იმ შემთხვევაშიც კი, რო
ჩემ გარეშე არ არსებულიყო ქვეყანაზე არავითარი სხვა ადამ
ანი, არც ცხოველი, არც ანგელოზი. ხოლო რაც შეეხება სხ
ულის მქონე საგანთა იდეებს, მე არაფერს ვამჩნევ მათში ისეთ
დიადს და გამოჩენილს, რაც, ჩემი შეხედულებით, არ შეიძლ
ბოდა თვითონ ჩემგან ყოფილიყო წარმოქმნილი. ვინაიდან, თ
მათ მე ახლო დავაკვირდები და გავსინჯავ იმავე წესი
რომლითაც გუშინ ვსინჯავდი სანთლის იდეას, მე დავინახა
რომ იქ ძალიან ცოტა რამ მოიპოვება ისეთი, რასაც მე ნა
ლად და გარკვეულად ვწვდებოდე: ასეთებია, სახელდობ
სიდიდე, ან უკეთ, განფენილობა სიგრძის,—განის და სიღრმ
მიმართულებით, მოყვანილობა, რომელიც ამ განფენილობ
დაბოლოების შედეგია, მდგომარეობა, რომელიც სხვად
სხვანაირად მოყვანილ სხეულებს უჭირავთ ერთმანეთის მ
მართ, და მოძრაობა ან ამ მდგომარეობის გამოცვლა. ამ
შეიძლება დაემატოს სუბსტანცია, გრძეობა[1] და რიცხვ
რაც შეეხება სხვას (მაგალითად, სინათლეს, ფერებს, ბგ
რებს, სუნს, გემოს, სითბოს, სიცივეს და სხვა თვისებებ
რომლებიც შეხებით შეიცნობიან), ყველაფერი ეს ჩემს აზრო

[1] La durée.

ნებაში წარმოდგება ისე ბნელად და ბუნდოვნად, რომ მე ისიც კი არ ვიცი, ჭეშმარიტია ესენი თუ ყალბი, ე. ი. არ ვიცი, ის იდეები, რომლებიც მე შემიდგენია ამ თვისებათა შესახებ. ნამდვილად რაღაც რეალურ საგანთა იდეებია, თუ ეს იდეები წარმომიდგენენ მე ქიმერულ ქმნილებებს, რომლებიც არ შეიძლება არსებობდნენ. ვინაიდან, თუმცა მე აქაზე წინ შენიშნე, რომ მხოლოდ მსჯელობაში შეიძლება იყოს ნამდვილი და გაფორმებული[1] სიყალბე, მაგრამ მაინც წესაძლებელია, რომ იდეებში იმყოფებოდეს ერთგვარი მატერიალური სიყალბე[2], სახელდობრ, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი იმას, რაც არ არის, იმნაირად წარმოადგენენ, თითქოს იგი რაღაც იყოს. მაგალითად, იმ იდეებს, რომლებიც მაქვს მე სიცივისა და სითბოს შესახებ, იმდენად მცირე სინათლე და გარკვეულობა ახასიათებს, რომ მათ არ შეუძლიათ მასწავლონ, სიცივე არის მხოლოდ სითბოს დანაკლისი[3], თუ სითბო არის მხოლოდ სიცივის დანაკლისი; ე. ი. სიცივე და სითბო რეალური თვისებებია, თუ ისინი ასეთები არ არიან. რამდენადაც იდეები სურათების მაგვარია, არ შეიძლება მათ შორის იყოს ისეთი, რომელიც ჩვენ არ გვეჩვენებოდეს რაღაც საგნის წარმოდგენად. თუ ჭეშმარიტია იმის თქმა, რომ სიცივე სხვა არაფერია, თუ არა სითბოს დანაკლისი, მაშინ არ იქნება უმართებულო, რომ იმ იდეას, რომელიც მე სიცივეს წარმომიდგენს როგორც რაღაც რეალურსა და პოზიტიურს, ეწოდოს ყალბი, და ასე სხვებსაც. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, არ არის აუცილებელი, რომ მე მათთვის ჩემ გარეშე სხვა გამჩენი ვეძიო: ვინაიდან, თუ ისინი ყალბია, ე. ი. თუ ისინი წარმოადგენენ არარსებულ საგნებს, ბუნებრივი სინათლე მაწვდის მე იმის ცოდნას, რომ ისინი არარაობისაგან მოდიან, ე. ი. ისინი მხოლოდ იმის გამო არიან ჩემში, რომ ჩემს ბუნებას რაღაც აკლია და იგი არ არის სავსებით სრული; თუ კი ეს იდეები ჭეშმარიტია, მე მაინც არ მესმის, რატომ

---

[1] Formelle.

[2] Faussetè materielle.

[3] Privation.

არ შეიძლებოდა, რომ მე ვყოფილიყავი მათი გამჩენი, რაკი ისინი მაჩვენებენ მე იმდენად მცირე რეალობას, რომ მე არ შემიძლია წარმოდგენილი საგანი გავარჩიო არარაობისაგან.

რაც შეეხება ნათელსა და გარკვეულ იდეებს, რომლებიც მაქვს მე სხეულის მქონე საგნებისაგან, მათ შორის ზოგიერთს, როგორც მე მეჩვენება, შეეძლო გაჩენა იმ იდეისაგან, რომელიც მე მაქვს თვითონ ჩემს შესახებ; ასეთებია, მაგალითად, ის იდეები, რომლებიც მაქვს მე სუბსტანციის, გრძეობის, რიცხვის და სხვა მათ მსგავსთა შესახებ. ვინაიდან, როდესაც მე ვფიქრობ, რომ ქვა არის სუბსტანცია, ან უკეთ, საგანი, რომელსაც თავისით შეუძლია იარსებოს, და რომ მე თვითონ აგრეთვე ვარ სუბსტანცია, მაშინ, თუმცა მე ვარგად მესმის, რომ მე ვარ მოაზროვნე და არა განფენილი საგანი, ხოლო ქვა, წინააღმდეგ ამისა, არის განფენილი და არა მოაზროვნე საგანი, და, მაშასადამე, ამ ორ ცნებას[1] შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება,—ისინი მაინც, როგორც ჩანს, ეთანხმებიან ერთმანეთს იმ მუხლში, რომ ორივენი წარმოადგენენ სუბსტანციებს. ამნაირადვე, როდესაც მე ვფიქრობ, რომ მე ვარ ამჟამად, რომ მე მახსოვს, რომ ამის გარდა სხვა დროსაც ვყოფილვარ, რომ მე მაქვს მრავალი სხვადასხვანაირი აზრი, რომლების რიცხვიც მე ვიცი,—მაშინ მე ჩემში ვიძენ გრძეობის და რიცხვის იდეებს, რომლებიც შემდეგ ჩემი სურვილისამებრ მე შემიძლია გადავიტანო ყველა სხვა საგანზედაც. რაც შეეხება სხვა თვისებებს, რომლებისაგანაც შედგენილია სხეულის მქონე საგანთა იდეები, სახელდობრ, განფენილობას, მოყვანილობას[2] და მოძრაობას, მართალია, ესენი ფორმალურად[3] არაა ჩემში, ვინაიდან მე ხომ ვარ მხოლოდ მოაზროვნე საგანი, მაგრამ, რამდენადაც ისინი სუბსტანციის ესა თუ ის სახეცვლილებებია[4] და სხვა არაფერი და რამდენადაც მე თვითონ ვარ სუბსტანცია, მათ, როგორც ჩანს, შეუძლიათ ჩემში ემინენტურად (éminemment) იყვნენ.

---

[1] Conceptions.
[2] La figure.
[3] Formellement.
[4] Certaines modes de la substance.

ამრიგად, რჩება მხოლოდ ერთი იდეა, სახელდობრ ღმერთის იდეა, რომელიც განხილული უნდა იქნეს, რათა გავიგოთ, ხომ არ არის ამ იდეაში ისეთი რამ, რასაც არ შეუძლია თვით ჩემგან მომდინარეობდეს. ღმერთის სახელწოდების ქვეშ მე მესმის უსაზღვრო (infinie), მარადიული, ~~უძრავი, დამოუკიდებელი, ყოვლისმცოდნე[1], ყოვლისშემძლე~~ სუბსტანცია, რომლის მიერ გაჩენილი და შექმნილი ვარ მე თვითონ და ყველა სხვა არსებული საგანი (თუ ჭეშმარიტია, რომ მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც არსებობენ). მაგრამ ეს უპირატესობანი იმდენად დიდი და იმდენად ამაღლებულია (éminents), რომ, რაც უფრო მეტი ყურადღებით ვაკვირდები მათ, მით უფრო ნაკლებად დასაჯერებლად მიმაჩნია, რომ იდეა, რომელიც მაქვს მე ღმერთის შესახებ, შესაძლებელია წარმოშობილიყო—მხოლოდ ჩემგან, და, მაშასადამე, საჭიროა აუცილებლად ყველა ამისაგან დავასკვნათ ის, რაც ზევით ვთქვი,—რომ ღმერთი არსებობს. ვინაიდან, თუმცა სუბსტანციის იდეა არის ჩემში უკვე იმის გამო, რომ მე ვარ სუბსტანცია, მე მაინც არ მექნებოდა უსაზღვრო სუბსტანციის იდეა (რამდენადაც მე ვარ განსაზღვრული არსება), თუ ეს იდეა არ იქნებოდა ჩემში ჩადებული რომელიმე მართლაც უსაზღვრო სუბსტანციის მიერ.

და მე არ უნდა ვფიქრობდე, თითქოს უსაზღვროს მე ვწვდებოდე არა ჭეშმარიტი იდეის საშუალებით, არამედ იმის უარყოფით მხოლოდ, რაც განსაზღვრულია,—აი ისე, როგორც მე ვწვდები უძრაობას და სიბნელეს მოძრაობისა და სინათლის უარყოფით. ვინაიდან მე, პირიქით, აშკარად ვხედავ, რომ უსაზღვრო სუბსტანციაში მეტია რეალობა, ვიდრე განსაზღვრულ სუბსტანციაში, და, მაშასადამე, მე რაღაცნაირად მაქვს უწინარესად უსაზღვროს ცნება, ვიდრე განსაზღვრულისა, ე. ი. ღმერთის ცნება, ვიდრე ჩემი თავისა. მართლაცდა, როგორ შემეძლო მე მცოდნოდა, რომ მე ვეჭვობ და

[1] Toute connoissane — სავსებით ცოდნა, სრული ცოდნა, აბსოლუტური ცოდნა.

რომ მე მსურს, ე. ი. რომ მე მაკლია რაღაცა და არ ვარ მთლად სრული, თუ მე ჩემში არ მექნებოდა არავითარი იდეა ჩემს არსზე უფრო სრული არსის შესახებ, რომელთანაც შედარების საშუალებით მე შევიტყობდი ჩემი ბუნების ნაკლოვანებებს?

არ შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია ეს იდეა ღმერთისა მატერიალურად ყალბი იყოს და რომ მე, მაშასადამე, შემეძლო მისი მიღება არარაობისაგან, ე. ი. რომ ეს იდეა იმის გამო არის ჩემში, რომ მე რაღაც მაკლია,—აი ისე, როგორც წეღან ითქვა სითბოს და სიცივის და მათ მსგავს სხვა საგანთა შესახებ. პირიქით, ვინაიდან ეს იდეა ფრიად ნათელი და ფრიად გარკვეულია და შეიცავს თავის თავში მეტ ობიექტურ რეალობას, ვიდრე სხვა რომელიმე, ამიტომ არ არსებობს სხვა იდეა, რომელიც უფრო ჭეშმარიტი იყოს და რომელიც მასზე ნაკლებ ეჭვებს იწვევდეს თავის მცდარობასა და სიყალბეში.

ეს იდეა უაღრესად სრული და უსაზღვრო არსისა, ვამბობ მე, სავსებით ჭეშმარიტია, ვინაიდან, თუმცა მე ეგების შემეძლოს ვიფიქრო, რომ ასეთი არსი არ არსებობს სრულიად, მაგრამ შეუძლებელია ვიფიქრო, რომ მისი იდეა არ წარმოადგენს არაფერს რეალურს, აი როგორც ეს წეღან ითქვა სიცივის იდეის შესახებ. ეს იდეა არის აგრეთვე ფრიად ნათელი და ფრიად გარკვეული, რადგან ყველაფერი რეალური და ჭეშმარიტი, რასაც კი ჩემი გონება წვდება ნათლად და გარკვეულად და რაც თავის თავში შეიცავს რაიმე სისრულეს, მოცემულია და იმყოფება სულ მთლად ამ იდეაში. და ეს ჭეშმარიტება არ ირღვევა იმის გამო, რომ მე ჩემს შემეცნებაში ვერ ვიტევ[1] უსაზღვროს, ხოლო ღმერთში უსაზღვროდ მრავალი რამ არის ისეთი, რის გაგება მე არ ძალმიძს და რასაც არც შეეიძლია აზრით შეეეხო როგორმე. უსაზღვროს ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ მე, რომელიც განსაზღვრული ვარ, არ შემიძლია იგი შემეცნებით მოვიც-

[1] Comprenne.

ვა[1], და საკმარისია, რომ ნე კარგად მესმოდეს ეს და ვცნობდე იმას, რომ ყოველი საგანი, რომელსაც ვწვდები ნათლად და რომელსაც, რამდენადაც ვიცი, აქვს რაიმე სისრულე და, შესაძლებელია, მრავალი კიდევ სხვა ისეთი სისრულე, რომელსაც ვერ ვწვდები, იმყოფება ღმერთში ან ფორმალურად, ან ემინენტურად,—საკმარისია ყველა ამას ვცნობდე, რათა იდეა, რომელიც მე მაქვს ღმერთის შესახებ, იყოს ჩემს გონებაში არსებულ ყველა სხვა იდეაზე უფრო ჭეშმარიტი, ნათელი და გარკვეული.

მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ მე ვიყო რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე მე ვფიქრობ ჩემს თავზე, და ყოველი სისრულე, რომელსაც მე ღმერთის ბუნებას მივაწერ, იყოს ჩემში როგორმე პოტენციალურად მოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ეს სისრულენი ჯერ კიდევ არ წარმოქმნილან და არ გამომჟღავნებულან თავის მოქმედებათა საშუალებით. მართლაცდა, მე უკვე მაქვს ხომ გამოცდილი, რომ ჩემი ცოდნა იზრდება და სრულდება ნელ-ნელა, და მე არ ვამჩნევ არაფერს ისეთს, რასაც შეუძლია იგი დააბრკოლოს და არ მისცეს საშუალება გაიზარდოს ამნაირად თანდათან უსასრულობამდე. არც იმას ვამჩნევ, რატომ არ შემეძლება მე, თუ ჩემი ცოდნა ისე გაიზრდება და განსრულდება, მისი საშუალებით შევიძინო ღვთაებრივი ბუნების ყოველი სხვა სისრულე. დაბოლოს, მე არ ვიცი, რატომ ის ძალა, რომელიც მაქვს ამ სისრულეთა შესაძენად (თუ კი სწორია, რომ ასეთი ძალა აშკარად მოიპოვება ჩემში), არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ წარმოშვას მათ შესახებ იდეები. მიუხედავად ყველა ამისა, როდესაც ვაკვირდები საკითხს უფრო ახლოს, ჩემთვის ცხადი ხდება, რომ ეს არ შეიძლება იყოს და აი რატომ: ჯერ ერთი, მართალიც რომ იყოს ის, რომ ჩემი ცოდნა ყოველდღე უფრო და უფრო მეტს სისრულეს იძენს და რომ ჩემს ბუნებაში პოტენციალურად მოცემული იყოს ბევრი რამ ისეთი, რაც მასში აქტუალურად ჯერ კიდევ არ არსებობს, მაინც ყველა ეს უპირა-

---

[1] Comprendre.

ტესობა არც ეკუთვნის და არც უახლოვდება არავითარი გზით იმ იდეას, რომელიც მაქვს მე ღვთაების შესახებ და რომელშიაც არაფერი არ არის მხოლოდ პოტენციალურად, არამედ ყველაფერი არის აქტუალურად და ნამდვილად[1]. და განა თვითონ ის გარემოება, რომ ჩემი ცოდნა იზრდება ნელ-ნელა და დიდდება თანდათან, საფეხურებრივ, ჩემი შემეცნების უსრულობის უტყუარი და ფრიად სანდო საბუთი არ არის? კიდევ მეტი: ჩემი შემეცნებაც რომ უფრო და უფრო დიდდებოდეს, მაინც მე არ მრჩება შეუმჩნეველი, რომ იგი ვერ იქცევა აქტუალურად უსაზღვროდ, ვინაიდან იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს ისეთი სიმაღლის სისრულეს, რომ მას დაეკარგოს შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზარდოს. მაგრამ ღმერთი მე მესმის, როგორც აქტუალურად უსაზღვრო ისეთ მაღალ საფეხურამდე, რომ შეუძლებელია რამე მიემატოს იმ უზენაეს სისრულეს, რომელიც მას აქვს. და, დაბოლოს, მე ძალიან კარგად მესმის, რომ ამა თუ იმ იდეის ობიექტური არსი[2] შეიძლება იყოს წარმოშობილი არა ისეთი არსით, რომელიც არსებობს მხოლოდ შესაძლებლობაში, რაც, ზუსტად რომ ითქვას, არაფერია,—არამედ მხოლოდ გაფორმებული ან აქტუალური არსით.

ცხადია, ყველა იმაში, რაც ახლა ითქვა, მე არ ვხედავ არაფერს, რისი შეცნობაც ძალიან ადვილი არ იყოს ბუნებრივი სინათლის საშუალებით, თუკი მოვისურვებთ ამის შესახებ ბეჯითად ვიფიქროთ. მაგრამ, როდესაც მე რამეს გავუშვებ ყურადღებიდან, ჩემს გონებას, დაბნელებულს და თითქოს დაბრმავებულს გრძნობისეულ საგანთა სახეებით, არ ახსენდება ადვილად იმის საბუთი, თუ რატომ უნდა იდეა, რომელიც მაქვს მე ჩემზე უფრო სრულ არსებაზე, აუცილებლად იყოს ჩემში ჩადებული ისეთი არსის მიერ, რომელიც არის ჩემზე უფრო სრული. აი ამიტომ მე მინდა გავცდე ნათქვამს და განვიხილო, განა მე თვითონ, რომელსაც მაქვს ასეთი იდეა ღმერთისა, შემეძლო არსებობა იმ შემთხვევაში, რომ

[1] Actuellement et en effet.
[2] L' être objectif.

ღმერთი სრულიად არ არსებულიყო. საკითხავია, ვისგან მექ-ნებოდა მე ჩემი არსებობა მიღებული. იქნებ თვითონ ჩემი თავისაგან, ან ჩემი მშობლებისაგან, ან კიდევ ღმერთზე ნაკ-ლებად სრული რაიმე სხვა მიზეზებისაგან, ვინაიდან შეუძლე-ბელია რომ წარმოვიდგინოთ ღმერთზე უფრო სრული და თვით მისი თანასწორი საგანი? მაგრამ, მე რომ ვყოფილიყავ ყველაფრისაგან დამოუკიდებელი და თვითონ ვყოფილიყავ ჩემი არსების შემქმნელი, მაშინ მე არაფერში არ დავეჭვდებოდი, არ მექნებოდა არავითარი სურვილი და, ბოლოს, არ ვიქ-ნებოდი მოკლებული არავითარ სისრულეს, ვინაიდან მე ჩემს თავს თვითონ მივცემდი ყოველ სისრულეს, რომლის იდეაც კი გამაჩნია, და ამრიგად მე ვიქნებოდი ღმერთი. და მე არ უნდა ვიფიქრო, თითქოს ის, რაც მე მაკლია, უფრო ძნელად მოსაპოვებელი იყოს, ვიდრე ის, რაც მე უკვე მაქვს: პირიქით, ცხადზე უცხადესია, ბევრად უფრო ძნელი იყო, რომ მე, ე. ი. მოაზროვნე საგანი ან სუბსტანცია, არა-რაობისაგან ვყოფილიყავ წარმომდგარი, ვიდრე ჭრავალ სა-განთა შესახებ იმ ცოდნის შეძენა, რომელიც მე მაკლია და რომელიც ამ სუბსტანციის აქციდენციებია და სხვა არაფერი. და უეჭველია, მე რომ მიმენიჭებია ჩემთვის ის მეტი, რის შესახებაც ახლა ითქვა, ე. ი. მე რომ თვითონ ვყოფილიყავი ჩემი თავის შემქმნელი, მე ჩემს თავს ყოველ შემთხვევაში არ დავაკლებდი იმას, რაც უფრო ადვილად შეიძინება, როგორიცაა უამრავი ცოდნა, რომელ-საც ჩემი ბუნება მოკლებულია. მე არ დავაკლებდი ჩემს თავს არაფერს სხვასაც, რაც, ჩემი შეხედულებით, მოიპოვება ღმერთის იდეაში, ვინაიდან არაფერია იქ ისეთი, რაც, ჩემი აზრით, უფრო ძნელად იყოს შესაძენი ან გასაკეთებელი; და რომ რამე იყოს უფრო ძნელი, უეჭველია, ის მე ასეთადაც მომეჩვენებოდა (იმ პირობით, რომ მე ჩემგან მქონებოდა მი-ღებული ყველაფერი სხვა, რაც მე მაქვს), ვინაიდან მე და-ვინახავდი ამაში ჩემი ძლიერების განსაზღვრულობას. და თუმცა მე შემიძლია ვიფიქრო, რომ შესაძლებელია მე მარად ვიყავი, როგორც ამჟამადაც ვარ, მაგრამ ამით მე ვერ ავი-

ცილებდი ამ მსჯელობის ძალას, და მრჩება ის ცოდნა, რომ აუცილებელია ღმერთი იყოს ჩემი არსებობის შემქმნელი. ჩემი ცხოვრების მთელი დრო შეიძლება გაყოფილ იქნეს უსაზღვროდ მრავალ ნაწილებად, რომელთაგან არც ერთი არ არის არავითარი წესით სხვებისაგან დამოკიდებული, და ამრიგად იმისაგან, რომ ამაზე წინ მე ვარსებობდი, არ გამომდინარეობს, რომ ახლაც უნდა ვარსებობდე, თუ კი ამ წუთს არ არის რაიმე მიზეზი, რომელიც მე წარმომშობს და მქმნის, აეე ვთქვათ, ხელახლა, ე. ი. მე მიცავს[1]. მართლაც, იმათთვის, ვინც დროის ბუნებას დააკვირდება, ეს სრულიად ნათელი და სრულიად ცხადია, რომ სუბსტანციას, რათა იგი დაცულ იქნეს ყველა წუთში, რომლების განმავლობაშიც არსებობს, სჭირია იგივე ძალა და იგივე მოქმედება, რომლებიც საჭირო იქნებოდა მის ხელახლა წარმოსაშობად და შესაქმნელად იმ შემთხვევაში, რომ იგი არ არსებულიყო. ასე რომ, როგორც ამას ბუნებრივი სინათლე ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, დაცვა[2] და შექმნა[3] განსხვავდებიან ურთიერთშორის მხოლოდ ჩვენი აზროვნების წესის მიმართ და არა სინამდვილეში. მაშასადამე, საკმარისია აქ მხოლოდ დავკითხო ჩემს თავს და მოვითათბირო მასთან, რათა დავინახო, მაქვს თუ არა რაიმე ძალა ან უნარი, რომლის საშუალებითაც შემეძლოს ვქნა ისე, რომ მე, რომელიც ახლა ვარსებობ, ერთი წუთის შემდეგაც ვარსებობდე კიდევ. ვინაიდან, რაკი მე არაფერი ვარ სხვა, თუ არა საგანი, რომელიც აზროვნებს (ან, ყოველ შემთხვევაში, რაკი აქამდე სწორედ ჩემი თავის მხოლოდ ამ ნაწილზე არის ლაპარაკი), იმ შემთხვევაში, რომ ასეთი ძალა ყოფილიყო ჩემში, მე უეჭველად მექნებოდა მის შესახებ რაიმე წარმოდგენა მაინც. მაგრამ მე არ ვამჩნევ ჩემში არავითარ-ასეთ ძალას და აქედან მე ვიცი ცხადად[4], რომ დამოკიდებული ვარ ჩემგან განსხვავებული რაღაც არსისაგან.

---

[1] Me conserve.
[2] La conservation.
[3] La création.
[4] Évidement.

მაგრამ შეიძლება ის არსი, რომლისაგანაც ვარ მე დამოკიდებული, არ იყოს ღმერთი, და მე შექმნილი ვიყო ან ჩემი მშობლებისაგან, ან რაიმე სხვა მიზეზებისაგან, რომლებსაც ღმერთზე ნაკლები სისრულე აქვთ? მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან, როგორც უწინ ითქვა, ცხადზე უცხადესია, რომ მიზეზში იმდენი რეალობა მაინც უნდა იყოს, რამდენიც მის შედეგშია. მაშასადამე, რაკი მე ვარ საგანი, რომელიც აზროვნებს და რომელსაც აქვს თავის თავში რაღაც იდეა ღმერთისა, როგორიც ბოლოს არ უნდა იყოს ჩემი არსის მიზეზი, აუცილებლად საჭიროა ვაღიაროთ, რომ ეს მიზეზი არის აგრეთვე საგანი, რომელიც აზროვნებს და რომელსაც აქვს თავის თავში ყველა იმ სისრულის იდეა, რომელსაც მე ღმერთს მივაწერ. შემდეგ შესაძლებელია კვლავ გამოვიძიოთ, თავისი თავისაგან აქვს ამ მიზეზს თავისი წარმოშობა და თავისი არსებობა, თუ რაიმე სხვა საგნისაგან: ვინაიდან, თუ მას იგი აქვს თავისი თავისაგან, მაშინ იმ საბუთების გამო, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი, გაჩომდინარეობს, რომ ეს ბიზეზი არის ღმერთი, იმიტომ რომ, რამდენადაც მას აქვს უნარი თავისით იყოს[1] და იარსებოს[2], მას უნდა გააჩნდეს უეჭველად აგრეთვე ძალა—აქტუალურად ჰქონდეს ყველა ის სისრულე, რომლის შესახებაც მას აქვს თავის თავში იდეა, ე. ი. ყველა ის სისრულე, რომელიც, ჩემი შემეცნებით, არის ღმერთში. თუ კი მას თავისი არსებობა ბიღებული აქვს რაიმე სხვა საგნისაგან და არა თავის თავისაგან, მაშინ კვლავ, იმავე საბუთების გამო, საკითხავია ამ მეორე მიზეზის შესახებაც, არის იგი თავისით თუ სხვისით, და ასე შემდეგ მანამდე, სანამ ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლით ჩვენ არ მივაღწევთ უკანასკნელ მიზეზს, რომელიც იქნება ღმერთი. და ფრიად ნათელია, რომ ამ საკითხში შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს პროგრესს უსასრულომდე, ვინაიდან აქ ლაპარაკია არა იმდენად იმ მიზეზზე, რომელმაც შემქმნა

---

[1] Être.

[2] Exister.

მე ოდესღაც, რამდენადაც იმ მიზეზზე, რომელიც მე ამჟამად მიცავს (conserve).

არ შეიძლება აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ჩემი წარმოშობა იყო შედეგი მრავალი მიზეზის შეერთებული თანამოქმედებისა და რომ მე ერთი მიზეზისაგან მივიღე იდეა ერთ-ერთი იმ სისრულისა, რომელსაც ბივაწერ ღმერთს, ხოლო მეორე მიზეზისაგან მივიღე მეორე რომელიმე სისრულის იდეა, ასე რომ ყველა ეს სისრულე მართლაც მოიპოვება როგორმე სამყაროს[1] სხვადასხვა ნაწილში, მაგრამ არ არის თავმოყრილი და შეერთებული მხოლოდ ერთ საგანში, რომელიც უნდა იყოს ღმერთი. პირიქით, ერთობა[2], სიმარტივე[3] და გამოუყოფლობა[4] ყველა იმისა, რაც ღმერთშია, არის ერთ-ერთი იმ მთავარ სისრულეთა შორის, რომელნიც, ჩემი გაგებით, მოიპოვებიან ღმერთში. და ცხადია, რომ ღმერთის ყველა სისრულეთა ამ ერთობის იდეა არ შეეძლო ჩემში ჩაედვა არც ერთ ისეთ მიზეზს, რომლისაგანაც არ მექნებოდა მე მიღებული აგრეთვე ყველა სხვა სისრულის შესახებ იდეები, ვინაიდან ამ მიზეზს არ შეეძლო ხომ გაეკეთებია ის, რომ მე შემძლებოდა შემეცნო ყველა სისრულის ერთობა და გამოუყოფელობა, და ამავე დროს არ გაეკეთებია ის, რომ მე მცოდნოდა, რანი არიან ეს სისრულენი, და შემეცნო ყველა ესენი რამენაირად.

ბოლოს, რაც შეეხება ჩემს მშობლებს, რომლებისაგან, როგორც ჩანს, უნდა ვიყო დაბადებული, საჭიროა ითქვას შემდეგი: კიდევაც რომ მართალი იყოს ყველაფერი, რაც მე ამის შესახებ დამიჯერებია, აქედან არ გამომდინარეობს მაინც ის, რომ სწორედ მშობლები მიცავენ მე, და თვით ისიც კი არ გამომდინარეობს, რომ მშობლებმა გამაჩინეს მე, როგორც მოაზროვნე არსება, ვინაიდან არავითარი კავშირი არ არის იმ სხეულებრივ მოქმედებას შორის, რომლის სა-

---

[1] L'univers.
[2] L'unité.
[3] La simplicité.
[4] L'inséparabilité.

შუალებითაც, როგორც ეს ჩვეულებისამებრ მჯერა მათ მე დამბადეს, და ამგვარი სუბსტანციის წარმოშობას შორის, არამედ გამომდინარეობს იმაზე არა მეტი, რომ ჩემმა მშობლებმა ხელი შეუწყვეს ჩემს დაბადებას და მათ ერთგვარი განწყობილებები შეიტანეს იმ მატერიაში, რომელშიაც, როგორც მე აქამდე მეგონა, ჩაკეტილია ჩემი მე, ე. ი. ჩემი გონება, ვინაიდან ახლა მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ჩემი გონება არის ჩემი მე. მაშასადამე, აქ შეუძლებელია მათ[1] ~~შიმართ რაიმე სიძნელე~~, არამედ საჭიროა აუცილებლად იმ დასკვნის გამოყვანა, რომ უკვე მხოლოდ იმით, რომ მე ვარსებობ და რომ ჩემში იმყოფება უაღრესად სრული არსების, ე. ი. ღმერთის, იდეა, სავსებით ცხადად დამტკიცებულია ღმერთის არსებობა.

მრჩება განსახილველად მხოლოდ ერთი საკითხი, თუ როგორ მივიღე მე ეს იდეა, ვინაიდან მე იგი არ მიმიღია გრძნობათა საშუალებით და არასოდეს იგი არ წარმომდგარა ჩემ წინაშე ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ—აი ისე, როგორც ჩვეულებრივ წარმომიდგება ხოლმე გრძნობისეული საგნის იდეა, როდესაც ეს საგანი დგება (ან ჩანს, რომ დგება) გრძნობათა გარეგანი ორგანოების წინაშე. გარდა ამისა, ღმერთის იდეა არ არის ჩემი გონების წინდა ნაყოფი ან ფიქცია, ვინაიდან მე არ შემიძლია მას რამე მოვაკლო ან მივუმატო. მაშასადამე, მხოლოდ ისღა უნდა ითქვას, რომ ეს იდეა დაბადებული და წარმოშობილია ჩემთან ერთად იმ დროსვე, როდესაც მე ვიყავი შექმნილი, ისე როგორც ჩემი საკუთარი თავის იდეაც ასეთივეა. და მართლაც, არ უნდა გვეუცხოოს, რომ ღმერთმა, როდესაც იგი მე მქმნიდა, ჩამიდვა მე ეს იდეა, რათა იგი ყოფილიყო ნიშანი, რომელსაც ოსტატი დააკრავს ხოლმე თავის ნაწარმოებს. და არ არის აგრეთვე აუცილებელი, რომ ეს ნიშანი იყოს თვით ამ ნაწარმოებისგან განსხვავებული რაღაც საგანი, არამედ უკვე იმ საბუთის გამო, რომ ღმერთმა მე შემქმნა, ძალიან სარწმუნოა, რომ მან მე შემქმნა რაღაცნაირად თავისი სახის

[1] ე. ი. მშობლების (მთარგმნ. შენ.).

მსგავსად[1] და რომ მე ვწვდები ამ მსგავსებას, რომელშიაც იმყოფება ღმერთის იდეა, იმავე ნიჭიერების საშუალებით, რომლითაც მე ვწვდები ჩემს საკუთარ თავს, ე. ი., როდესაც მე ვაზროვნებ ჩემს თავზე, მე მხოლოდ ის კი არ ვიცი, რომ მე ვარ ნაკლოვანი, უსრულო და სხვისაგან დამოკიდებული საგანი, რომელიც მუდამ ელტვის რაღაც უფრო კარგს და უფრო დიდს, ვიდრე მე ვარ, არამედ ისიც ვიცი ამავე დროს, რომ იმას, ვისგანაც მე ვარ დამოკიდებული, აქვს თავის თავში ყველა ის დიადი რამ, რასაც მე ველტვი და რის შესახებაც მე ჩემში ვპოულობ იდეებს (აქვს არა გაურკვევლად[2] და მხოლოდ შესაძლებლობაში, არამედ ნამდვილად[3], აქტუალურად და უსაზღვროდ[4]) და რომ ამრიგად ის არის ღმერთი. მთელი ძალაც იმ საბუთისა, რომელიც მე აქ გამოვიყენე ღმერთის არსებობის დასამტკიცებლად, მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ შეუძლებელი იქნებოდა ჩემი ბუნება ისეთივე ყოფილიყო, როგორიც არის ის (ე. ი. მე მქონებოდა ჩემში ღმერთის იდეა), რომ ღმერთი ნამდვილად არ არსებულიყო, აი ის ღმერთი (ვამბობ მე), რომლის იდეაც არის ჩემში (ე. ი. რომელსაც აქვს ყველა ის მაღალი სისრულე, რის შესახებ ჩვენს გონებას შეუძლია ჰქონდეს ზერელე იდეა, თუმცა არ ძალუძს სავსებით მოიცვას[5] იგი), რომელიც არავითარ ნაკლოვანებას არ ექვემდებარება და რომელსაც არ აქვს არაფერი, რაც საგანთა რაიმე უსრულობას აღნიშნავს; აქედან კი საკმაოდ ცხადია, რომ ღმერთი არ შეიძლება მატყუარა იყოს, ვინაიდან ბუნებრივი სინათლე გვასწავლის, რომ მატყუარობა აუცილებლად დამოკიდებულია რაიმე ნაკლოვანებისაგან.

მაგრამ, ვიდრე მე ამას უფრო ბეჯითად გავსინჯავდე და ვიდრე გადავიდოდე ამ ჭეშმარიტებისაგან მისაღებ სხვა ჭეშ-

---

[1] A son image et semblence.
[2] Indéfiniment.
[3] En effet.
[4] Infiniment.
[5] Comprendre.

მარიტებათა განხილვაზე, მე მიზანშეწონილად მიმაჩნია შეევჩერდე ამ უაღრესად სრული ღმერთის ჭვრეტაზე (contemplation), ავწონ-დავწონო აუჩქარებლად მისი საკვირველი ატრიბუტები, აღფრთოვანებით ვუცქირო და ვეთაყვანო ამ უზომო სინათლის შეუდარებელ მშვენიერებას—ყოველ შემთხვევაში იმდენად ცაინც, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მომცემს მე ძალა ჩემი გონებისა, რომელიც თითქოს დაბრმავებულია ასეთი საგნით. რამდენადაც სარწმუნოება გვასწავლის, რომ საიქიო ცხოვრების უმაღლესი ნეტარება შედგება ღვთაებრივი დიდების ჭვრეტაში, ამდენად ჩვენ ახლავე განვიცდით, რომ ამგვარი ფიქრები[1], თუმცა ისინი შეუდარებლად უფრო ნაკლებად არიან სრული, გვაძლევენ უდიდეს კმაყოფილებას, რომელიც კი ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ სააქაო ცხოვრებაში.

---

[1] Une semblable méditation.

განაზრება მეოთხე

ჰეშჰარიტისა და ყალბის შესახებ

მე იმდენად მივეჩვიე ამ დღეებში გრძნობებისაგან ჩემი გონების განთავისუფლებას და ისე ზუსტად შევნიშნე, რომ ძალიან ცოტა რამ არის ისეთი, რაც ჩვენ სანდოდ ვიცით ნივთიერ სხეულთა შესახებ, და ბევრად უფრო მეტია ის, რაც ჩვენ ვიცით ადამიანური გონების შესახებ, ხოლო კიდევ უფრო მეტია, რაც ჩვენ თვით ღმერთის შესახებ ვიცით, რომ ახლა ჩემთვის ადვილი იქნება მოვაშორო ჩემი აზრი გრძნობისეულ ან წარმოსასახავ საგანთა განხილვას და მივაპყრო იგი ისეთებს, რაც განთავისუფლებულია ყოველგვარი მატერიისაგან და წმინდად გონებისეულია. (ცხადია, იდეა, რომელიც მე მაქვს ადამიანურ გონებაზე (რამდენადაც ეს უკანასკნელი არის საგანი მოაზროვნე და არა განფენილი სიგრძის, განის და სიღრმის მიმართულებით და რამდენადაც მას არ აქვს არავითარი წილი იმაში, რაც სხეულს ეკუთვნის), შეუდარებლად უფრო გარკვეულია, ვიდრე რომელიმე ნივთიერი სხეულის იდეა. როდესაც ვამჩნევ, რომ მე ვეჭვობ, ე. ი. რომ მე ვარ უსრულო და დამოკიდებული საგანი, მაშინ ჩემს გონებას ასეთივე გარკვეულობითა და სინათლით წარმოუდგება სრული და დამოუკიდებელი არსების, ე. ი. ღმერთის, იდეა; და მხოლოდ იმისაგან, რომ ეს იდეა მოიპოვება ჩემში, ან, უკეთ რომ ითქვას, იმისაგან, რომ მე, რომელსაც მაქვს ეს იდეა, ვარ ან ვარსებობ, მე დავასკვენი, რომ ღმერთი არსებობს და ჩემი არსებობა ჩემი ცხოვრების ყოველ მომენტში მთლად მისგან არის დამოკიდებული) და ეს მე დავასკვენი ისეთი სიცხადით, რომ მე არ ვფიქრობ, თითქოს ადამიანის გონებას შეეძლოს რამე იცოდეს მეტი სიცხადით და დარწ-

მუნებულობით[1]. და მე უკვე მგონია, რომ აღმომიჩენია ისეთი გზა, რომელიც ამ ჭეშმარიტი ღმერთის ჭვრეტიდან (იმ ღმერთის, რომელიც არის მეცნიერებისა[2] და სიბრძნის[3] საუნჯე) მიგვიყვანს მსოფლიოს სხვა საგანთა შემეცნებამდე.

(უწინარეს ყოვლისა, მე ვცნობ, რომ შეუძლებელია ღმერთი მე ოდესმე მატყუებდეს, რადგან ყოველი სიყალბე[4] და მოტყუება შეიცავს რაღაც უსრულობას; და თუმცა ასე გვეჩვენება, თითქოს მოტყუების უნარი იყოს სიმახვილისა და მოხერხებულობის ნიშანი, მაგრამ მოტყუების სურვილი უეჭველად ამჟღავნებს სისუსტესა და სიავეს, და, მაშასადამე, იგი არ შეიძლება მოიპოვებოდეს ღმერთში. შემდეგ, ჩემი საკუთარი გამოცდილებით მე ვიცი, რომ ჩემში არის მსჯელობის ნიჭი, ან ყალბისაგან ჭეშმარიტის გარჩევის ნიჭი, რომელიც მე უეჭველად ღმერთისაგან მაქვს მიღებული, ისე როგორც ყველაფერი სხვა, რაც არის ჩემში და რასაც მე ვფლობ; და რადგანაც შეუძლებელია, რომ ღმერთს სურდეს ჩემი მოტყუება, ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ღმერთს არ მოუცია ჩემთვის ეს ნიჭი იმნაირი სახით, რომ მე, როდესაც ჯეროვანად ვიყენებ ამ ნიჭს, შემეძლოს ოდესმე შეცდომის ჩადენა.)

და არავითარი ეჭვი არ დარჩებოდა ამ საკითხში, რომ აქედან არ შეეძლოს ვინმეს ისეთი დასკვნის გამოყვანა, რომ მე, მაშასადამე, არასოდეს არ შემიძლია მოვტყუვდე: ვინაიდან, რაკი ყველაფერი, რაც ჩემშია, ღმერთისაგან მოდის და რაკი ღმერთს არ მოუცია ჩემთვის შეცდომის ჩადენის უნარი, აქედან თითქოს გამოდის, რომ მე არასოდეს არ უნდა შევცდე. და მართლაც, როდესაც მე ჩემს თავს განვიხილავ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მე ღმერთისაგან მოვდივარ, და როდესაც მე მთლად მისკენ ვარ მიქცეული, მე ვერ ვპოულობ ჩემში შეცდომის ან სიყალბის რაიმე მიზეზს. მაგრამ ამის შემდეგ, როდესაც მე ვუბრუნდები ჩემს

---

[1] Certitude.
[2] La science.
[3] La sagesse.
[4] Fraude.

თავს, გამოცდილება მეუბნება, რომ მე მაინც ბოსხეერპლი ვარ უამრავი შეცდომისა, რომელთა მიზეზის გამოძიების დროს მე ვამჩნევ, რომ მარტო ღმერთის ან უაღრესად სრული არსების რეალური და პოზიტიური იდეა კი არ წარმოუდგება ჩემს აზრს, არამედ აგრეთვე, ასე ვთქვათ, არარაობის[1] რაღაც ნეგატივური იდეაც, ე. ი. იდეა იმისა, რაც უსაზღვროდ დაშორებულია ყოველგვარი სისრულისაგან, — წარმოუდგება, რომ მე ვარ თითქოს შუა ადგილი ღმერთსა და არარაობას შორის, ე. ი. იმნაირად ვარ მოთავსებული უზენაეს არსსა და არაარსს[2] შორის, რომ ჩემში ჭეშმარიტად არ მოიპოვება ისეთი რამ, რასაც, რამდენადაც მე შემქნა უზენაესმა არსებამ, შეეძლოს ჩემი შეყვანა შეცდომაში. მაგრამ, თუ მე განვიხილავ ჩემს თავს, როგორც ისეთ რამეს, რასაც რაღაცნაირად წილი აქვს არარაობაში ან არარსში, ე. ი. განვიხილავ იმ თვალსაზრისით, რომ მე თვითონ არ ვარ უზენაესი არსი და რომ მე მაკლია მრავალი რამ, მაშინ მე ვამჩნევ, რომ უამრავი ნაკლოვანება შეიძლება მქონდეს, ასე რომ არ უნდა გამიკვირდეს, თუ შეცდომას ჩავიდენ.. ამრიგად მე ვიცი, რომ შეცდომა, როგორც ასეთი, არ არის რეალური რამ, რაც ღმერთისაგან არის დამოკიდებული, არამედ ის არის მხოლოდ დანაკლისი[3]. მაშასადამე, რათა შეცდომა ჩავიდინო, ამისათვის მე არ მჭირია რაღაც განსაკუთრებული უნარი, რომელიც ღმერთს მოეცა ჩემთვის კერძოდ ამ საქმის[4] გასაკეთებლად, არამედ—ისე ხდება ხოლმე, რომ მე ვცდები იმის გამო, რომ ყალბისაგან ჭეშმარიტის გასარჩევად ღმერთის მიერ ჩემთვის მოცემული უნარი არ არის ჩემში უსაზღვრო.

მაგრამ სავსებით ეს მაინც არ მაკმაყოფილებს, ვინაიდან შეცდომა არ არის წმინდა უარყოფა, ე. ი. არ არის უბრალო დანაკლისი ან არქონება[5] იმ სისრულისა, რომელიც არც

---

[1] Le néant.

[2] Le non-être.

[3] Défaut.

[4] ე. ი. შეცდომის (მთარგმნ. შენ.).

[5] Manquement.

არის სავალდებულო, რომ მქონდეს. შეცდომა არის მოკლებულობა[1] იმ ცოდნისა, რომელიც მე, როგორც ჩანს, უნდა მქონოდა. მაგრამ, როდესაც ვაკვირდები ღმერთის ბუნებას, მე არ მეჩვენება შესაძლებლად, რომ ღმერთს მოეცა ჩემთვის ისეთი ნიჭი, რომელიც არ იქნებოდა სრული თავისი გვარით[2], ე. ი. რომელსაც არ ექნებოდა მისთვის ჯერარსი სისრულე[3], ვინაიდან, თუ მართალია ის დებულება, რომ, რაც უფრო კარგია ოსტატი, მით უფრო დამთავრებული და სრულია მისი ხელიდან გამოსული ნაწარმოები, მაშინ განა მთელი ქვეყნის ამ უზენაეს შემოქმედს შეეძლო შეექმნა ისეთი საგანი, რომელიც არ იქნებოდა სრული და მთლიანად დამთავრებული ყველა თავის ნაწილში? ცხადია, მაშ, და არავითარი ეჭვიც არ არის იმაში, თითქოს ღმერთს არ შეეძლო გავეჩინე მე ისეთად, რომ არასოდეს არ შემძლებოდა შეცდომის ჩადენა. მაგრამ ცხადია აგრეთვე, რომ ღმერთს სურს ყოველთვის ის, რაც საუკეთესოა. მერე განა ის, რომ მე შემიძლია შეცდომის ჩადენა, უკეთესია იმაზე, რომ მე ეს არ შემეძლოს?

განვიხილავ რა ამ საკითხს ყურადღებით, მე უწინარეს ყოვლისა მიჩნდება ის აზრი, რომ არ უნდა მიკვირდეს, თუ მე არ შემწევს ძალა გავიგო, რისთვის აკეთებს ღმერთი იმას, რასაც იგი აკეთებს, და რომ ამის გამო არ უნდა მეეჭვებოდეს მისი არსებობა, ვინაიდან მე ვხედავ ჩემს გარშემო მრავალ არსებულ საგანს, თუმცა მე არ შემიძლია გავიგო, რისთვის ან როგორ გააკეთა ისინი ღმერთმა. რაკი მე უკვე ვიცი, რომ ჩემი ბუნება უკიდურესად სუსტი და განსაზღვრულია, ხოლო ღმერთის ბუნება, პირიქით, უზომოდ დიდი[4], მიუწვდომელი[5] და უსაზღვროა[6], ამიტომ ჩემთვის არ არის ძნელი იმის გაგება, რომ ღმერთის ძალაშია უამრავი საგანი, რომ-

---

[1] Privation.
[2] Parfait en son genre.
[3] La perfection qui lui soit due.
[4] Immense.
[5] Lucomprehenssible.
[6] Infinie.

ლის მიზეზი ჩემი გონების ფარგლებს სცილდება. უკვე მარტო ეს საბუთიც საკმარისია, რათა დამაჯეროს, რომ იმ მიზეზთა მთელ გვარს, რომელნიც ჩვეულებრივ გამოყავთ ბიზნისაგან, არავითარი გამოყენება არ მოეპოვება ფიზიკურ ან ბუნებრივ საგანთა წრეში, ვინაიდან არ ვფიქრობ, თითქოს თავხედობის გარეშე შემეძლოს გამოძიება და აღმოჩენა ღმერთის შეუღწევი მიზნებისა.

კიდევ მეტი: მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება მარტო ერთი ქმნილების ცალკე განხილვით დაკმაყოფილება, როდესაც გამოსაძიებელია საკითხი ღმერთის ქმნილებათა სისრულის შესახებ, არამედ უნდა განხილულ იქნენ ყველა ქმნილებანი ერთად, ვინაიდან ერთი და იგივე საგანი, რომელიც მეტისა თუ ნაკლების საბუთით შეიძლება მოგვჩვენებოდა ძალიან უსრულო საგნად იმ შემთხვევაში, რომ მხოლოდ იგი ყოფილიყო მთელ მსოფლიოში, აღმოჩნდება ძალიან სრულ არსებად, როდესაც იგი განხილულია, როგორც ამ მსოფლიოს ერთ-ერთი ნაწილი. და თუმცა იმ დროიდან, რაც მე განვიზრახე დაეჭვება ყველაფერში, მე სანდოდ შევიცანი მხოლოდ ჩემი და ღმერთის არსებობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე ვცანი ღმერთის უსაზღვრო ძლიერება, მე ვერ უარვყოფ, რომ ღმერთს შეუქმნია ან შეუძლია მაინც შექმნას მრავალი სხვა საგანი, ასე რომ მე ვარსებობ და მოთავსებული ვარ მსოფლიოში, როგორც არსთა მთელი სამყაროს ერთი ნაწილი.

ამის შემდეგ, განვიხილავ რა უფრო ახლოს ჩემს თავს და ვსინჯავ რა ჩემს შეცდომებს, რომლებიც მარტოკა ადასტურებენ, რომ ჩემში არის უსრულობა, მე ვამჩნევ, რომ ეს შეცდომები დამოკიდებული არიან ორი მიზეზის თანამოქმედებისაგან—სახელდობრ, შემეცნების იმ ნიჭისაგან, რომელიც მაქვს მე, და არჩევანის ნიჭისაგან ან, უკეთ, ჩემი ნების თავისუფლებისაგან[1], ე. ი. ჩემი გაგების უნარისაგან[2]

[1] Libre arbitre.

[2] L'entendement.

და ამასთან ერთად ჩემი ნებისყოფისაგან[1]. მხოლოდ გაგების უნარით მე არც ვადასტურებ და არც უარვყოფ რაიმე საგანს, არამედ მხოლოდ ვწვდები[2] იმ საგანთა იდეებს, რომლებიც მე შემიძლია დავადასტურო ან უარვყო. მაგრამ, როდესაც ასე ზუსტად განვიხილავთ გაგების უნარს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ უნარში არასოდეს არ მოიპოვება რაიმე შეცდომა, თუკი სიტყვა „შეცდომა“ იქნება აღებული მისი ზუსტი მნიშვნელობით. და თუმცა სამყაროში შეიძლება არსებობდეს უსაზღვრო რიცხვი საგნებისა, რომლების შესახებ მე არ მაქვს გაგების უნარში არავითარი იდეა[3], მაინც არ შეიძლება ამის გამო ითქვას, თითქოს ჩემს გაგების უნარს წართმეული[4] ჰქონდეს ეს იდეები როგორც ისეთი რაღაც, რაც მის ბუნებას ეკუთვნოდა, არამედ შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ჩემს გაგების უნარს არ აქვს ეს იდეები, ვინაიდან არავითარი საბუთი არ არსებობს ისეთი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ ღმერთი ვალდებული იყო მოეცა ჩემთვის შემეცნების უფრო დიდი და უფრო სრული უნარი, ვიდრე ის, რომელიც მან მომცა. და, რაც უნდა მოხერხებული და ბრძენი ოსტატი იყოს ღმერთი ჩემი შეხედულებით, მე ამის გამო მაინც არ უნდა ვიფიქრო, რომ იგი ვალდებული იყო ჩაედვა ყოველს თავის ქმნილებაში ყოველი სისრულე, რომელიც კი მას შეუძლია ჩადვას ზოგიერთში. მე არ შემიძლია აგრეთვე ვუჩივოდე იმას, რომ ღმერთს არ მოუცია ჩემთვის ნების თავისუფლება ან საკმაოდ სრული[5] ნებისყოფა, ვინაიდან სინამდვილეში მე ვამჩნევ, რომ იგი იმდენად სრული და იმდენად ფართოა, რომ არ არის არავითარ ფარგლებში მომწყვდეული.

და რასაც მე აქ განსაკუთრებით აღსანიშნავად ვთვლი, არის ის, რომ ყველა დანარჩენ თვისებათა შორის, რომელნიც

---

[1] Volonté.
[2] Conçois.
[3] ე. ი. სამყაროში შეიძლება არსებობდეს ბევრი ისეთი საგანი, რომლების შესახებ მე არაფერი გამიგია (მთარგმნ. შენ.).
[4] Privé.
[5] Assez ample et assez parfaite.

იმყოფებიან ჩემში, არც ერთი არ არის იმდენად სრული და დიდი, რომ მე არ შემეძლოს ვთქვა, რომ შეიძლებოდა იგი კიდევ უფრო დიდი და სრული ყოფილიყო. მართლაცდა, თუ მაგალითად განვიხილავ გაგების იმ ნიჭს[1], რომელიც არის ჩემში, მე ვამჩნევ, რომ იგი ძალიან მცირე მოცულობისაა და ფრიად განსაზღვრულია; ამასთან ერთად კი მე წარმოვიდგენ იდეას მეორე ნიჭისას, რომელიც ბევრად უფრო ფართოა და უსაზღვროც კი არის, და მხოლოდ იქიდან, რომ მე შემიძლია მისი იდეა წარმოვიდგინო, მე ვიცი დაუბრკოლებლად, რომ იგი ეკუთვნის ღმერთის ბუნებას. ამავე წესით, თუ ვსინჯავ მეხსიერებას ან წარმოსახვას, ან სხვა რომელიმე ნიჭიერებას, რომელიც კი არის ჩემში, მე ვერ ვპოულობ მათ შორის ისეთს, რომელიც არ იყოს ძალიან მცირე და განსაზღვრული და რომელიც ღმერთში არ იყოს უზომოდ დიდი და უსაზღვრო. მხოლოდ ნებისყოფა[2] ან თავისუფალი არჩევანის უნარი[3] არის ის, რაც ჩემი განცდით იმდენად დიდია, რომ მე ვერ მომიაზრებია ამაზე უფრო სრული და ფართო თავისუფალი არჩევანის უნარი: ასე რომ უმთავრესად ეს უნარია ის, რაც მე მაძლევს იმის ცოდნას, რომ მე ვატარებ ღმერთის სახესა და მის მსგავსებას.

კიდევაც რომ შეუდარებლად უფრო დიდი იყოს თავისუფალი არჩევანის უნარი ღმერთში, ვიდრე ჩემშია (გინდ იმ ცოდნისა და ძლიერების გამო, რომლებთანაც ის დაკავშირებულია და რომლებიც აძლევენ მას მეტ სიმტკიცესა და მეტ ნაყოფიერებას, გინდ მისი საგნის გამო, რამდენადაც ღმერთის თავისუფლება ვრცელდება უსაზღვროდ უფრო მეტ საგნებზე), იგი, ჩემი შეხედულებით, მაინც არ არის უფრო დიდი, თუ მე მას განვიხილავ გაფორმებულად და ზუსტად თავისთავად. მართლაცდა, ეს თავისუფალი არჩევანი იმაში შედგება, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთი და იგივე საქმე ან გა-

---

[1] La faculté de concevoir.

[2] Volonté.

[3] Liberté du franc arbitre.

ვაკეთოთ, ან არ გავაკეთოთ, ე. ი. ან დავადასტუროთ, ან უარვყოთ[1], ან დავეწაფოთ მას, ან გავექცეთ. უკეთ რომ ითქვას, თავისუფალი არჩევანი მხოლოდ იმაში შედგება, რომ ჩვენ, რათა დავადასტუროთ ან უარვყოთ, დავეწაფოთ ან გავექცეთ საგნებს, რომლებსაც გაგების უნარი გვაწვდის, ისე ვმოქმედებთ, რომ არ ვგრძნობთ თითქოს რაიმე გარეშე ძალა იძულებას გვაყენებდეს. ვინაიდან იმისათვის, რათა მე ვიყო თავისუფალი, არ არის აუცილებელი, რომ ჩემთვის სულ ერთი იყოს, თუ რომელს ავირჩევ ორ მოპირდაპირე საგანს შორის. პირიქით, რაც უფრო მეტად ვარ მე გადახრილი ერთი საგნისაკენ (გინდ იმის გამო, რომ მე აშკარად ვიცი, რომ ამ საგანში სიკეთე და ჭეშმარიტება ხვდებიან ერთმანეთს, გინდ იმის გამო, რომ ღმერთი ამნაირად აწყობს ჩემი აზრების შინაგანს), მით უფრო თავისუფლად ვახდენ მე არჩევანს მათ შორის. და მართლაც, ღვთაებრივი მადლი და ბუნებრივი ცოდნა კი არ ამცირებენ ჩემს თავისუფლებას, არამედ უმალ ამდიდრებენ და აძლიერებენ მას. ასე რომ ის ინდიფერენტობა, რომელსაც ვგრძნობ მე მაშინ, როდესაც რაიმე საბუთის ძალით მე არ ვარ ერთ რომელიმე მხარეზე უფრო გადახრილი, ვიდრე მეორე მხარეზე, არის თავისუფლების უმდაბლესი საფეხური და იგი უმალ ამეღავნებს ცოდნის ნაკლებობას, ვიდრე ნებისყოფის სისრულეს: ვინაიდან, მე რომ ყოველთვის ნათლად მცოდნოდა ის, რაც ჭეშმარიტია, და ის, რაც კეთილია, მე არასოდეს არ გამიჭირდებოდა იმის მოსაზრება[2], თუ რომელი მსჯელობა და რომელი არჩევანი უნდა გამეკეთებია, და ამრიგად მე ვიქნებოდი სრულიად თავისუფალი და არასოდეს არ ვიქნებოდი ინდიფერენტული.

აქედან მე იმ ცოდნას ვღებულობ, რომ ჩემი შეცდომების მიზეზი არ არის თავისთავად არც ნებელობის ძალა[3], რომელიც მე ღმერთისაგან მივიღე, ვინაიდან იგი არის ფრიად

---

[1] Affirmer ou nier.

[2] Délibérer.

[3] La puissance de vouloir.

სრული თავის გვარში, და არც აგრეთვე გაგებისა ან მიწვდომის ძალა[1], ვინაიდან ყველაფერს მე ვწვდები მხოლოდ იმ უნარის საშუალებით, რომელიც მიწვდომისათვის მომცა მე ღმერთმა, და ამიტომ უეჭველია, რომ ყველაფერს, რასაც კი მე ვწვდები, მე სწორედ ისე ვწვდები, როგორც საჭიროა, და შეუძლებელია, რომ მე ამაში ვცდებოდე.

მაშ, საიდან ჩნდებიან ჩემი შეცდომები? ხოლოდ იქიდან, რომ მე (რამდენადაც ნებისყოფა ბევრად უფრო სრული და ფართოა, ვიდრე გაგება) არ ვაკავებ ამ ნებისყოფას ცოდნის ფარგლებში და ვავრცელებ მას ისეთ საგნებზედაც, რომლებიც მე არ გამეგება და რომლების მიმართ იგი თავისთავად ინდიფერენტულია. ამის გამო ნებისყოფა ადვილად ცდება, ირჩევს ყალბს ჭეშმარიტის მაგიერ და სიავეს სიკეთის მაგიერ. აქედან კი ჩნდება ის, რომ მე ვცდები[2] და ვცოდებ[3].

მაგალითად, ამ დღეებში მე ვარჩევდი საკითხს იმის შესახებ, არსებობს თუ არა ნამდვილად რაიმე საგანი ქვეყანაზე, და რაკი შევიცანი, რომ უკვე იქიდან, რომ მე ამ საკითხს ვარჩევდი, ძალიან ცხადად გამომდინარეობდა, რომ მე თვითონ ვარსებობ, მე არ შემეძლო თავი შემეკავებია იმ მსჯელობისაგან, რომ ის, რასაც მე ასე ნათლად ვწვდებოდი, იყო ჭეშმარიტი. არავითარი გარეგნული მიზეზი არ მაძალებდა მე ამას, არამედ იმ დიდ სინათლეს, რომელიც იყო ჩემს გაგებაში[4], მოჰყვა დიდი მიდრეკილება ჩემს ნებისყოფაში და მე მით უფრო მეტი თავისუფლებით შევიქენ დაჯერებული, რაც უფრო ნაკლებად ვიყავ ინდიფერენტული. პირიქით, ამჟამად მე მხოლოდ ის კი არ ვიცი, რომ მე ვარსებობ, რამდენადაც ვარ ისეთი რაღაც საგანი, რომელიც აზროვნებს, არამედ ჩემს გონებას წარმოუდგება აგრეთვე ნივთიერი ბუნების იდეა: ეს კი იწვევს ეჭვს, ნუთუ ის მოაზ-

---

[1] La puissance d'entendre ou de conecvoir.

[2] Je me trompe.

[3] Je pèche.

[4] Entendement.

როვნე ბუნება, რომელიც არის ჩემში (უკეთ რომ ითქვას, რომელიც ვარ მე თვითონ), განსხვავდება ამ ნივთიერი ბუნებისაგან, ან, ეგებ, ორივე ერთი და იგივეა. ნე ვგულისხმობ აქ, რომ ჯერ მე არ ვიცნობ არც ერთ საბუთს, რომელიც უფრო მეტად დამაჯერებდა ერთში, ვიდრე მეორეში, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მე ინდიფერენტული ვარ დავადასტურო ან უარვყო იგი, ანდა სრულიად თავი შევიკავო ამის შესახებ რაიმე მსჯელობისაგან.

და ეს ინდიფერენტობა ვრცელდება არა მხოლოდ ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებ გაგებას[1] არ აქვს არავითარი ცოდნა, არამედ აგრეთვე ყველა იმ საგნებზე საზოგადოდ, რომლებსაც იგი სრული სინათლით ვერ ცხადყოფს იმ მომენტში, როდესაც ნებისყოფა მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებას აპირებს[2]. ვინაიდან, რაც უნდა დასაჯერებელი იყოს ის მოსაზრება, რომელიც იწვევს ჩემში მიდრეკილებას ვიმსჯელო საგანზე, უკვე მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ეს არის მარტო მოსაზრება[3] და არა გარკვეული და უეჭველი საბუთი[4], კმარა იმისათვის, რათა მე ნომეცეს საბაბი საწინააღმდეგო მსჯელობისათვის. მე თვითონ განვიცადე საკმაოდ ეს გარემოება ამ დღეებში, როდესაც ყველაფერი, რაც მანამდე მიმაჩნდა ძალიან ეჭვმარიტად, მე შეცდომად გამოვაცხადე ნხოლოდ იმიტომ, რომ შევამჩნიე მათში რაღაცნაირი დაეჭვების შესაძლებლობა. მაგრამ, თუ ნე თავს ვიკავებ ისეთი საგნის შესახებ მსჯელობისაგან, რომელსაც აღარ შევიცნობ საკმაო სინათლითა და გარკვეულობით, ცხადია, რომ მე მაშინ კარგად ვიქცევი და სრულიად არ ვარ შემცდარი; მაგრამ, თუ მე ასეთ საგანს უარვყოფ ან ვადასტურებ, მაშინ მე ჯეროვანად არ ვიყენებ თავისუფალი არჩევანის ჩემს უნარს. და თუ მე ვადასტურებ იმას, რაც არ არის ეჭვმარიტი, ცხადია, რომ მაშინ მე ვცდები: იმ შემთხვევაშიც კი, რო-

---

[1] Entendement.

[2] Au moment que la volonté en délibère.

[3] Pour conjectures.

[4] Raisons.

დესაც ჩემი მაჯელობა ემთხვევა ჭეშმარიტებას, ეს ხდება შემთხვევით, და მე მაინც არ დამიღწევია თავი ნაკლოვანებისაგან და ჩემი თავისუფლების ცუდად გამოყენებისაგან, ვინაიდან ბუნებრივი სინათლე გვასწავლის, რომ გაგების ცოდნა[1] ყოველთვის უნდა უსწრებდეს წინ ნებისყოფის გადაწყვეტილებას.

სწორედ თავისუფალი არჩევანის უნარის ამ ცუდად გამოყენებაში იმყოფება ის დანაკლისი, რომელიც შეადგენს შეცდომის ფორმას. ეს დანაკლისი, ვამბობ მე, იმყოფება (არჩევანის) ოპერაციაში იმდენად, რამდენადაც იგი ჩემგან იწარმოება, მაგრამ დანაკლისი არ იმყოფება იმ უნარში, რომელიც მე ღმერთისაგან მიმიღია, და არც ამ ოპერაციაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი ღმერთისაგან არის დამოკიდებული. მე ხომ არ მაქვს, ცხადია, არავითარი საფუძველი ვემდურებოდე იმას, რომ ღმერთს არ მოუცია ჩემთვის უფრო ფართო ჭკუა[2] ან უფრო სრული ბუნებრივი სინათლე, ვიდრე მოცემული მაქვს მისგან, რადგან შეზღუდული გაგების ბუნებას ის შეადგენს, რომ მას არ ესმის მრავალი რამ, ხოლო შექმნილი გაგების ბუნებას ის შეადგენს, რომ იგი შეზღუდულია. პირიქით, მე მაქვს ყველა საფუძველი ვუმადლოდე ღმერთს იმისათვის, რომ მან, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ვალდებულება არ ჰქონდა არასოდეს ჩემს მიმართ, მომცა მაინც ის ცოტაოდენი სისრულე, რომელიც არის ჩემში; და მე უნდა შორს ვიყო ისეთი არამართებული შეხედულებისაგან, თითქოს ღმერთს ჩემთვის წაერთვას ან უსამართლოდ დაეკავებინოს სხვა სისრულე, რომელიც მას ჩემთვის არ მოუცია.

არ მაქვს აგრეთვე საფუძველი ვუჩივოდე იმას, რომ ღმერთს მოუცია ჩემთვის გაგების უნარზე უფრო სრული ნებისყოფა, რადგან ნებისყოფა მხოლოდ ერთი და თითქოს განუყოფელი რაობაა, და მისი ბუნება, როგორც ჩანს, ისეთია, რომ მას არ შეიძლება რაიმე წაერთვას ისე, რომ იგი

---

[1] La connoissance de l'entendement.

[2] Intelligence.

მთლად არ განადგურდეს. ამიტომ რაც უფრო ფართოა ჩემი ნებისყოფა, მით უფრო მეტად უნდა ვუმადლოდე მე იმის გულკეთილობას, ვინც მე იგი მომცა.

და ბოლოს, მე აგრეთვე არ უნდა ვუჩივოდე იმას, რომ ღმერთი მეხმარება მე[1], რათა წარმოიშვას ამ ნებისყოფის აქტები, ე. ი. მსჯელობები, რომლებშიაც ვტყუვდები. ვინაიდან ეს აქტები, რამდენადაც ისინი ღმერთისაგან არიან დამოკიდებული, მთლად ჭეშმარიტი და აბსოლუტურად კეთილი არიან და ჩემს ბუნებაში ერთგვარად მეტი სისრულეა იმის გამო, რომ ჭე შემიძლია მსჯელობა ვაწარმოო, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ მე ეს არ შემძლებოდა.

რაც შეეხება დანაკლისს, რომელიც მარტოკა შეადგენს შეცდომისა და შეცოდების ფორმალურ საბუთს, ის არ საჭიროებს ღმერთის არავითარ დახმარებას, რადგან იგი არ არის რაიმე საგანი ან არსება, და, თუ მის მიზეზად ჩავთვლით ღმერთს, მას უნდა მაშინ ეწოდოს არა დანაკლისი[2], არამედ მხოლოდ უარყოფა[3], თანახმად იმ მნიშვნელობისა, რომელსაც სკოლაში[4] ამ სიტყვებს აძლევენ. მართლაც, არ არის ღმერთის უსრულობა ის, რომ მან მომცა თავისუფლება დავცე მსჯელობა ან არ დავცე იგი ამა თუ იმ საგანზე, რომლის ნათელი და გარკვეული ცოდნა ღმერთს არ ჩაუდვია ჩემი გაგების უნარში, არამედ ეს არის უეჭველად ჩემი უსრულობა, რადგან მე არ ვიყენებ კარგად ამ თავისუფლებას და კადნიერად ვაკეთებ მსჯელობას ისეთ საგნებზე, რომლებსაც მე ვწვდები მხოლოდ ბნელად და ბუნდოვანად.

—მე ვხედავ მაინც, რომ ღმერთს ადვილად შეეძლო გაეკეთებია ისე, რომ თავისუფლების და შეზღუდული ცოდნის ქონების პირობებშიც მე არასოდეს არ ჩამედინა შეცდომა, თუკი იგი მისცემდა ჩემს ჭკუას[5] ნათელსა და გარკვეულ

---

[1] Concourt avec moi.

[2] Privation.

[3] Négation.

[4] სკოლას დეკარტი ეძახის სქოლასტიკას (მთარგმნ. შენ.).

[5] Entendement.

გაგებას[1] ყველა იმ საგნისას, რომლის განხილვა[2] მე ოდესმე მომიხდებოდა, ანდა თუ იგი გადაწყვეტილებას, არასოდეს არ მემსჯელა საგნებზე ნათელი და გარკვეული ცოდნის უქონლად, ისე ღრმად აღბეჭდავდა ჩემს მეხსიერებაში, რომ მე ეს გადაწყვეტილება არასოდეს არ დამვიწყებოდა. და მე კარგად ვამჩნევ, რომ მე, რამდენადაც ჩემს თავს განმარტოებულად განვიხილავ, თითქოს მხოლოდ მე ვარსებობდე ქვეყანაზე, ბევრად უფრო სრული ვიქნებოდი, ვიდრე ვარ, რომ ღმერთს შევექმენი იმნაირად, რომ არასოდეს არ ჩამედინა შეცდომა. მაგრამ ამით მე არ შემიძლია უარვყო, რომ მსოფლიოში ერთგვარად უფრო დიდი სისრულეა იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი მისი ნაწილი არ არის ნაკლოვანებისაგან თავისუფალი, სხვები კი თავისუფალია, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ მსოფლიოს ყველა ნაწილი ერთმანეთის მსგავსი ყოფილიყო.

და მე არავითარი უფლება არ მაქვს უკმაყოფილო ვიყო იმით, რომ ღმერთმა, გამაჩინა რა მან ამ ქვეყნად, არ მოისურვა მოვეთავსებინე ყველაზე უფრო კეთილშობილ და ყველაზე უფრო სრულ არსებათა რიგში. პირიქით, მე მაქვს საფუძველი კმაყოფილი ვიყო იმით, რომ, თუ ღმერთმა არ მომცა შეუცდომლობის სისრულის ის სახე, რომელიც ზევით აღწერილია და რომელიც დამოკიდებულია ყველა განსახილველი საგნის შესახებ ნათელი და ცხადი ცოდნისაგან, მან მაინც დატოვა ჩემს განკარგულებაში ამის მეორე საშუალება, რომელიც იმაში შედგება, რომ მაგრად მეჭიროს გადაწყვეტილება, არასოდეს არ დავცე მსჯელობა ისეთ საგნებზე, რომელთა ჭეშმარიტება ნათლად არ მაქვს შეცნობილი. ვინაიდან, თუმცა მე ვამჩნევ ჩემში იმ სისუსტეს, რომ არ შემიძლია განუწყვეტლივ მიკრული მქონდეს გონება ერთსა და იმავე აზრზე, მე შემიძლია მაინც გულისყურიანი და ხშირად განმეორებული გააზრების საშუალებით ისე მაგრად აღბეჭ-

---

[1] Intelligence.

[2] Délibérer.

დო იგი[1] ჩემს მეხსიერებაში, რომ იგი მაგონდება მე ყოველთვის, როდესაც კი დამჭირდება, და ამ ხერხით მე შემიძლია შევიძინო ის ჩვეულება, რომ სრულიად არ ვცდებოდე. და რამდენადაც სწორედ ამაში შედგება ადამიანის უდიდესი და უმთავრესი სისრულე, მე ვფიქრობ, რომ დღეს ცოტა რამ როდი შემიძენია ამ განაზრებით, რომელმაც აღმომაჩენია შეცდომისა და სიყალბის მიზეზი.

ცხადია, შეუძლებელია, რომ იყოს ამის სხვა მიზეზი, გარდა იმისა, რომელიც მე ახლა ავხსენი. ვინაიდან ყოველთვის, როცა მე ჩემი ნებისყოფა შეკავებული მაქვს ჩემი ცოდნის ფარგლებში და იგი მსჯელობას სცემს მხოლოდ იმ საგანთა შესახებ, რომლებიც ნათლად და გარკვეულად არიან გაგების მიერ წარმოდგენილი[2], შეუძლებელია, რომ მე ვცდებოდე, რადგან ყოველი ნათელი და გარკვეული ცნება[3] უეჭველად არის რაღაც და, მაშასადამე, არ შეიძლება, რომ იგი იყოს არარაობისაგან წარმოშობილი, არამედ მისი შემქმნელი აუცილებლად უნდა იყოს ღმერთი. ღმერთი (ვამბობ მე), რომელიც უაღრესად სრულია, არ შეიძლება იყოს რაიმე შეცდომის მიზეზი და, მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ასეთი ცნება ან ასეთი მსჯელობა ჭეშმარიტია. მაგრამ მე მარტო ის კი არ ვისწავლე დღეს, თუ რას უნდა ვერიდებოდე, რათა აწ აღარ შევცდე, არამედ ვისწავლე აგრეთვე ისიც, თუ რა უნდა გავაკეთო, რათა ჭეშმარიტების ცოდნას მივაღწიო, ვინაიდან მე უეჭველად მივაღწევ მას, თუ საკმაოდ შევაჩერებ ჩემს ყურადღებას ყველა იმ საგანზე, რომლებსაც სრულად ვწვდები, და თუ მე მათ გამოვყოფ სხვა საგნებისაგან, რომლებსაც შევიცნობ მხოლოდ ბუნდოვანად და ბნელად. ამას მე აწ დიდი ზრუნვით მოვეკიდები.

---

[1] ე. ი. გადაწყვეტილება—არ დავცე მსჯელობა ბნელად შეცნობილ საგანზე (მთარგმნ. შენ.).

[2] Représentées.

[3] Conception.

განაზრება მეხუთე

მატერიალურ საგანთა და კვლავ ღმერთის შესახებ, რომ იგი არსებობს

მე მრჩება გამოსაკვლევად ბევრი სხვა საკითხი, რომელიც ეხება ღმერთის ატრიბუტებსა და ჩემს საკუთარ ბუნებას, ე. ი. ჩემი გონების[1] ბუნებას. მაგრამ მე მათ გამოკვლევას ალბათ შევუდგები სხვა დროს, ახლა კი, მას შემდეგ, რაც მე შევნიშნე, თუ რას უნდა ვაკეთებდე ან ვერიდებოდე ჭეშმარიტების შემეცნების მისაღწევად, ჩემი უმთავრესი საქმეა ვცადო გამოვიდე და განვთავისუფლდე ყველა იმ ეჭვისაგან, რომლებშიაც მე ჩავვარდი ამ დღეებში, და ვნახო, ნუთუ არაფერი სანდო არ შეიძლება შევიმეცნოთ მატერიალურ საგანთა შესახებ. მაგრამ, სანამ მე გამოვიკვლევდე საკითხს, არსებობენ თუ არა ისეთი საგნები, რომლებიც იმყოფებიან ჩემ გარეშე, მე უნდა განვიხილო მათი იდეები, რამდენადაც ისინი ჩემს აზროვნებაშია, და ვნახო, რომელია გარკვეული და რომელია ბუნდოვანი.

პირველ რიგში მე გარკვეულად წარმოვიდგენ[2] იმ ოდენობას, რომელსაც ფილოსოფოსები ჩვეულებრივ უწყვეტ ოდენობას უწოდებენ[3], ან, უკეთ, სიგრძის, სიფართოვის და სიღრმის განფენილობას, რომელიც არის ამ ოდენობაში ან უმალ იმ საგანში, რომელსაც იგი მიეწერება. კიდევ მეტი: მე შემიძლია ჩამოვთვალო მასში მრავალი სხვადასხვა ნაწილი და მივაკუთვნო თითოეულ ნაწილს ყოველგვარი სიდიდე, აღნაგობა, მდგომარეობა და მოძრაობა; დაბოლოს, მე შემიძლია მივაწერო თითოეულ ამ მოძრაობას ყოველგვარი ხანგრძლი-

---

[1] Esprit.

[2] J'imagine distinctement.

[3] La quantité continue.

ობა[1], და როდესაც მე ამათ განვიხილავ ასე ზოგადად, მე არა მხოლოდ ამათ შევიცნობ გარკვეულად, არამედ მე (თუკი ოდნავ მაინც მივაპყრობ ყურადღებას) შევიცნობ აგრეთვე უამრავ კერძო რამეს რიცხვის, აღნაგობის, მოძრაობის და ამათ მსგავს სხვა საგანთა შესახებ, რომელთა ჭეშმარიტება მჟღავნდება ისეთი სიცხადით და ეთანხმება ჩემს ბუნებას ისე კარგად, რომ მე, როცა ვიწყებ მათ აღმოჩენას, არ მეჩვენება, თითქოს რასმე ახალს ვტყობილობდე, არამედ უმალ ისე მეჩვენება, თითქოს მე ვიხსენებდე იმას, რაც უწინ უკვე ვიცოდი, ე. ი. თითქოს მე შევნიშნავდე იმ საგნებს, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ ჩემს გონებაში, თუმცა მე მათთვის არ მიმიპყრია ჯერ კიდევ ჩემი აზროვნება. და რაც მე აქ უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია, ეს არის ის, რომ მე ვპოულობ ჩემში უამრავ იდეას ისეთ საგანთა შესახებ, რომელნიც არ შეიძლება ცნობილ იქნენ სრულ არარაობად (თუმცა შესაძლებელია, რომ მათ არ ჰქონდეთ არავითარი არსებობა ჩემი აზროვნების გარეშე), რომელნიც არ არიან ჩემ მიერ გამოგონებულნი (თუმცა შესაძლებელია ჩემგან იყოს დამოკიდებული, განვიაზრებ მე მათ თუ არა) და რომელთაც აქვთ თავისი ჭეშმარიტი და უცვლელი ბუნება. მაგალითად, როდესაც მე წარმოვიდგენ სამკუთხედს, მაშინ, კიდევაც რომ ასეთი ფიგურა ჩემი აზროვნების გარეშე არსად ქვეყანაზე არ არსებობდეს და არასოდეს არ არსებულიყო, მაინც არის მასში გარკვეული ბუნება[2] ან ფორმა, ე. ი. ამ ფიგურის განსაზღვრული არსება[3], რომელიც უცვლელი და მარადიულია, რომელიც მე კი არ გამომიგონებია და რომელიც არავითარნაირად არ არის ჩემი გონებისაგან დამოკიდებული, როგორც ეს ჩანს იქიდან, რომ შესაძლებელია დამტკიცდეს ამ სამკუთხედის მრავალი თვისება (სახელდობრ, ის, რომ მისი სამი კუთხე უდრის ორ სწორ კუთხეს, რომ უდიდესი კუთხე დაყრდნობილია უდიდეს გვერდზე და სხვა ასეთები), რომელთაც ამჟამად მე, მინდა

---

[1] Durée.

[2] Nature.

[3] Essence.

ეს თუ არ მინდა, შევიცნობ სამკუთხედში ძალიან ნათლად და ძალიან ცხადად[1], თუმცა უწინ, როდესაც მე პირველად წარმოვიდგინე სამკუთხედი, არც კი მიფიქრია მათზე, და, მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, თითქოს ეს თვისებები მე შევთხზე და გამოვიგონე. მე აქ მხოლოდ ის შენიშვნა უნდა გავუკეთო ჩემს თავს, რომ შესაძლებელია სამკუთხედის ეს იდეა შემოვიდა ჩემს გონებაში გრძნობათა საშუალებით—იმის გამო, რომ მე ზოგჯერ მინახავს სამკუთხიანი აღნაგობის მქონე სხეულები. მაგრამ მე ხომ შემიძლია შევქმნა ჩემს გონებაში უამრავი სხვა ფიგურა, რომელთა მიმართ არ არსებობს არავითარი ეჭვი, თითქოს მე ისინი ოდესღაც განმეცადოს გრძნობებით: მიუხედავად ამისა, მე მაინც შემიძლია დავამტკიცო მრავალი თვისება მათი ბუნების შესახებ, ისე როგორც სამკუთხედის შესახებაც. და ეს თვისებები, ცხადია, ჭეშმარიტი უნდა იყვნენ, რადგან მე მათ ვწვდები ნათლად, და, მაშასადამე, ისინი არიან რაღაც ნამდვილად არსებული და არა წმინდა არარაობა, ვინაიდან სავსებით ნათელია, რომ ყველაფერი, რაც ჭეშმარიტია, არის რაღაც ნამდვილად არსებული, რადგან ჭეშმარიტება იგივეა, რაც სინამდვილე[2], ხოლო მე ამაზე უწინ უკვე სრულად დავამტკიცე, რომ ყველაფერი, რაც მე ვიცი ნათლად და გარკვეულად, ჭეშმარიტია[3]. ჩემი გონების ბუნება ისეთია, რომ მე ვერ დავუშლი ჩემს თავს ჭეშმარიტად მიმაჩნდეს ეს თვისებები, სანამ მე მათ შევიცნობ ნათლად და გარკვეულად, თუმცა ეს ჯერ არ დამიმტკიცებია. და მე მაგონდება, რომ იმ დროსაც კი, როდესაც გრძნობისეულ საგნებზე ვიყავ ჯერ კიდევ ძლიერ მიკრული, მე ყველაზე უფრო მტკიცე ჭეშმარიტებათა შორის ვრაცხდი იმას, რაც მე ნათლად და გარკვეულად შეცნობილი მქონდა ფიგურების, რიცხვების და სხვა ახეთის შესახებ, რაც არითმეტიკასა და გეომეტრიას მიეკუთვნება.

---

[1] Très-clairement et très-évidement.

[2] La vérité étaunt une même chose avec l'être.

[3] Toutes les choses que je connais clairement et distinctement sont vraies.

ახლა, თუ მხოლოდ იქიდან, რომ მე შემიძლია ჩემი აზრიდან გამოვიყვანო ამა თუ იმ საგნის იდეა, გამომდინარეობს ის, რომ ყველაფერი, რასაც მე ნათლად და გარკვეულად შევიცნობ, როგორც ამ საგნის კუთვნილებას, ნამდვილად ეკუთვნის ამ საგანს, მაშინ განა არ მაქვს უფლება გამოვიყენო ეს ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ საბუთად? უეჭველია, რომ მე ამა თუ იმ ფიგურისა ან ამა თუ იმ რიცხვის იდეაზე ნაკლებად როდი ვპოულობ ჩემს თავში ღმერთის ან უსრულესი არსების იდეას; და რომ ღმერთის ბუნებას ეკუთვნის აქტუალური[1] და მარადიული არსებობა, ამას მე უფრო ნაკლები სინათლითა და გარკვეულობით როდი შევიცნობ, ვიდრე იმას, რომ ყველაფერი, რაც მე შემიძლია ამა თუ იმ ფიგურის ან რიცხვის შესახებ დავამტკიცო, ჭეშმარიტად ეკუთვნის ამ ფიგურის ან რიცხვის ბუნებას. მაშასადამე, კიდევაც რომ ჭეშმარიტი არ აღმოჩნდნენ ის დასკვნები, რომლებიც მე წინამორბედ განაზრებებში გამოვიყვანე, ღმერთის არსებობა მაინც იქნება ჩემთვის იმდენადვე სანდო, რამდენადაც მე აქამდე სანდოდ მიმაჩნდა მათემატიკური ჭეშმარიტებანი, რომელნიც მხოლოდ რიცხვებსა და ფიგურებს ეხებიან, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ეს მთლად სანდოდ არ გვეჩვენება, არამედ რაღაც სოფიზმს ემსგავსება. ვინაიდან, მივეჩვიე რა სხვა საგნების მიმართ არსებობისა[2] და არსების[3] ურთიერთობის გარჩევას, მე ადვილად ვარწმუნებ ჩემს თავს, რომ არსებობა შეიძლება მოვაცილოთ ღმერთის არსებას და ამრიგად შესაძლებელია ღმერთი ვიაზროთ როგორც აქტუალურად არარსებული. რამ. მაგრამ, როდესაც მეტი გულისყურით ვფიქრობ ამ საკითხზე, მე ცხადად ვამჩნევ, რომ არსებობა შეიძლება მოვაცილოთ ღმერთის არსებას არა მეტის უფლებით, ვიდრე სწორხაზიანი სამკუთხედის არსებას შეიძლება მოვაცილოთ ის, რომ მისი კუთხეთა ჯამის სიდიდე უდრის ორ სწორ კუთხეს; ანდა მთის იდეას შეიძლება მოვა-

---

[1] Actuelle.

[2] Existence.

[3] Essence.

ცილოთ ბარის იდეა. ასე რომ•არა ნაკლებ ძნელია ვიაზროთ ღმერთი ან უაღრესად სრული არსება, რომელსაც აკლია არსებობა, ე. ი. აკლია რაღაც სისრულე, ვიდრე ვიაზროთ მთა, რომელსაც თან არ ახლავს ბარი.•

• მაგრამ, კიდევაც რომ მე არ შემეძლოს ღმერთი ვიაზრო არსებობის გარეშე, ისე როგორც არ შემიძლია მე მთა ვიაზრო უბაროდ, მაინც ძალაში რჩება შემდეგი: იქიდან, რომ მე მთას განვიაზრებ ბარიანად, არ გამომდინარეობს ის, თითქოს ქვეყანაზე არსებობდეს რაიმე მთა, სწორედ ამგვარადვე იქიდან, რომ მე ღმერთს განვიაზრებ როგორც არსებულს, არ გამომდინარეობს, რომ ღმერთი არსებობს: ჩემი აზროვნება ხომ ვერ აკისრებს საგნებს რაიმე აუცილებლობას, და მსგავსად იმისა, რომ ვე შემიძლია წარმოვიდგინო ფრთოსანი ცხენი, თუმცა არც ერთ არსებულ ცხენს არ აქვს ფრთა, ამნაირადვე განა არ შემიძლია მე მივაწერო არსებობა ღმერთს, თუმცა შესაძლებელია არ მოიპოვებოდეს არავითარი ღმერთი, რომელიც არსებობდეს? სრულიადაც არა! სწორედ აქ არის სოფიზმი, რომელიც დამალულია ამ შეპასუხების გარეგნულობაში, და აი რატომ: | იქიდან, რომ მე არ შემიძლია ~~ვიაზრო მთა უბაროდ, გამომდინარეობს არა ის, რომ~~ ქვეყანაზე არსებობდეს რაიმე მთა ან რაიმე ბარი, არაა~~ეედ~~ მხოლოდ ის, ~~რომ მთა და ბარი~~ (მიუხედავად ~~იმისა, არსებობენ~~ ისინი თუ არა) განუყრელი არიან ერთმანეთისაგან; ნაცვლად ამისა კი იქიდან მხოლოდ, რომ მე არ შემიძლია ღმერთი ვიაზრო როგორც არარსებული, გამომდინარეობს, რომ არსებობა განუყრელია ღმერთისაგან და რომ, მაშასადამე, ,ღმერთი არსებობს ჭეშმარიტად. ჩემი აზროვნება კი არ ქმნის იმას, რომ ეს ასე იყოს, ჩემი აზროვნება კი არ აკისრებს საგნებს რაიმე აუცილებლობას, არამედ, პირუკუ, თვით საგანში ,არსებული აუცილებლობა, ე. ი. ღმერთის არსებობის აუცილებლობა, მაიძულებს მე, რათა მქონდეს ასეთი აზრი,| მე არ შემიძლია ვიაზრო ღმერთი არსებობას მოკლებულად (ე. ი. უაღრესად სრული არსება უზენაეს სისრულეს მოკლებულად), აი როგორც შემიძლია წარმოვიდგინო ცხენი თუ მინდა უფრთოდ, თუ მინდა ფრთებიანად. •

არ უნდა აგრეთვე ითქვას ასე: მას შემდეგ, რაც მე დავუშვი, რომ ღმერთს აქვს ყოველგვარი სისრულე, მართლაც აუცილებელია ვაღიარო, რომ ღმერთი არსებობს (ვინაიდან არსებობა არის ერთ-ერთი სისრულე), მაგრამ პირველი ჩემი დაშვება არ იყო აუცილებელი, ისე როგორც არ არის აუცილებელი ვიფიქროთ, თითქოს ყოველი ოთხგვერდიანი ფიგურა შეიძლება წრეში იქნეს ჩაწერილი: თუ კი დავუშვებთ ამ უკანასკნელ აზრს, მაშინ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ რომბი შეიძლება წრეში იქნეს ჩაწერილი, ვინაიდან რომბი არის ოთხგვერდიანი ფიგურა, და ამრიგად იძულებული ვიქნებით გამოვთქვათ მცდარი აზრი. ასეთი თქმა, ვიმეორებ, არ შეიძლება აქ საბუთად იქნეს მოყვანილი, ვინაიდან, აუცილებელიც რომ არ იყოს, რათა მე ოდესმე გამიჩნდეს აზრი ღმერთზე, მაინც ყოველთვის, როდესაც მე მიხდება ვიფიქრო პირველი და უზენაესი არსის შესახებ და ამოვიღო მისი იდეა, ასე ვთქვათ, ჩემი გონების საუნჯიდან, აუცილებელია, რათა მე მივაწერო მას ყოველგვარი სისრულე, თუმცა მე, შეიძლება, არ მქონდეს ყველა ესენი ჩამოთვლილი და თითოეულ მათგანზე ცალკე ჩემი ყურადღება მიპყრობილი. და ეს აუცილებლობა საკმარისია იმისათვის, რათა მე შემდეგ (როცა შევიცნობ, რომ არსებობა არის სისრულე) მართებულად დავასკვნა, რომ ეს პირველი და უზენაესი არსება არსებობს. სწორედ ამგვარადვე არ არის აუცილებელი, რომ მე ოდესმე წარმოვიდგინო სამკუთხედი, მაგრამ ყოველთვის, როდესაც მე წარმოვიდგენ მხოლოდ სამი კუთხისაგან შემდგარ სწორხაზოვან ფიგურას, აბსოლუტურად აუცილებელია, რათა მივაწერო მას ყველაფერი ის, რაც საჭიროა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ მისი სამი კუთხე არ აღემატება ორ მართ კუთხეს, თუმცა შესაძლებელია, რომ მე ამაზე მაშინ განსაკუთრებულად არც კი ვფიქრობდე. მაგრამ, როდესაც მე ვიკვლევ, რანაირი ფიგურები შეიძლება ჩაწერილ იქნეს წრეში, სრულიად არ არის აუცილებელი ვიფიქრო, თითქოს ყველა ოთხკუთხედი ამ კატეგორიას ეკუთვნის; პირიქით, ეჭვადაც კი არ შემიძლია ვიფიქრო, რომ ეს ასეა, სანამ მექნება სურვილი არაფერი და-

ვუშვა ჩემს აზრში ისეთი, რაც მე არ შემეძლება ნათლად და გარკვეულად ვიაზრო. მაშასადამე, არის დიდი განსხვავება ყალბ ნავარაუდევსა, როგორიცა გვაქვს ზემოთ მოყვანილ მაგალითში, და იმ ჭეშმარიტ იდეებს შორის, რომლებიც დაბადებულია ჩემთან ერთად[1] და რომელთა რიცხვში პირველი და უმთავრესი არის ღმერთის იდეა. ვინაიდან მე მართლა მრავალნაირად შევიცნობ, რომ ეს იდეა არ არის მოგონილი და მხოლოდ ჩემი მოაზრებისაგან დამოკიდებული, არამედ იგი არის ჭეშმარიტი და უცვლელი ბუნების სახე[2]: უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ გარდა ღმერთისა მე არ შემიძლია მოვიფიქრო სხვა რომელიმე საგანი, რომლის არსებას აუცილებლად ეკუთვნოდეს არსებობა; შემდეგ ამისა აგრეთვე იმიტომ, რომ მე არ შემიძლია მოვიაზრო ორი ან რამდენიმე ისეთივე ღმერთი, როგორიც არის იგი; და თუ დაშვებულია, რომ ამჟამად არსებობს ერთი ასეთი ღმერთი, მაშინ ჩემთვის ნათელია, რომ აუცილებელია, რათა იგი უწინაც არსებულიყო უკუნითი[3] და მომავალშიაც არსებობდეს უკუნისამდე; დაბოლოს კი იმიტომ, რომ მე შევიმეცნებ ღმერთში მრავალ სხვა საგანს, რომლებშიაც მე არაფერი შემიძლია შევამცირო ან შევცვალო.

ესეც რომ არ იყოს, მაინც, რა საბუთიც არ გამოვიყენო, საჭირო ხდება ყოველთვის ისევ იმას დავუბრუნდე, რომ მხოლოდ იმას, რასაც მე შევიმეცნებ ნათლად და გარკვეულად, აქვს ძალა მე სავსებით დამაჯეროს. და თუმცა იმ საგანთა შორის, რომლებსაც მე შევიმეცნებ ამნაირად, მართლაც არის ზოგიერთი, ყველას მიერ აშკარად ცნობილი, და არის აგრეთვე ზოგიერთი, რომელსაც ამჩნევს მხოლოდ ის, ვინც მას უფრო ახლო აკვირდება და უფრო ზუსტად სინჯავს,—მაინც, თუ კი ისინი ერთხელ აღმოჩენილია, მაშინ ერთ-ერთ მათგანს არ თვლიან უფრო ნაკლები ნდობის ღირსად, ვიდრე მეორეს. მაგალითად, ის გარემოება, რომ ყოველ მართკუთხიან სამ-

[1] Les veritablés idées qui sont nées avec moi.

[2] Image.

[3] Auparavant de toute éternité.

კუთხედში ფუძის კვადრატი უდრის ორი დანარჩენი გვერდის კვადრატებს, კიდევაც რომ არ იყოს ისევე ცხადად შესამჩნევი, როგორც ცხადია ის, რომ ეს ფუძე მდებარეობს უდიდესი კუთხის პირდაპირ, — მაინც მას შემდეგ, რაც ეს გარემოება ერთხელ შეცნობილ იქნა, ჩვენ ერთის ჭეშმარიტებაში იმდენადვე დარწმუნებული ვართ, რამდენად მეორისაშიც. ხოლო რაც შეეხება ღმერთს, ცხადია, რომ არ მოიძებნებოდა სხვა საგანი, რომელიც ჩემთვის ამაზე უფრო ადრე და უფრო ადვილად ყოფილიყო შესაცნობი იმ შემთხვევაში, რომ ჩემი გონება არ ყოფილიყო წინასწარ შედგენილი მცდარი შეხედულებებით[1] დაბნელებული და ჩემი აზროვნება არ ყოფილიყო გრძნობისეულ საგანთა წარმოდგენებით გაფანტული. განა თავისთავად არის რაიმე უფრო ნათელი და უფრო აშკარა, ვიდრე ის აზრი, რომ არის ღმერთი, ე. ი. უზენაესი და უსრულესი არსება, რომლის იდეა უკვე შეიცავს აუცილებელს ან მარადიულ არსებობას და რომელიც, მაშასადამე, არსებობს? და თუმცა მე, რათა კარგად შევიმეცნო ეს ჭეშმარიტება, დამჭირდა გონების დიდი სიბეჯითე, ახლა მე ამაში არამცთუ ისევე დარწმუნებული ვარ, როგორც ყველაფერში, რაც მე ძალიან სანდოდ მიმაჩნია, არამედ, გარდა ამისა, მე ვამჩნევ, რომ ყველა დანარჩენი საგნის სიცხადე დამოკიდებულია ამ ჭეშმარიტების ცოდნაზე ისე აბსოლუტურად, რომ ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელია ოდესმე სხვა რაიმეს სრული ცოდნა.

თუმცა მე იმნაირი ბუნებისა ვარ, რომ, შევიცნობ თუ არა რაიმე საგანს ნათლად და გარკვეულად, მე არ შემიძლია არ მწამდეს მისი ჭეშმარიტება—მაგრამ ცაინც, რამდენადაც მე ამავე დროს ისეთი ბუნებისა ვარ, რომ არ შემიძლია აზრი განუწყვეტლივ ერთსა და იმავე საგანს მქონდეს მიპყრობილი და, როგორც მაგონდება, ხშირად ჩამითვლია რაიმე ჭეშმარიტად, იმ დროს როდესაც მე უკვე აღარ ვფიქრობდი იმ საბუთებზე, რომლებმაც მაიძულეს ასეთად ჩამეთვალა იგი,—ამდენად შესაძლებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში მე წარმო-

[1] Préjugées.

მიდგებიან სხვა საბუთები, რომლებიც ადვილად შემაცვლევინებდნენ შეხედულებას, თუ კი არ მეცოდინებოდა, რომ არის ღმერთი. ამრიგად, მე არასოდეს არ მექნებოდა არც ერთ საგანზე ჭეშმარიტი და სანდო მეცნიერება[1], არამედ მექნებოდა მხოლოდ ბუნდოვანი და მერყევი შეხედულებები[2]. აი მაგალითად, როდესაც მე განვიხილავ სწორხაზიან სამკუთხედის ბუნებას, მე, რომელსაც ცოტაოდენ უმეცადინია გეომეტრიაში, ცხადად ვიცი[3], რომ მისი სამი კუთხე უდრის ორ მართ კუთხეს, და შეუძლებელია, რომ მე ეს არ მწამდეს იმ დროს, როდესაც მე ჩემი აზრი მიპყრობილი მაქვს მისი დამტკიცებისაკენ. მაგრამ, მოვაშორებ თუ არა ჩემს აზრს ამ დამტკიცებას, მაშინ, კიდევაც რომ კარგად მახსოვდეს მე ის, რომ მე ეს[4] ნათლად მქონდა გაგებული, ადვილად შესაძლებელია დავეჭვდე მის ჭეშმარიტებაში, თუ კი მე არ ვიცი, რომ არის ღმერთი. ვინაიდან მე შემიძლია დავარწმუნო ჩემი თავი, რომ იმნაირად ვარ ბუნების მიერ შექმნილი, რომ ადვილად ვცდები თვით ისეთ საგანშიც კი, რომელიც, ჩემი რწმენით, მე მესმის უდიდესი სიცხადითა და დამაჯერებლობით[5]; განსაკუთრებით კი, როდესაც მივიღებ მხედველობაში, რომ მე მაგონდება, თუ როგორ ხშირად ჩამითვლია ჭეშმარიტ და ცხად საგნად ბევრი რამ ისეთი, რაც შემდეგ სხვა საბუთების გამო მე ჩამითვლია აბსოლუტურ შეცდომად.

მაგრამ, რაც მე შევიცანი, რომ არის ღმერთი (რამდენადაც ამავე დროს ვცანი აგრეთვე ისიც, რომ ყველა საგანი დამოკიდებულია მისგან და იგი არ არის მატყუარა), და ამის საფუძველზე გადავწყვიტე, რომ ყველაფერი, რასაც კი შევიცნობ ნათლად და გარკვეულად, არ შეიძლება არ იყოს ჭეშმარიტი,—აი ამის შემდეგ, კიდევაც რომ არ ვფიქრობდე იმ

---

[1] Science.

[2] Opinions.

[3] Je connois évidement.

[4] ე. ი. ის, რომ სამკუთხედის კუთხეთა ჯამი უდრის 2 მართ კუთხეს (მთარგმნ. შენ.).

[5] Avec le plus d'évidence et de certitude.

საბუთებზე, რომლების გამო მე გადავწყვიტე, რომ ეს დებულება[1] ჭეშმარიტია (ოღონდ კი მახსოვდეს, რომ მე იგი ნათლად და გარკვეულად გავიგე), ვერავინ ვერ მომიყვანს მე საწინააღმდეგო საბუთს, რომელიც მაიძულებდა ეჭვი შემეტანა მასში[1], და, მაშასადამე, მე მაქვს მის[1] შესახებ ჭეშმარიტი და სარწმუნო მეცნიერება[2], და იგივე მეცნიერება ვრცელდება აგრეთვე ყოველ საგანზე, რომელიც, მე როგორც მახსოვს, დამიმტკიცებია ოდესმე: ასეთებია გეომეტრიის ჭეშმარიტებანი და სხვანი მათი მსგავსნი. მართლაც, რა შეუძლიათ თქვან მათ წინააღმდეგ ისეთი, რაც მე მაიძულებდა ეჭვი შემეტანა მათში? ნუთუ ის, რომ ჩემი ბუნების გამო მე შემიძლია ადვილად შევცდე? მაგრამ მე ხომ ვიცი უკვე, რომ არ შეიძლება შეცდომა მქონდეს ისეთ მსჯელობაში, რომლის საბუთები ნათლად შეცნობილი მაქვს. ნუთუ იმას იტყვიან, რომ მე ჭეშმარიტ და სანდო საგნად ჩამითვლია ბევრი რამ ისეთი, რაც შემდეგ მიცვნია, როგორც ყალბი? მაგრამ არც ერთი ასეთი საგანი მე არ შემიცვნია ნათლად და გარკვეულად; და რამდენადაც მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი ის წესი, რომლის საშუალებითაც ვრწმუნდები (აზრის) ჭეშმარიტებაში, მე ისინი ისეთი საბუთების გამო მწამდა, რომლებიც შემდეგ ჩემთვის უფრო ნაკლებ სანდოდ აღმოჩენილან, ვიდრე ისინი უწინ მეჩვენებოდნენ. მეტი რა შეიძლება კიდევ თქვან ჩემს საწინააღმდეგოდ? ნუთუ ის, რომ შესაძლებელია მე მეძინოს (როგორც ეს მე თვითონ ვივარაუდე ამაზე წინ), ანდა, რომ ყველა აზრი, რომლებიც მაქვს მე ამჟამად, იმ სიზმრებზე უფრო ჭეშმარიტი აღარ იყვნენ, რომლებიც წარმოგვიდგებიან ხოლმე ძილის დროს? მაგრამ კიდევაც რომ მეძინოს, მაინც ის, რაც ჩემს გონებას სიცხადით[3] წარმოუდგება, აბსოლუტურად ჭეშმარიტია.

---

[1] იგულისხმება დებულება, რომ სამკუთხედის სამი კუთხე უდრის ორ მართკუთხეს (მთარგმნ. შენ.).

[2] Une vraie et certaine science.

[3] Evidence.

ამრიგად, სავსებით ნათელია ჩემთვის, რომ ყოველი მეცნიერების სიცხადე და ჭეშმარიტება[1] დამოკიდებულია მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ცოდნაზე; ასე რომ, სანამ მე არ მყავდა ღმერთი შეცნობილი, მე არ შემეძლო რაიმე სხვა საგანი სრულად მცოდნოდა. ახლა კი, როდესაც მე იგი ვიცი, მე მაქვს საშუალება შევიძინო სრული ცოდნა უამრავ საგანთა შესახებ,—არა მხოლოდ იმათ შესახებ, რომელნიც ღმერთში არიან, არამედ აგრეთვე იმათ შესახებ, რომელნიც ეკუთვნიან ნივთიერ ბუნებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს გეომეტრების მტკიცებათა ობიექტად,—გეომეტრების, რომლებიც ყურადღების გარეშე ტოვებენ მის არსებობას.

---

[1] La certitude et la vérité de toute science.

მანაზრება მეექვსე

შესახებ ნივთიერ საგანთა არსებობისა და იმ არსებითი განსხვავებისა, რომელიც არის კაცის სულსა და სხეულს შორის

ახლა მე უკვე ისლა მრჩება გამოსაკვლევად, არსებობენ თუ არა ნივთიერი საგნები. უეჭველია, ის მაინც უკვე ვიცი მე, რომ ნივთიერი საგნები შეიძლება არსებობდნენ, რაოდენადაც მათ განიხილავენ, როგორც გეომეტრიის მტკიცებათა ობიექტს, ვინაიდან ამ თვალსაზრისით მე მათ შევიცნობ ძალიან ნათლად და ძალიან გარკვეულად. უეჭველია, ღმერთს შეუძლია შექმნას ყველაფერი, რასაც კი მე შევიცნობ გარკვეულად; და რომ ღმერთს არ შეუძლია რაიმე საგანი შექმნას, მე ეს არასოდეს არ მიფიქრია, თუ არა იმ მოსაზრებით, რომ მე წინააღმდეგობას ვპოულობდი ასეთი საგნის ცნებაში. კიდევ მეტი — წარმოდგენის ნიჭს, რომელიც არის ჩემში და რომლითაც, როგორც ამას გამოცდილება[1] მატყობინებს, ვსარგებლობ იმ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავ ნივთიერ საგნებს, შეუძლია დამარწმუნოს მე ამ უკანასკნელთა არსებობაში: ვინაიდან, როდესაც მე ყურადღებით განვიხილავ, თუ რა არის წარმოდგენა[2], ვამჩნევ, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა შემეცნების ნიჭის ერთგვარი მიყენება სხეულისადმი, რომელიც მის წინაშე ინტიმურად დგას და რომელიც, მაშასადამე, არსებობს.

რათა ეს ნათლად ვაქციო, მე უწინარესად აღვნიშნავ განსხვავებას წარმოდგენასა და წმინდა გაგებას ან მიწვდომას შორის[3]. მაგალითად, როდესაც მე წარმოვიდგენ სამკუთხედს,

---

[1] Expérience.

[2] Imagination (ამავე სიტყვით აღინიშნება წარმოსახვა).

[3] Intellection ou conception.

ვე მხოლოდ იმას კი არ შევიცნობ, რომ ის არის სამი ხახისაგან შედგენილი ფიგურა, არამედ ამასთან ერთად მე ჩემი გონების ძალისა და შინაგანი მიმართვის[1] საშუალებით განვეკვრეტ ამ სამ ხაზს, თითქოს ჩემ წინაშე მდგომთ[2]. სწორედ აი ამას ვეძახი მე წარმოდგენას. როდესაც კი მე მსურს ვიფიქრო ხილიოგონზე[3], მე ეშმარიტად ვწვდები, რომ ის არის ათასი გვერდისაგან შემდგარი ფიგურა — ვწვდები ისევე ადვილად, როგორც იმას, რომ სამკუთხედი არის მხოლოდ სამი გვერდისაგან შედგენილი ფიგურა, — მაგრამ მე არ შემიძლია წარმოვიდგინო ხილიოგონის ათასი გვერდი ისე, როგორც წარმოვიდგენ ხოლმე სამკუთხედის სამ გვერდს, და არც, ასე ვთქვათ, ჩემი გონების თვალებით შემიძლია ვუცქირო მათ, თითქოს ჩემ წინაშე მდგომთ. და თუმცა იმ ჩვეულების გამო, რომ მე ნივთიერ საგნებზე ფიქრის დროს ყოველთვის ვსარგებლობ წარმოსახვის ნიჭით, ზოგჯერ ხილიოგონის გააზრებისას მე ბუნდოვანად წარმოვიდგენ რაღაც ფიგურას, მაგრამ ცხადია, რომ ეს ფიგურა არ არის ხილიოგონი, რადგანაც იგი არაფრით არ განირჩევა იმ ფიგურისაგან, რომელსაც მე წარმოვიდგენდი იმ შემთხვევაში, რომ მეფიქრა მირიოგონზე ან სხვა რომელიმე მრავალი გვერდის მქონე ფიგურაზე, და არაფრით არ მეხმარება იმ თვისებათა აღმოჩენაში, რომელნიც ხილიოგონს სხვა პოლიგონებისაგან განასხვავებენ. როდესაც კი საკითხი ეხება პენტაგონის განხილვას, მაშინ, მართალია, მე შემიძლია შევიცნო მისი ფიგურა (ისე როგორც ხილიოგონის ფიგურაც) წარმოდგენის დაუხმარებლად, მაგრამ მე იგი შემიძლია აგრეთვე წარმოვიდგინო, თუ ჩემი გონების ყურადღებას მივაპყრობ თითოეულ მის გვერდს და მთელ იმ სივრცეს, რომელსაც ეს გვერდები მოიცავენ. ამრიგად მე ნათლად ვიცი, რომ, რათა რამე წარმოვიდგინო, მჭირია გონების განსაკუთ-

---

[1] L'application intérieure de mon esprit.

[2] Comme présentes.

[3] ხილიოგონი ეწოდება 1000 გვერდისაგან შედგენილ პლანიმეტრიულ ფიგურას (მთარგმნ. შენ.).

რებული დაძაბვა, რომლითაც მე სრულიად არ ვსარგებლობ იმისათვის, რათა რამე გავიგო[1], და გონების ეს განსაკუთრებული დაძაბვა ცხადად ამჟღავნებს განსხვავებას წარმოდგენასა და წმინდა გააზრებას ა გაგებას შორის[2]. გარდა ამისა, მე ვამჩნევ, რომ ეს წარმოდგენის უნარი, რომელიც მე მაქვს, რამდენადაც იგი განსხვავდება გაგების უნარისაგან[3], სრულიადაც არ არის აუცილებელი ჩემი ბუნებისათვის ან ჩემი არსებისათვის, ე. ი. ჩემი გონების არსებისათვის. ვინაიდან, კიდევაც რომ არ მქონებოდა მე წარმოდგენის უნარი, მე მაინც უეჭველად იგივე დავრჩებოდი, რაც ამჟამად ვარ. აქედან კი, როგორც ჩანს, შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ წარმოდგენის უნარი დამოკიდებულია რაღაც ისეთი რამისაგან, რაც ჩემი გონებისაგან განსხვავდება. და ჩემთვის ადვილად გასაგებია ის, რომ, თუ არსებობს რაიმე სხეული, რომელთანაც ჩემი გონება ისე არის დაკავშირებული და შეერთებული, რომ მას, როდესაც კი მოესურვება, შეუძლია მიიქცეს მის საჭვრეტად, მაშინ შესაძლებელია, რომ იგი წარმოიდგენს ნივთიერ საგნებს ამ საშუალებით. ამრიგად აზროვნების ეს სახე[4] განსხვავდება წმინდა გააზრებისაგან[5] მხოლოდ იმით, რომ გონება, როდესაც იგი გააზრებას აწარმოებს, მაშინ თავის თავისაკენ არის მიქცეული და განიხილავს ერთ-ერთს იმ იდეათა შორის, რომელნიც მას თავის თავში აქვს; ხოლო, როდესაც გონება წარმოიდგენს, მაშინ იგი მიქცეულია სხეულისაკენ და განიხილავს მასში იმ იდეის შესატყვის რაიმე საგანს, რომელიც მასვე თვითონ შეუქმნია ანდა მიუღია გრძნობების საშუალებით. . რომ წარმოდგენა შეიძლება ამნაირად გაჩნდეს, თუ მართალია, რომ სხეულები არსებობენ, ეს ჩემთვის, ვამბობ მე, ადვილად გასაგებია. და ვინაიდან მე ვერ ვპოულობ ვერავითარ სხვა გზას, რომელიც

---

[1] Concevoir ou éntendre.
[2] L'intellection ou conception.
[3] La puissance de concevoir.
[4] Cette facon de penser.
[5] La pure intellection.

ამიხსნიდა მის გაჩენას, ამიტომ მე აქედან საეგებისოდ დავასკვნი, რომ სხეულები ალბათ არსებობენ, მაგრამ მხოლოდ საეგებისოდ. და თუმცა მე ბეჯითად ვსინჯავ ყველაფერს, მე მაინც ვერ ვამჩნევ, რომ შემეძლოს ნივთიერი ბუნების იმ გარკვეული იდეისაგან, რომელიც მაქვს ჩემს წარმოდგენაში, გამოვიტანო საბუთი, რომელიც აუცილებლობის ძალით დაადასტურებდა რაიმე სხეულის არსებობას.

მაგრამ, გარდა ამ ნივთიერი ბუნებისა, რომელიც არის გეომეტრიის საგანი, მე ვიეჩვიე (მართალია, ნაკლები გარკვეულობით) წარმოვიდგინო სხვა რამ მრავალი, სახელდობრ, ფერი, ბგერა, გემო, ტკივილი და სხვა ამათი მსგავსი. და რამდენადაც მე მათ ბევრად უკეთესად ვამჩნევ გრძნობებით (ამ გრძნობებისა და მეხსიერების საშუალებით აღწევენ ისინი, როგორც ჩანს, ჩემი წარმოდგენის უნარამდე), ამდენად მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი გასინჯვა უფრო მოხერხებული იქნება, თუ მე გავსინჯავ ამავე დროს, რას ნიშნავს გრძნობა, და გავარკვევ, ხომ არ შეიძლება რომ აზროვნების იმ სახისაგან მიღებულმა იდეებმა, რომლებსაც მე „გრძნობას“ ვეძახი, მომაწოდონ ნივთიერ საგანთა არსებობის რაიმე საბუთი.

უწინარეს ყოვლისა მე გავიხსენებ, რა იყვნენ გრძნობათა საშუალებით მიღებული ის საგნები, რომლებიც ამაზე წინ მიმაჩნდა ნამდვილ საგნებად, და რა საფუძველზე იყო დამყარებული ჩემი რწმენა მათდამი. შემდეგ მე გავსინჯავ იმ საბუთებს, რომლებმაც მერე მაიძულეს ეჭვით მოვკიდებოდი მათ. დაბოლოს კი გავსინჯავ, თუ რა უნდა მწამდეს მათ შესახებ ამჟამად.

მაშ ასე: უწინარეს ყოვლისა მე ვგრძნობდი, რომ მქონდა თავი, ხელები, ფეხები და ყველა დანარჩენი ასო, რისგანაც შედგება ის სხეული, რომელიც მიმაჩნდა მე ჩემი საკუთარი თავის ნაწილად ანდა, შესაძლებელია, მთელ ჩემ არსებად; კიდევ მეტი—მე ვგრძნობდი, რომ ეს სხეული მოთავსებული იყო მრავალ სხვა სხეულთა შორის, რომელთაგანაც მას შეეძლო მიეღო სხვადასხვა შევიწროება ან შება. ამ შვე-

ბას მე ვამჩნევდი სიამოვნების ან განცხრომის რაღაც გრძნობით, ხოლო შევიწროებას ვამჩნევდი ტკივილის გრძნობით. გარდა ამ სიამოვნებისა და ამ ტკივილისა, მე ეგრძნობდი ჩემს თავში კიდევ შიმშილს, წყურვილს და სხვა ამათ მაგვარ წადილს[1], ისე როგორც სხვადასხვა სხეულებრივ მიდრეკილებებს[2] სიხარულის, მწუხარების, რისხვის და სხვა ამგვარ ვნებათა მიმართ. ჩემ გარეშე კი ვამჩნევდი სხეულებში—განფენილობის, ფიგურის, სხეულთა მოძრაობის გარდა—სიმაგრეს, სითბოს და ყველა იმ თვისებას, რომლებიც შეხებას ექვემდებარებიან; კიდევ მეტი—მე ვამჩნევდი იქ სინათლეს, ფერებს, გემოს, ბგერებს, რომელთა სხვადასხვაობა მაძლევდა საშუალებას გამერჩია ერთმანეთისაგან ცა, მიწა, ზღვა და საზოგადოდ ყველა სხვა სხეული. და ყველა იმ თვისების იდეათა მიხედვით, რომლებიც ჩემს აზრს წარმოუდგებოდნენ ხოლმე და რომლებსაც საკუთრივ და უშუალოდ ვგრძნობდი მე მხოლოდ, არ იყო უსაფუძვლო ის ჩემი რწმენა, რომ მე ვგრძნობდი ჩემი აზროვნებისაგან სრულიად განსხვავებულ საგნებს, სახელდობრ, სხეულებს, რომლებისაგანაც მომდინარეობდნენ იდეები. მართლაც, მე გამოცდილებით ვიცოდი[3], რომ ეს იდეები წარმოუდგებოდნენ ჩემს აზრს ჩემი თანხმობის საჭიროების გარეშე, ასე რომ, ძალიანაც რომ მდომებოდა, მე არ შემეძლო მეგრძნო რაიმე საგანი, თუ ეს უკანასკნელი არ იდგა ერთ-ერთი ჩემი გრძნობის ორგანოს წინაშე. არც ის იყო ჩემს ძალაში, რომ მე არ მეგრძნო საგანი, თუ იგი იდგა ჩემი გრძნობის ორგანოს წინაშე. და რადგანაც გრძნობათა საშუალებით მიღებული იდეები ბევრად უფრო ცოცხალი, უფრო მეტად ნათელი და თავისებურად უფრო მეტად გარკვეულიც იყვნენ, ვიდრე რომელიმე თვითონ ჩემ მიერ მოგონილი ან ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილი იდეა, ამიტომ მეგონა, რომ იმ იდეებს არ შეეძლოთ ჩემი გონებიდან ყოფილიყვნენ წარმოშობილი, და ამრიგად აუცილებელი იყო, რომ

[1] Appétits.
[2] Inclinations.
[3] J'expérimentais.

ისინი ჩემში გამოწვეული ყოფილიყვნენ რაიმე სხვა საგნების მიერ. ხოლო, რაკი ამ საგნების შესახებ მე არ მქონდა სხვა ცოდნა, გარდა იმისა, რომელსაც მაწვდიდნენ იგივე იდეები, ამიტომ მე აღარ შემეძლო მეფიქრა სხვა რამე, თუ არა ის, რომ ეს საგნები ემსგავსებიან იმ იდეებს, რომლებიც მათვე გამოიწვიეს. ვინაიდან მე მაგონდებოდა აგრეთვე, რომ გრძნობებს უფრო ადრე ვხმარობდი, ვიდრე გონებას, და შენიშნული მქონდა, რომ ჩემ მიერ შექმნილი იდეები ისევე ნათელი არ იყვნენ, როგორც გრძნობათა მიერ მოწოდებული იდეები, და ძალიან ხშირად ამ უკანასკნელთა ნაწილებისაგანაც კი იყვნენ ისინი შედგენილი. ამიტომ მე ადვილად დავარწმუნე ჩემი თავი, რომ აღარ მქონდა ჩემს გონებაში არც ერთი ისეთი იდეა, რომელსაც წინასწარ არ გაევლოს ჩემი გრძნობები[1]. უსაფუძვლო არ იყო აგრეთვე ჩემი რწმენაც, რომ ის სხეული, რომელსაც მე რაღაც განსაკუთრებული უფლებით ვთვლიდი ჩემად, მეკუთვნოდა მე უფრო საკუთრად და უფრო დაახლოებულად, ვიდრე რომელიმე სხვა სხეული. მართლაც, მე არასოდეს არ შემეძლო მისგან განშორება, როგორც შემეძლოეს სხვა სხეულისაგან; მასში და მისთვის ვგრძნობდი ნე ყველა ჩემს ნდომას[2] და ვნებას[3]; დაბოლოს, მე მიჩნდებოდა სიამოვნებისა და ტკივილის გრძნობები მის ნაწილებში და არა მისგან განცალკევებულ სხვა სხეულთა ნაწილებში. მაგრამ, როდესაც მე ვსინჯავდი, თუ რატომ მოსდევდა ტკივილის რაღაც გრძნობას მწუხარება[4] გონებაში და რატომ ჩნდებოდა სიამოვნების გრძნობისაგან სიხარული[5], ანდა რატომ აჩენდა ჭამის სურვილს სტომაქის ის რაღაცნაირი აგზნება[6], რომელსაც მე შიმშილს ვეძახი, ხოლო დალევის სურვილს—ხახის

---

[1] აქ მოცემულია არისტოტელის ცნობილი სენტენციის რემინისცენცია: Nihil est in intellectu, quod non antea fuerit in sensu.

[2] Appétits.

[3] Affections.

[4] La tristesse.

[5] La joie.

[6] Émotion.

სიმშრალე და ა. შ., ძე არ შემეძლო მომეყვანა ამის რაიმე სხვა საბუთი გარდა იმისა, რომ ბუნებამ მასწავლა მე ეს ამნაირად. მართლაც, არავითარი ნათესაობა[1] და არავითარი ისეთი მიმართება, რომლის გაგებაც მე შემეძლოს, არ არსებობს კუჭის აგზნებასა და ჭამის სურვილს შორის, ისე როგორც იმ საგნის გრძნობასა, რომელიც იწვევს ტკივილს, და მწუხარების იმ განცდას[2] შორის, რომელსაც აჩენს ეს გრძნობა. ამნაირადვე მეგონა მე, რომ ყველაფერი ის, რასაც მე ვფიქრობდი ჩემი გრძნობების საგანთა შესახებ, ბუნებისაგან მქონდა ნასწავლი, ვინაიდან ვამჩნევდი, რომ გრძნობისეულ საგანთა შესახებ ჩემი ჩვეულებრივი მსჯელობები მე უფრო ადრე მიჩნდებოდნენ, ვიდრე მექნებოდა მოცალება ამეწონ-დამეწონა და განმეხილა ის საბუთები, რომლებსაც შეეძლოთ ამ მსჯელობათა გაკეთება მოეთხოვათ ჩემგან.

მაგრამ შემდეგ მრავალმა დაკვირვებამ ნელ-ნელა დაანგრია მთელი ჩემი ნდობა გრძნობათა მიმართ, ვინაიდან მე ბევრჯერ შემომჩნევია, რომ კოშკები, რომლებიც შორიდან მრგვალი მეჩვენებოდნენ, ახლოს მისვლისას ოთხკუთხიანი აღმოჩნდებოდნენ, ხოლო ვეება ქანდაკებები, რომლებიც ამ კოშკების მწვერვალებზე იყვნენ აღმართული, ქვევიდან პატარა ძეგლებად მეჩვენებოდნენ. უამრავ სხვა შემთხვევებშიც ამნაირადვე მე აღმომიჩენია შეცდომა გარეგან გრძნობებზე დამყარებულ მსჯელობებში. და არა მხოლოდ გარეგან, არამედ შინაგან გრძნობებშიაც: მართლაცდა, არის განა უფრო ინტიმური და უფრო მეტად შინაგანი გრძნობა, ვიდრე ტკივილი? მაგრამ, მე გამიგონია ზოგიერთი პირებისაგან, რომლებსაც ხელი ან ფეხი ჰქონდათ მოჭრილი, რომ მათ მოჩვენებიათ, თითქოს ტკივილს გრძნობდნენ თავისი სხეულის იმ ნაწილში, რომელიც უკვე აღარ ჰქონდათ, და ეს მაძლევდა საბაბს მეფიქრა, რომ მეც, მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობდი ტკივილს ამა თუ

---

[1] Affinité.

[2] დედანშია: la pensée de tristesse, რაც ზუსტად ნიშნავს „მწუხარების აზოს“: დეკარტისათვის, როგორც ინტელექტუალისტისათვის, მწუხარების განცდა არის აზროვნების მოვლენა (მთარგმნ. შენ.).

იმასოში, არ შემეძლო მაინც სრულიად დარწმუნებული ვყოფილიყავი იმაში, რომ ეს ასო მართლა მტკივოდა. ცოტა ხნის შემდეგ დაეჭვების ამ საბუთებს მე მივუმატე კიდევ ორი ფრიად ზოგადი ხასიათის საბუთი: პირველი საბუთი ის არის, რომ მღვიძარედ ყოფნის დროს მე არავითარი ასეთი გრძნობის განცდა არ მომჩვენებია, რომელიც არ შეიძლებოდა განცდილად მომჩვენებოდა აგრეთვე ძილში ყოფნისას; ხოლო, ვინაიდან მე არ მწამს, რომ ის, რის შეგრძნებაც მე ძილში მეჩვენება, მომდინარეობდეს ჩემ გარეშე არსებული საგნისაგან, ამიტომ მე არ ვიცოდი, რატომ უნდა მქონოდა ასეთი რწმენა მეტის უფლებით იმის მიმართ, რის შეგრძნებაც მე მღვიძარედ ყოფნისას მეჩვენება. მეორე საბუთი კი ის არის, რომ მე, რამდენადაც ჯერ კიდევ არ ვიცნობდი (ან, უკეთ რომ ითქვას, ვიგონებდი, თითქოს აღარ ვიცნობდი) ჩემი არსების შემოქმედს, ამდენად აღარ ვამჩნევდი არაფერს ისეთს, რასაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია იმისათვის, რათა მე ბუნებით იმნაირად ვყოფილიყავ შექმნილი, რომ ვტყუვდებოდე თვით ისეთ საგნებში, რომლებიც მე ყველაზე უფრო ჭეშმარიტად მეჩვენებიან. და ჩემთვის ძნელი არ იყო პასუხი გამეცა იმ საბუთებზე, რომლებიც ამაზე წინ მაჯერებდნენ გრძნობისეულ საგანთა ჭეშმარიტებაში. მართლაც, რაკი ბუნება თითქოს მიზიდავდა მე მრავალი ისეთი საგნისაკენ, რომლისაგანაც მე გონება მაფრთხილებდა, ამიტომ მე არ ვფიქრობდი, რომ ვალდებული ვიყავი ძალიან მივნდობოდი ამ ბუნების დარიგებებს. და თუმცა ის იდეები, რომლებსაც მე ვიღებ გრძნობათა საშუალებით, სრულიად არაა ჩემი ნებისაგან დამოკიდებული, მაგრამ მე არ ვფიქრობდი, რომ ამის გამო ვალდებული ვყოფილიყავი ის დასკვნა გამეკეთებია, რომ ეს იდეები მომდინარეობენ უცხო საგნებისაგან, ვინაიდან შესაძლებელია ჩემში მოიპოვებოდეს ისეთი (ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი) უნარი, რომელიც შეიძლება იყოს ამ იდეების მიზეზი და ჰქმნიდეს მათ.

მაგრამ ახლა, როდესაც მე ვიწყებ ჩემი თავის უკეთესად შეგნებას და ჩემი შემოქმედი მიზეზის უფრო ნათელ შემეც-

ნებას, მე უკვე, სიმართლე რომ ითქვას, აღარ ვფიქრობ, რომ ვალდებული ვარ თამამად დავუშვა ყველაფერი, რასაც გრძნობა გვიჩვენებს; მაგრამ მე არც იმას ვფიქრობ, რომ ვალდებული ვარ საზოგადოდ ყველაფერი ეს ეჭვის ქვეშ დავაყენო.

უწინარეს ყოვლისა, რადგანაც მე ვიცი, რომ ყველაფერი, რასაც შევიცნობ ნათლად და გარკვეულად, შეიძლება შექმნილი იყოს ღმერთის მიერ ისეთად, როგორც მე მას შევიცნობ, ამიტომ საკმარისია, რომ მე შემეძლოს ნათლად და გარკვეულად შევიცნო ერთი რომელიმე საგანი უმეორისოდ, რათა ამით ცხადი შეიქნეს ჩემთვის, რომ ერთი განსხვავებულია მეორისაგან, ვინაიდან ისინი შეიძლება განცალკევებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან, სხვა რომ არ იყოს რა, ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ. და რა ძალისაგანაც არ მოხდეს ეს განცალკევება, ამას არ აქვს მნიშვნელობა იმისათვის, რათა ვალდებული ვიყოთ ვაღიაროთ ამ საგანთა განსხვავება. მაშასადამე, უკვე იქიდან, რომ სანდოდ ვიცი, რომ მე ვარსებობ, და ამავე დროს სრულიად არ ვამჩნევ, რომ ჩემს ბუნებას ან ჩემს არსებას აუცილებლად ეკუთვნოდეს რაიმე სხვა, გარდა იმისა, რომ მე ვარ მოაზროვნე საგანი, მე სრული უფლებით დავასკვნი, რომ ჩემი არსება[1] შედგება მხოლოდ იმაში, რომ მე ვარ მოაზროვნე საგანი ან ისეთი სუბსტანცია, რომლის მთელი არსება ან ბუნება[2] არის მხოლოდ აზროვნება. და თუმცა შესაძლებელია, ან უკეთ, ცხადია (როგორც მე ამას ვიტყვი შემდეგ), რომ მე მაქვს სხეული, რომელთანაც ძალიან ვიწროდ ვარ დაკავშირებული, მაგრამ, რამდენადაც ერთი მხრით მე მაქვს ნათელი და გარკვეული იდეა ჩემს თავზე, რომ მე ვარ მხოლოდ ისეთი საგანი, რომელიც აზროვნებს და განუფენელია, ხოლო, მეორე მხრით, მაქვს გარკვეული იდეა სხეულზე, რომ ის არის მხოლოდ განფენილი და არა მოაზროვნე საგანი, ამდენად ცხადია, რომ ჩემი მე, ე. ი. ჩემი სული, რომლის გამო ვარ მე ის, რაც ვარ, მთლად და ჭეშმარიტად

---

[1] Mon essence.

[2] L'essence ou la nature.

განსხვავებულია ჩემი სხეულისაგან, და მას შეუძლია უმისოდ[1] იყოს ან იარსებოს[2].

კიდევ მეტი: მე ვპოულობ ჩემს თავში აზროვნების სხვადასხვა უნართ, რომელთაგან თითოეულს თავისი საკუთარი თვისება აქვს: მაგალითად, მე ვპოულობ ჩემს თავში წარმოდგენისა და შეგრძნების უნარებს, ურომლებისოდაც მე შემიძლია ნათლად და გარკვეულად შევიმეცნო ჩემი თავი სულ მთლად, მაგრამ მე არ შემიძლია პირუკუ შევიმეცნო ისინი უჩემოდ, ე. ი. გაგების მქონე იმ სუბსტანციის გარეშე, რომელსაც ისინი უკავშირდებიან ან ეკუთვნიან. ვინაიდან იმ ცნებაში, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ უნართა შესახებ ან (სკოლის ტერმინი რომ გამოვიყენოთ) თავის გაფორმებულ კონცეპტში[3], ისინი შეიცავენ გაგების რაღაც სახეობას—აი აქედან მე მესმის, რომ ისინი იმნაირადვე განსხვავდებიან ჩემგან, რანაირადაც საგნის სახეცვლილებანი[4] განსხვავდებიან საგნისაგან. მე ვიცნობ აგრეთვე სხვა უნართ, როგორიცაა უნარი ადგილის გამოცვლისა, უნარი სხვადასხვა მდგომარეობის მიღებისა და მათი მსგავსნი. ეს უნარებიც (არა ნაკლებ, ვიდრე უწინ ხსენებულნი) არ შეიძლება წარმოდგენილ იქნენ გარეშე რაიმე სუბსტანციისა, რომელთანაც ისინი დაკავშირებული უნდა იყვნენ, და არც. მაშასადამე, შეიძლება არსებობდნენ ამ სუბსტანციის გარეშე. პირიქით, ცხადია, რომ ეს უნარები (თუ ისინი მართლა არსებობენ) უნდა ეკუთვნოდნენ რომელიმე ნივთიერ ან განფენილ სუბსტანციას და არა გაგების მქონე სუბსტანციას, ვინაიდან მათ ნათელსა და გარკვეულ ცნებაში მოცემულია რაღაცნაირი განფენილობა, მაგრამ სრულიადაც მოცემული არ არის გაგება.

გარდა ამისა, მე არ შემიძლია არ მჯეროდეს, რომ მაქვს რაღაც პასივური უნარი შეგრძნებისა, ე. ი, გრძნობისეულ საგანთა იდეების მიღებისა და ცნობისა. მაგრამ ეს უნარი ჩემთვის უსარგებლო იქნებოდა და მე მას ვერაფრად ვერ

---

[1] ე. ი. ჩემს „მე"-ს ან სულს შეუძლია იყოს უსხეულოდ.

[2] Être ou exister sans lui.

[3] Concept formel.

[4] Modes.

გამოვიყენებდი, თუ ჩემში ან სხვა რომელიმე არსებაში არ იქნებოდა, გარდა ამისა, სხვა აქტიური უნარი, რომელსაც შეეძლებოდა ამ იდეების შექმნა და გამოწვევა. მაგრამ ეს აქტივური უნარი არ შეიძლება მოიპოვებოდეს ჩემში, რამდენადაც მე ვარ მხოლოდ მოაზროვნე საგანი, ვინაიდან ეს უნარი არ გულისხმობს ჩემს აზროვნებას და, გარდა ამისა, ეს იდეები წარმომიდგებიან, ხშირად ყოველგვარი ჩემი დახმარების გარეშე, ზოგჯერ კი ჩემი ნების წინააღმდეგ. მაშასადამე, აუცილებელია, რომ ეს აქტიური უნარი იმყოფებოდეს ჩემგან განსხვავებულ სუბსტანციაში, სადაც, როგორც მე ეს ზევით აღვნიშნე, მთელი რეალობა, რომელიც ამ უნარით შექმნილ იდეებში ობიექტურად მოიპოვება, მოთავსებული უნდა იყოს გაფორმებულად ანდა ემინენტურად [1], და ეს სუბსტანციაც ან არის სხეული, ე. ი. ნივთიერი არსება, რომელიც გაფორმებულად და ნამდვილად შეიცავს ყველაფერს, რაც ობიექტურად და წარმოდგენით იმყოფება ამ იდეებში, ან არის თვით ღმერთი ან სხვა, სხეულზე უფრო კეთილშობილი რაღაც ქმნილება, რომელიც ამასვე ემინენტურად შეიცავს. მაგრამ, რაკი ღმერთი არ არის მატყუარა, ამიტომ საესებით ცხადია, რომ იგი მიგზავნის მე ამ იდეებს არა თავის თავიდან უშუალოდ და არც სხვა ისეთი ქმნილების მეშვეობით, რომელშიაც მათი რეალობა შეცნობილი იქნებოდა მხოლოდ ემინენტურად და არა გაფორმებულად. მართლაც, რაკი ღმერთს ჩემთვის აღარ მოუცია არავითარი საშუალება იმის გასაგებად, რომ ეს ასეა, არამედ, პირიქით, მომცა დიდი მიდრეკილება ვიფიქრო, რომ ეს იდეები ნივთიერი საგნებისაგან მოდიან, ამიტომ მე არ ვიცი, როგორ შეიძლებოდა ღმერთს არ დასდებოდა ბრალად მოტყუება, თუ კი ეს იდეები მართლაც სხვა წყაროდან იქნებოდნენ მოსული ან სხვა მიზეზის მიერ იქნებოდნენ წარმოშობილი და არა ნივთიერი საგნების მიერ. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ არიან ნივთიერი საგნები, რომლებიც არსებობენ. მაგრამ შესაძლებელია, რომ

---

[1] Formellement ou éminement.

ისინი არ არიან მთლად ისეთები, როგორც ჩვენ აღვიქვამთ მათ გრძნობათა საშუალებით, ვინაიდან ბევრი რამ არის ისეთი, რაც ამ გრძნობისეულ აღქმას ძალიან აბნელებს და აბუნდოვანებს, მიუხედავად ამისა, ჩვენ ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფერი, რასაც მე იქ შევიმეცნებ ნათლად და გარკვეულად, ე. ი., ზოგადად რომ ითქვას, ყველაფერი, რაც მოცემულია წმინდა გეომეტრიის[1] ობიექტში, ჭეშმარიტად მოიპოვება იქ.

მაგრამ რაც შეეხება სხვა საგნებს, რომელნიც ან მხოლოდ კერძონი არიან (მაგალითად იმას, რომ მზეს ესა და ეს სიდიდე და ესა და ეს აღნაგობა უნდა ჰქონდეს და ს. ა.), ან ნაკლები სინათლითა და გარკვეულობით არიან შეცნობილნი (როგორც, მაგალითად, სინათლე, ბგერა, ტკივილი და სხვა ამათ მსგავსი), ცხადია შემდეგი: ძალიან საეჭვო და არა სანდოც რომ იყვნენ ეს საგნები, მაინც მხოლოდ იმის გამო, რომ ღმერთი არ არის მატყუარა და რომ, მაშასადამე, მას არ დაუშვია, რათა ჩემს შეხედულებებში შესაძლებელი იყოს ისეთი შეცდომა, რომლის გასწორებისათვის საჭირო ძალაც მას ჩემთვის არ მოეცეს, მე დარწმუნებულად შემიძლია დავასკვნა, რომ მე მაქვს საშუალება სრული სიცხადით შევიცნო ისინი. მართლაც, ეჭვს გარეშეა, რომ ყველაფერი, რასაც კი მე ბუნება მასწავლის, შეიცავს რაღაც ჭეშმარიტებას, ვინაიდან ბუნების ქვეშ, ზოგადად თუ იქნება იგი განხილული, მე ახლა სხვას არაფერს ვგულისხმობ, თუ არა თვითონ ღმერთს ან, უკეთ რომ ითქვას, იმ წესს და განრიგებას, რომელიც ღმერთმა დაამყარა შექმნილ საგანთა შორის[2]; ხოლო ჩემი ბუნების ქვეშ, კერძოდ, მე სხვას არას ვგულისხმობ, თუ არა ყველა იმის ნაერთსა და ჯამს, რაც მე ღმერთმა მომანიჭა.

---

[1] La géométrie spéculative.

[2] Par la nature, considérée en général, je n'entends maintenant autre chose que Dieu même, ou bien l'ordre et la disposition que Dien a établie dans les choses crées.

მაგრამ ეს ბუნება არაფერს არ მასწავლის უფრო მაგრად და უფრო საგრძნობლად, ვიდრე იმას, რომ მე მაქვს სხეული, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია, როდესაც მე ტკივილს ვგრძნობ, და რომელსაც საჭმელი და სასმელი სჭირია, როდესაც მე განვიცდი შიმშილს და წყურვილს, და ა. შ. მაშასადამე, მე არავითარი ეჭვი არ უნდა მქონდეს, რომ ამაში რაღაც ჭეშმარიტება მოიპოვება.

ტკივილის, შიმშილის, წყურვილის და სხვა ასეთი გრძნობის საშუალებით ბუნება აგრეთვე მასწავლის, რომ მე მხოლოდ იმნაირად როდი ვარ მოთავსებული ჩემს სხეულში, როგორც მენავეა მოთავსებული ნავში, არამედ, გარდა ამისა, მე ძალიან ვიწროდ ვარ დაკავშირებული სხეულთან და იმნაირად ვარ მასთან შერწყმული და შერეული [1], რომ ამ სხეულთან ერთად თითქოს ერთ მთელს შევადგენ. მართლაც, ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მე, რომელიც მხოლოდ მოაზროვნე არსება ვარ, არ ვიგრძნობდი ტკივილს იმის გამო, რომ ჩემი სხეული ჭრილობას იღებს, არამედ შევნიშნავდი ამ ჭრილობას მხოლოდ გაგების საშუალებით, აი როგორც მენავე შენიშნავს ხოლმე ხედვის საშუალებით, თუ მის ნავში რაიმე გატყდება. და როცა ჩემს სხეულს ესაჭიროება სმა ან ჭამა, მე ეს მეცოდინებოდა უბრალოდ, შიმშილისა და წყურვილის ბუნდოვან გრძნობათაგან წინასწარ მიღებული გაფრთხილების გარეშე. მართლაც, შიმშილის, წყურვილის, ტკივილის და ამათ მსგავსი ყველა გრძნობა სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების ბუნდოვანი ფორმები, რომლებიც გამომდინარეობენ და დამოკიდებული არიან გონებისა და სხეულის შეერთებისაგან და თითქოს შერევისაგან [2].

გარდა ამისა, ბუნება მასწავლის, რომ ჩემ გარეშე არსებობს მრავალი საგანი, რომელთაგანაც ზოგიერთს მე უნდა გავურბოდე, ზოგიერთს კი ველტვოდე. იქიდან, რომ მე ვგრძნობ ფერების, სუნის, გემოს, ბგერების, სითბოს, სიმაგ-

---

[1] Confondu et mêlé.

[2] Proviennent et dépendent de l'union et comme du mélange de l'esprit avec le corps.

რის სხვადასხვაობას, მე ძალიან კარგად დავასკვნი, რომ იმ საგნებში, რომლებიდანაც მომდინარეობენ გრძნობათა ეს ნაირ-ნაირი პერცეპციები, არის ამის შესაფერისი რაღაც სხვადასხვაობა, თუმცა შესაძლებელია, რომ უკანასკნელი სხვადასხვაობა ნამდვილად არ ეესგავსებოდეს პირველს. და ვინაიდან გრძნობათა ამ ნაირ-ნაირ პერცეპციებისაგან ზოგიერთი სასიამოვნოა ჩემთვის, ზოგიერთი არასასიამოვნოა, ამიტომ ეჭვი არ არის, რომ ჩემს სხეულს ან უმალ მთელ ჩემს მეს, რამდენადაც მე შედგენილი ვარ სხეულისა და სულისაგან, შეუძლია მიიღოს სხვადასხვანაირი შვება ან შევიწროება გარშემო არსებული სხეულებისაგან.

მაგრამ არის მრავალი სხვა რამ, რაც, ისე ჩანს, თითქოს მე იგი მასწავლა ბუნებამ, თუმცა ნამდვილად მას ეს არ უსწავლებია, და იგი შემოსულია ჩემს გონებაში იმ ჩვეულების გამო, რომ მე ხშირად ვმსჯელობ საგნებისაგან მოწყვეტილად, რის შედეგად ადვილად შესაძლებელია, რომ შეეცდე. ასეთი შეცდომაა, მაგალითად, იმ ჩემს შეხედულებაში, თითქოს მთელი ის სივრცე, რომელშიც არაფერია ისეთი, რაც მოძრაობს და შთაბეჭდილებას ახდენს ჩემს გრძნობებზე, ცარიელი იყოს; ასეთივე შეცდომაა იმ შეხედულებაში, თითქოს ცხელ სხეულში იმყოფებოდეს რაღაც ისეთი, რაც ემსგავსება სიცხის იმ იდეას, რომელიც არის ჩემში; თითქოს თეთრსა ან შავ სხეულში იმყოფებოდეს იგივე სითეთრე ან სიშავე, რომელსაც მე ვგრძნობ; თითქოს მწარესა ან ტკბილ სხეულში იმყოფებოდეს იგივე გემო და ა. შ.; თითქოს ვარსკვლავებს, კოშკებს და სხვა . დაშორებულ სხეულებს იგივე აღნაგობა და სიდიდე ჰქონდეთ, როგორც ეს შორიდან ეჩვენება ჩვენს თვალებს და ა. შ. მაგრამ, რათა ამაში არაფერი იყოს ისეთი, რასაც გარკვეულად არ შევიცნობ, მე უნდა ზუსტად განვსაზღვრო, თუ საკუთრივ რას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ ბუნება რაღაცას მასწავლის. აქ ბუნება მესმის მე უფრო ვიწრო მნიშვნელობით, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ვამბობ, რომ ბუნება არის ყველა იმ საგანის კრებული ან ჯამი, რომელნიც მე ღმერთმა მომცა; ეს კრებული ხომ

ბევრს ისეთ რამეს შეიცავს, რაც მხოლოდ გონებას ეკუთვნის და რასაც მე აქ ვგულისხმობ სრულიად, როდესაც ვლაპარაკობ ბუნებაზე; ასეთია, მაგალითად, ცნება, რომელიც მე მაქვს იმ ჭეშმარიტების შესახებ, რომ არ შეიძლება ის, რაც ერთხელ იყო გაკეთებული, სრულიად არ იყოს გაკეთებული, და ამის მსგავსი სხვა კიდევ უამრავი ცნება, რომლებიც მე ვიცი ბუნებრივი სინათლის საშუალებით და სხეულის დაუხმარებლად. ეს კრებული ან ჯამი შეიცავს ბევრ სხვა რამესაც, რაც მხოლოდ სხეულს ეკუთვნის და რაც აგრეთვე არ არის. აქ „ბუნება“ სიტყვის ქვეშ ნაგულისხმევი. ასეთია, მაგალითად, ის თვისება, რომ სხეული მძიმეა, და ბევრი კიდევ სხვა, რის შესახებაც მე აგრეთვე არ ვლაპარაკობ; მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმაზე, რაც ღმერთმა მომანიჭა მე, როგორც გონებისა და სხეულისაგან შედგენილს. ეს ბუნება კი მასწავლის მე გავურბოდე ისეთ საგნებს, რომლებიც იწვევენ ჩემში ტკივილის გრძნობას, და ველტვოდე ისეთებს, რომლებიც მაძლევენ სიამოვნების გრძნობას. მაგრამ მე არ ვხედავ, რომ ბუნება ამის გარდა მასწავლიდეს მე, რომ ჩვენ ვალდებული ვიყოთ გრძნობის ამ სხვადასხვა განცდებისაგან ოდესმე რაიმე დასკვნა გამოვიყვანოთ ჩვენ გარეშე არსებულ საგანთა შესახებ, თუ კი გონებას ისინი წინასწარ ბეჯითად და დინჯად არ გაუსინჯავს. ვინაიდან, როგორც მე ვფიქრობ, მარტო გონებას, და არა გონებისა და სხეულის ნაერთს, ეკუთვნის საგანთა შესახებ ჭეშმარიტების ცოდნა.

ამრიგად, თუმცა ვარსკვლავი არ ახდენს ჩემს თვალზე მეტ შთაბეჭდილებას, ვიდრე შანდლის სინათლე, ჩემში მაინც არ მოიპოვება არავითარი ისეთი რეალური ან ბუნებრივი უნარი, რომელიც მაიძულებდა მეფიქრა, რომ პირველი არ არის მეორეზე მეტი: პირიქით, ასე ვფიქრობდი მე ჩემი ბავშვობის წლებიდან ყოველივე გონიერი საფუძვლის გარეშე. და თუმცა მე, როდესაც ცეცხლს ვუახლოვდები, ვგრძნობ სითბოს, ხოლო თუ ძალიან ახლოს მივედი მასთან, ვგრძნობ ტკივილს, მაინც არ არსებობს არავითარი საბუთი, რომელიც დამაჯერებდა,

რომ ცეცხლში იმყოფება რაღაც ისეთი, რაც ამ სითბოს ანდა ამ ტკივილს ემსგავსებოდეს: მე მაქვს მხოლოდ იმის საბუთი, რომ იმ ცეცხლში უნდა იყოს რაღაც ისეთი, რაც, როგორიც არ იყოს იგი, იწვევს ჩემში სითბოს ან ტკივილის გრძნობას. ამნაირადვე, თუმცა არის ისეთი სივრცეები, სადაც მე ვერ ვპოულობ ვერაფერს, რაც აღიზიანებს ან აღაგზნებს ჩემს გრძნობებს, მე მაინც არ უნდა დავასკვნა აქედან, რომ ეს სივრცეები არ შეიცავენ არავითარ სხეულს, ვინაიდან ვხედავ, რომ მე, როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვებშიაც, მიჩვეული ვარ ბუნების წესრიგის შერყვნას და არევ-დარევას [1]. მართლაც, გრძნობის ეს განცდები მოცემული მაქვს მე მხოლოდ იმისათვის, რათა ანიშნონ [2] ჩემს გონებას, რომელი საგანია სასარგებლო და რომელი მავნებელია იმ ნაერთისათვის, რომლის ნაწილსაც იგი [3] შეადგენს, და ამ მხრივ ეს განცდები საკმაოდ ნათელი და საკმაოდ გარკვეულია. მაგრამ მე ამ განცდებით ვსარგებლობ ისე, თითქოს ისინი ფრიად სანდო წესებია, რომლებითაც მე შემიძლია უშუალოდ შევიცნო ჩემ გარეშე არსებულ სხეულთა არსება და ბუნება, თუმცა ნამდვილად ისინი ამის შესახებ მხოლოდ ძლიერ ბნელსა და ბუნდოვან ცოდნას მაწვდიან.

მაგრამ მე უკვე ამაზე წინ საკმაოდ გავსინჯე, თუ რანაირად, მიუხედავად ღმერთის უზენაესი სიკეთისა, ხდება მაინც შეცდომა იმ მსჯელობებში, რომლებსაც მე ასე ვამყარებ. აქ ჩნდება კიდევ მხოლოდ ერთი სიძნელე იმ საგნების შესახებ, რომლებსაც მე, როგორც ბუნება მასწავლის, უნდა ვეწაფებოდე ან გავურბოდე, აგრეთვე იმ შინაგანი გრძნობების შესახებ, რომლებიც ბუნებამ მომანიჭა, ვინაიდან, როგორც მგონია, მე ხანდახან იქ შეცდომა შემიმჩნევია და ამრიგად მე პირდაპირ მოტყუებული ვყოფილვარ ჩემი ბუნების მიერ. მაგალითად, მოშხამული ხორცის სასიამოვნო

---

[1] Pervertir et confondre.

[2] Signifier.

[3] ე. ი. გონება.

გემოს შეუძლია შხამი შემაჭამოს და ამრიგად შემაცდინოს. მართალია, ბუნება აქ მაინც შეიძლება გამართლებულ იქნეს, ვინაიდან იგი მე მხოლოდ იმას მაიძულებს, რომ მე მსურდეს სასიამოვნო გემოს მქონე ხორცი, და არა იმას, რომ მე მსურდეს შხამი, რომელიც მისთვის უცნობია. ასე რომ მე. აქედან სხვა დასკვნის გამოყვანა არ შემიძლია, თუ არა იმისა, რომ ჩემმა ბუნებამ არ იცის მთლად და საყოველთაოდ ყველაფერი. ეს კი არ უნდა გვიკვირდეს, ვინაიდან კაცს, რამდენადაც მისი ბუნება სასრულია, შეუძლია ჰქონდეს მხოლოდ შეზღუდული სისრულის მქონე ცოდნა.

მაგრამ ჩვენ საკმაოდ ხშირად ვცდებით ისეთ საგნებშიც, რომლებისაკენაც ჩვენ თვითონ ბუნება გვერეკება პირდაპირ. ასე ემართება, მაგალითად, ავადმყოფებს, როდესაც მათ სურთ ისეთი რისმე ჭამა ან სმა, რაც მათთვის მავნებელია. შეიძლება თქვან აქ, რომ მათი შეცდომის მიზეზია ის, რომ მათი ბუნება შერყვნილია; მაგრამ ეს არ გვაცილებს სიძნელეს, ვინაიდან ავადმყოფი კაცი არა ნაკლებ ჭეშმარიტად არის ღვთის ქმნილება, ვიდრე სრულიად ჯანსაღი კაცი, და, მაშასადამე, ღვთის სიკეთეს არა ნაკლებ ეწინააღმდეგება ის, რომ პირველს ჰქონდეს მატყუარა და ცთომილი ბუნება, ვიდრე ეწინააღმდეგება ამას ის, რომ მეორეს ჰქონდეს ამგვარი ბუნება. კედლის საათი, რომელიც ბორბლებისა და საპირწონეებისაგან არის შედგენილი, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ცუდად არის გაკეთებული და სწორად არ უჩვენებს დროს, არანაკლები სიზუსტით ექვემდებარება ბუნების ყველა კანონს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საესებით აკმაყოფილებს ოსტატის სურვილს. სწორედ ამნაირად შემიძლია მე ადამიანის სხეულს შევხედო ისე, თითქოს იგი იყოს მანქანა, რომელიც შედგენილია ძვლებისაგან, ნერვებისაგან, კუნთებისაგან, ძარღვებისაგან, სისხლისაგან და ტყავისაგან და რომელიც აშენებულია იმნაირად, რომ მას უსულოდაც შეეძლო შეესრულებია ყველა ის მოძრაობა, რომლებიც ახლა სრულდება ჩვენი ნების გარეშე, მაშასადამე, ჩვენი გონების გარეშეც. ამ შემთხვევაში ადვილად გასაგებია, რომ

ეს სხეული, როდესაც იგი, მაგალითად, დაავადებულია წყალ მანკით, თავისი ბუნების გამო სრულიად იმნაირად განიცდის ხახის სიმშრალეს (რაც გონებას ჩვეულებრივ წარმოუდგება, როგორც წყურვილის გრძნობა) და მისი ნერვები და სხეულის სხვა ნაწილები იმნაირადვე ერეკებიან მას წყლის დალევისაკენ (რაც მხოლოდ ადიდებს ავადმყოფობას), როგორც ამ ავადმყოფობისაგან თავისუფალ სხეულს ხახის ასეთივე სიმშრალე აიძულებს დალიოს წყალი თავის სასარგებლოდ. მართალია, იმ გამოყენების მიხედვით, რომლისთვისაც კედლის საათი დანიშნული იყო მისი გამკეთებლის მიერ, ნე შემეძლო მეთქვა, რომ ეს საათი სცდება თავის ბუნებას, როდესაც იგი კარგად არ უჩვენებს დროს; ამნაირადვე, თუ ადამიანის სხეულის მანქანას შევხედავ, როგორც ღმერთის მიერ იმისათვის გაკეთებულს, რათა მას ჰქონდეს თავის თავში ყველა ის მოძრაობა, რომელიც ჩვეულებრივ არის იქ, მე მაქვს საბუთი ვიფიქრო, რომ იგი არ ემორჩილება თავისი ბუნების წესრიგს, როდესაც მისი ხახა მშრალია, დალევა კი მისი არსებობის შენარჩუნებისათვის მავნებელია. მაგრამ მე ვამჩნევ, რომ ეს უკანასკნელი ხერხი ბუნების ახსნისა ძალიან განსხვავდება მეორისაგან, ვინაიდან იგი სხვა არაფერია თუ არა ერთგვარი გარეგნული სახელწოდება[1], რაც სავსებით დამოკიდებულია ჩემი აზროვნებისაგან (რომელიც ავადმყოფ კაცს და ცუდად გაკეთებულ საათს ადარებს იმ იდეას, რომელიც მაქვს მე ჯანმთელ კაცზე და კარგად გაკეთებულ საათზე) და რაც არ აღნიშნავს არაფერს, ნამდვილად არსებულს იმ საგანში, რომლის შესახებ იგი ნათქვამია. ამის ადგილზე ბუნების ახსნის მეორე ხერხის საშუალებით მე შევიმეცნებ რაღაც ისეთს, რაც ჭართლა არის საგნებში, და, მაშასადამე, იგი არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული.

ამრიგად, თუმცა წყალმანკიან სხეულის მიმართ სრულიად გარეგნული სახელწოდებაა, როდესაც იტყვიან, რომ მისი

---

[1] Une certaine dénomination extérieure.

ბუნება შერყვნილია, რაკი მას ხახა მშრალი აქვს, წყლის დალევა კი არ ესაჭიროება, მაგრამ მთელი ადამიანის მიმართ (ე. ი. სხეულთან შეერთებული გონებისა ან სულის მიმართ) ეს არის არა უბრალო სახელწოდება, არამედ ბუნების ნამდვილი შეცდომა, რადგან მას იმ დროს აქვს წყურვილი, როდესაც მისთვის წყლის დალევა მავნებელია. მაშასადამე, გამოსაკვლევია კიდევ, თუ როგორ არ ეწინააღმდეგება ღმერთის სიკეთე იმას, რომ ადამიანის ბუნება, ამ აზრით აღებული, ცთომილი და მატყუარა იყოს.

რათა დავიწყო ეს გამოკვლევა, მე უწინარესად აღვნიშნავ, რომ არის დიდი განსხვავება გონებასა და სხეულს შორის[1] იმ მხრივ, რომ სხეული თავისი ბუნებით ყოველთვის განყოფადია, ხოლო გონება სრულიად განუყოფელია. მართლაც, როდესაც მე მას ვაკვირდები, ე. ი. როდესაც მე ვაკვირდები ჩემს საკუთარ თავს, რამდენადაც მე ვარ მხოლოდ მოაზროვნე საგანი, ვე არ შემიძლია გავარჩიო ჩემს თავში რაიმე ნაწილები, არამედ მე ვიცი და მესმის ძალიან ნათლად, რომ მე ვარ რაღაც აბსოლუტურად ერთი და მთელი[2]. და თუმცა მთელი გონება[3], როგორც ჩანს, შეერთებულია მთელ სხეულთან, მაგრამ როდესაც სხეულს ეკარგება ან ხელი, ან ფეხი, ან სხვა რაიმე ნაწილი, ამის გამო, როგორც მე კარგად ვიცი, არაფერი არ აკლდება ჩემს გონებას. ნებელობის, გრძნობის, შემეცნების და ს. ა. ნიჭიერებანი[4] არ შეიძლება მივიჩნიოთ გონების ნაწილებად, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ვინაიდან ერთი და იგივე მთლიანი გონება ნებელობს, მთლიანი გონება გრძნობს და შეიმეცნებს და ა. შ.[5], მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა

---

[1] Il y a une grande différence entre l'esprit et le corps.

[2] Je suis une chose absolument une et entiére.

[3] Tout l'esprit.

[4] Les facultés de vouloir, de sentir, de concevoir etc.

[5] ე. ი. ერთი და იგივე მთლიანი გონებაა ის გონება, რომელიც გრძნობს, შეიმეცნებს, გადაწყვეტილებებს იღებს, და არ შეიძლება ითქვას, თითქოს შემეცნებას აწარმოებდეს გონების ერთი ნაწილი, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებდეს გონების სხვა ნაწილი (მთარგმნ. შენ.).

ნივთიერ ან განფენილ საგნებში, ვინაიდან მე ვერ წარმომიდგენია ისეთი სხეული (რაც უნდა მცირე იყოს იგი), რომელიც არ შემეძლოს ადვილად გავანაწილო ჩემს აზროვნებაში და რომელსაც მე, მაშასადამე, არ ვცნობდე განყოფად საგნად. ეს კი საკმარისი იქნებოდა, რათა ესწავლებია ჩემთვის, რომ გონება ან სული ადამიანისა სრულიად განსხვავდება სხეულისაგან, კიდევაც რომ არ მქონებოდა ეს მე სხვა წყაროებიდან უკვე საკმაოდ შეცნობილი.

მე ვამჩნევ აგრეთვე, რომ გონება სხეულის ყველა ნაწილისაგან როდი იღებს შთაბეჭდილებებს უშუალოდ, არამედ მხოლოდ ტვინისაგან, ან შესაძლებელია თვით ამ ტვინის ერთ-ერთი უმცირესი ნაწილისაგან, სახელდობრ, იმ ნაწილისაგან, სადაც წარმოებს ნიჭი, რომელსაც საზოგადო გრძნობა[1] ეწოდება. ყოველთვის, როცა ეს ნაწილი ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფება, იგი ერთსა და იმავეს აგრძნობინებს გონებას, თუმცა შესაძლებელია ამ დროს სხეულის სხვა ნაწილები სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამას ადასტურებენ უამრავი ცდები, რომელთა მოტანა აქ არ არის საჭირო.

მე ვამჩნევ, გარდა ამისა, რომ სხეულის ბუნება ისეთია, რომ არც ერთი მისი ნაწილი არ შეიძლება ცოტათი მისგან დაშორებული ნაწილის მიერ იმნაირად იქნეს ამოძრავებული, რანაირადაც იგი არ შეეძლო აემოძრავებია ყოველ ნაწილს, რომელიც მათ შორის იმყოფება, თუნდაც ის უფრო დაშორებული ნაწილი სრულიადაც არ მოქმედებდეს. ავიღოთ, მაგალითად, სავსებით დაჭიმული ბაწარი АВСД: თუ ჩვენ მოვწიეთ და ავამოძრავეთ უკანასკნელი ნაწილი Д, მაშინ პირველი ნაწილი А არ შეიძლება იმნაირადვე არ ამოძრავდეს, რანაირადაც ამოძრავდებოდა იგი აგრეთვე იმ შემთხვევაში, რომ ჩვენ მოგვეწია შუაში მდებარე რომელიმე ნაწილი В ან С, ხოლო უკანასკნელი ნაწილი Д ამ დროს დარჩენილიყო უძრავად. სწორედ ამრიგად, როცა მე ვგრძნობ ტკივილს

[1] Le sens commun.

ფეხში, ფიზიკა მასწავლის, რომ ეს გრძნობა გადმომეცემა ფეხში გაბნეული ნერვების საშუალებით, ვინაიდან ეს ნერვები ბაწრების მსგავსად გაბმული არიან ფეხსა და ტვინს შორის. ამიტომ, როცა მათ მოსწევენ ფეხში, ისინი იმავე დროს მოსწევენ ტვინის იმ ადგილს, საიდანაც ისინი გამოდიან და სადაც ბოლო აქვთ, და იწვევენ იმ გარკვეულ მოძრაობას, რომელიც იმისათვის დაუწესებია ბუნებას, რათა გონებას აგრძნობინოს ტკივილი, როგორც ფეხში არსებული. მაგრამ, რადგანაც ამ ნერვებმა უნდა გაიარონ კანჭი, ბარძაყი წელი, ზურგი და კისერი, რათა ფეხიდან ტვინამდე მიაღწიონ, ამიტომ შეუძლებელია მოხდეს ისე, რომ ამ ნერვების ბოლო ნაწილი, რომელიც ფეხში იმყოფება, არ იყოს სრულიად მოძრაობაში, ხოლო ამოძრავებული იყოს მათი ის ნაწილი, რომელიც იმყოფება წელში ან კისერში: ასეთი მოძრაობა მაინც გამოიწვევდა ტვინში სწორედ იმ მოძრაობას, რომელიც შეეძლო გამოეწვია ფეხში მიღებულ ჭრილობას, რის გამო აუცილებელი იქნებოდა, რომ გონებას ეგრძნო ფეხში ისეთივე ტკივილი, თითქოს ეს ფეხი დაჭრილი ყოფილიყო. ამნაირადვე უნდა ვიმსჯელოთ ჩვენი გრძნობის ყველა სხვა განცდის[1] შესახებაც.

დაბოლოს, მე ვამჩნევ შემდეგ გარემოებასაც: რაკი თითოეული მოძრაობა, რომელიც ხდება ტვინის იმ ნაწილში, საიდანაც გონება უშუალოდ იღებს შთაბეჭდილებას, იწვევს გონებაში მხოლოდ ერთს გრძნობას, ამიტომ ჩვენ ვერაფერს ვისურვებდით და ვერც წარმოვიდგენდით იმაზე უკეთესს, რომ ამ მოძრაობას (ყველა იმ გრძნობას შორის, რომელთა გამოწვევაც კი მას შეუძლია) გამოეწვია გონებაში სწორედ ის გრძნობა, რომელიც ყველაზე უფრო შესაფერისია და ჩვეულებრივ ყველაზე უფრო სასარგებლოა ადამიანის სხეულის შენარჩუნებისათვის იმ დროს, როდესაც ეს სხეული სავსებით საღია. მაგრამ გამოცდილება გვეუბნება, რომ ბუნების მიერ მოცემული ყოველი გრძნობა ისეთია, როგორც წელან

[1] Perceptions.

ვთქვი; მაშასადამე, არაფერია მასში ისეთი, რაც არ ამჟღავნებს ღმერთის ძლიერებას და სიკეთეს. მაგალითად, როდესაც ნერვები, რომლებიც ფეხში იმყოფებიან, ჩვეულებრივზე უფრო ძლიერ არიან ამოძრავებული, მაშინ მათი მოძრაობა, გაივლის რა ხერხემლის ტვინის გზით თავის ტვინამდე, ახდენს იქ გონებაზე ისეთ მთაბეჭდილებას, რომელიც აგრძნობინებს მას რაღაცას, სახელდობრ, ტკივილს ფეხში, რის მეოხებით გონებას გაფრთხილება ეძლევა, რომ მან გააკეთოს რაც შეუძლია, რათა მოსპოს ტკივილის მიზეზი, როგორც ფრიად საშიში რამ და ფეხისათვის მავნებელი. მართალია, ღმერთს შეეძლო ადამიანის ბუნება ისე მოეწყო, რომ იმავე მოძრაობას ტვინში სულ სხვა გრძნობა გამოეწვია გონებაში: მაგალითად, რომ მას[1] ეგრძნობინებია თავისი თავი ისე, თითქოს იგი იმყოფება ან ტვინში, ან ფეხში, ან ტვინსა და ფეხს შორის მდებარე რომელიმე ადგილში, ანდა გამოეწვია სულ სხვა რაიმე შესაძლებელი გრძნობა. მაგრამ ამათგან არც ერთი ისე კარგად არ შეუწყობდა ხელს სხეულის შენარჩუნებას, როგორც ის გრძნობა, რომელსაც იგი ნამდვილად იწვევს. ამის მსგავსად, როდესაც ჩვენ გვჭირია წყლის დალევა, მაშინ ხახაში გვიჩნდება ამის გამო ერთგვარი სიმშრალე, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ხახის ნერვები, ხოლო ამათ საშუალებით ტვინის შინაგანი ნაწილები; და აი ეს მოძრაობა აგრძნობინებს გონებას წყურვილის გრძნობას, ეინაიდან ამ შემთხვევაში არაფერია ჩვენთვის იმ ცოდნაზე უფრო სასარგებლო, რომ ჯანმთელობის შესანარჩუნებლად ჩვენ გვჭირია წყლის დალევა, და აეე სხვა შემთხვევებშიც.

აქედან საკმაოდ ცხადია, რომ, მიუხედავად ღმერთის უზენაესი სიკეთისა, ადამიანის ბუნება, რამდენადაც იგი შედგენილია გონებისა და სხეულისაგან, არ შეიძლება ზოგჯერ არ იყოს ცთომილი და მატყუარა. მართლაც, თუ არსებობს რაიმე მიზეზი, რომელიც არა ფეხში, არამედ ფეხიდან ტვინამდე მიმავალ ნერვის ამა თუ იმ ნაწილში, ანდა თვით ტვინ-

[1] ე. ი. მოძრაობას (მთარგმნ. შენ.).

ში იწვევს იმავე მოძრაობას, რომელიც ჩვეულებრივ ჩნდება, როდესაც ფეხი ცუდს მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ ჩვენ ისე ვიგრძნობთ ტკივილს, თითქოს იგი ფეხში იმყოფებოდეს, და ეს გრძნობა ბუნებრივად მოტყუებული იქნება. რაკი ერთსა და იმავე მოძრაობას ტვინში შეუძლია გონებაში გამოიწვიოს მხოლოდ ერთი და იგივე გრძნობა და რაკი ეს გრძნობა ბევრად უფრო ხშირად გამოწვეულია იმ მიზეზით, რომელიც აზიანებს ფეხს, ვიდრე სხვა ადგილში მყოფი მიზეზით, ამიტომ ბევრად უფრო გონიერია, რომ ეს მოძრაობა ყოველთვის აძლევდეს გონებას ფეხის ტკივილის, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწილის ტკივილის გრძნობას. და თუ ზოგ შემთხვევაში ხახის სიმშრალე, ჩვეულებრივი წესისაგან განსხვავებით, ჩნდება არა იმის გამო, რომ წყლის დალევა საჭიროა სხეულის ჯანმთელობისათვის, არამედ სრულიად ამის საწინააღმდეგო მიზეზისაგან (როგორც ეს ემართებათ წყალმანკიანებს), მაგრამ მაინც ბევრად უკეთესია, რომ ხახის სიმშრალემ ასეთ შემთხვევაში შეცდომაში შეგვიყვანოს, ვიდრე ის, რომ მას, წინააღმდეგ ამისა, შეცდომაში შევყავდეთ ყოველთვის, როდესაც სხეული ჯანმთელად იმყოფება. ასე ითქმის სხვა მაგალითებშიც.

ეს მოსაზრებანი ძალიან მეხმარებიან არა მხოლოდ იმისათვის, რომ შევიცნო ყველა შეცდომა, რომლებიც ემართებიან ჩემს ბუნებას, არამედ იმისათვისაც, რომ თავი ავარიდო მათ, ანდა უფრო ადვილად გავასწორო ისინი. მართლაც, რაკი მე ვიცი, რომ ჩემი გრძნობები უფრო ხშირად სიმართლეს, ვიდრე სიცრუეს მაუწყებენ იმის შესახებ, რაც სხეულის შვებას თუ ვნებას შეეხება, რაკი მე ერთისა და იმავე საგნის გასასინჯავად თითქმის ყოველთვის შემიძლია ვისარგებლო რამდენიმე გრძნობით და რაკი, გარდა ამისა, მე შემიძლია გამოვიყენო ჩემი მეხსიერება (რათა აწინდელი ცოდნა დავუკავშირო უწინდელს) და აგრეთვე ჩემი განსჯაც, რომელმაც უკვე გამოამჟღავნა ჩემი შეცდომების ყველა მიზეზი, აქიტომ მე აწ არ უნდა შეშინოდეს, რომ ის საგნები, რომლებსაც ჩემი გრძნობები მე ყველაზე უფრო ჩვეულებრივ მიჩვენებენ,

ნამდვილი არ იყვნენ. მე უნდა უკუვაგდო ამ განვლილი დღეების ყველა ეპვი, როგორც გადაჭარბებული და სასაცილო რამ, განსაკუთრებით კი უნდა უკუვაგდო ფრიად ზოგადი ეპვიანობა სიზმრის შესახებ, რომელსაც მე სიფხიზლისაგან ვერ ვარჩევდი: ამჟამად მე იქ ვამჩნევ დიდ განსხვავებას იმ მირიგ, რომ ჩვენს მეხსიერებას არასოდეს არ შეუძლია ჩვენი სიზმრები შეკრას და დააკავშიროს ერთიმეორესთან და აგრეთვე ჩვენი ცხოვრების მთელ მსვლელობასთან, აი ისე, როგორც აკავშირებს იგი ჩვეულებრივ იმას, რაც ჩვენ სიფხიზლეში შეგვემთხვევა ხოლმე. და მართლაც, თუ სიფხიზლეში ყოფნის ჟამს ვინმე უცბად მომეჩვენებოდა და იმნაირადვე გაქრებოდა (აი როგორც ამას აკეთებენ სახეები, რომლებსაც მე ძილში ვხედავ), ასე რომ, მე არ მქონებოდა საშუალება შემემჩნია, საიდან მოვიდა იგი ან საით წავიდა, ასეთ შემთხვევაში მე არაუსაფუძვლოდ ჩავთვლიდი მას უმალ ჩემს ტვინში შექმნილ აჩრდილად ან მოჩვენებად, როგორიც მიჩნდება ხოლმე მე ძილის დროს, ვიდრე ნამდვილ ადამიანად. მაგრამ, თუ მე ვამჩნევ საგნებს, რომლების შესახებ მე გარკვეულად ვიცი ის ადგილი, საიდანაც ისინი მოდიან, ის ადგილიც, სადაც ისინი იმყოფებიან, და ის დრო, როდესაც ისინი მე მეჩვენებიან, და თუ მე შემიძლია მათგან მიღებული გრძნობა ყოველი ხარვეზის გარეშე დავაკავშირო ჩემი დანარჩენი ცხოვრების მსვლელობასთან, მაშინ მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ საგნებს მე ვხედავ სიფხიზლეში და არა ძილში. და მე არასგზით არ უნდა ეეეჭვებოდეს საგნის სინამდვილე, თუკი მე ყველა ჩემი გრძნობის, ჩემი მეხსიერების და ჩემი განსჯის საშუალებით ამ საგნის გასინჯვის შემდეგ აღმოვაჩენ, რომ არც ერთი ნათგანი არ მაწვდის ისეთ ცნობას, რომელიც მეორის მიერ მოწოდებულ ცნობას ეწინააღმდეგებოდეს. ვინაიდან ღმერთის უტყუარობიდან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ მე სრულიად არ ვარ ამაში მოტყუებული. მაგრამ, რამდენადაც საქმეთა აუცილებლობა გვავალებს ჩვენ ხშირად მივიღოთ ესა თუ ის გადაწყვეტილება იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ მოცლილი ვიქნებით ამ საქმეთა ბეჯითი გასინჯვისათვის, ამდენად ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანის ცხოვრება ძალიან ხშირად შეცდომის მსხვერპლი ხდება კერძო საკითხებში, ბოლოს კი უნდა ვცნოთ ჩვენი ბუნების უძლურობა და სისუსტე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა III

პირველი ფილოსოფიის შესახებ განაზრებანი, სადაც ნათლად მტკიცდება ღმერთის არსებობა და რეალური განსხვავება ადამიანის სულსა და ტანს შორის 1

გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი იმ საგანთა შესახებ, რომელნიც შეიძლება ეჭვის ქვეშ იქნენ დაყენებულნი 1

გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა მ ე ო რ ე ადამიანური გონების ბუნებისათვის და იმის შესახებ, რომ მისი შეცნობა უფრო ადვილია, ვიდრე სხეულისა 10

გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა მ ე ს ა მ ე ღმერთის შესახებ, რომ იგი არსებობს 26

გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე ჭეშმარიტისა და ყალბის შესახებ . . . 52

გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა მ ე ხ უ თ ე მატერიალურ საგანთა და კვლავ ღმერთის შესახებ, რომ იგი არსებობს 66

გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა მ ე ე ქ ვ ს ე შესახებ ნივთიერ საგანთა არსებობისა და იმ არსებითი განსხვავებისა, რომელიც არის კაცის სულსა და სხეულს შორის 77

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ვ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი
გამომც. რედაქტორი გ. ღ ლ ო ნ ტ ი
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორი დ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 24.5.1955; ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$; ხელმოწ.
დასაბეჭდად 21.10.1955; ქაღალდის ზომა $84 \times 108/_{16}$;
ქაღალდის ფურცელი 1,62; საბეჭდი ფურცელი 5,33; საავტორო
ფურცელი 4,67; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 4,76;
შეკვეთა 977; უე 05196 ტირაჟი 2000
ფასი 3 მან.
ყდა 1 მან.

4 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5

შემჩნეული შეცდომების გასწორება

ვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზევიდან	ქვევიდან		
17	3		გრძნობს,	გრძნობს.
		1	Apercoit	Aperçoit
24		1	Connoitre	Connoître
30		4	J'îmagine	J'imagine
31		1	J'expèrimente	J'expérimente
33		8	ოდეა	ოდეები
		13	საგნად,	საგნად.
35		1	Genze	Genre
		5	Evident	Evident
39		2	Faussetè	Fausseté
41		2	connoissano	connoissance
48		3	L'unitè	L'unité
49	1		მჯერა	მჯერა.
50		4	Indèfiniment	Indéfiniment
54		3	Dèfaut	Défaut
55		2	Lucompréhenssible	L'incompréhénsible
59		2	Dèlibèrer	Délibérer
60		4	concevoir	concevoir
64		1	Dèlibéror	Délibérer
68		3	étaunt	étant
72		3	veritablés	véritables
74		4	èvidement	évidement
79		2	facon	façon
		5	éntendre	entendre
88		1	crées	créées
94		1	extèrieure	extérieur
95		7	entiére	entière

რ. დეკარტი